# PEACE TIMES

# დრო მეგობრისა



PT #20_2009 დ

ICCN

ICCN

PT #20_2009 ᨿᨕ

გამოიცემა
**კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის**
მიერ
***EED-ს*** ფინანსური მხარდაჭერით

Published by:
**International Center on Conflict and Negotiation**
Supported by: ***Cordaid***

Editor:
GHIA CHUMBURIDZE

Design and layout:
Nata Mumladze &
*Chumbo Group*

რედაქტორი:
გია ჭუმბურიძე

გაფორმება და დაკაბადონება:
ნატა მუმლაძე
*& Chumbo Group*



მისამართი: ივ. მაჩაბლის 5, I სართული, თბილისი 0105
Address: 5 Machabeli str., ground floor, Tbilisi 0105, Georgia

| | |
|---|---|
| ტელ.,/Tel.: | 99-99-87; 93-91-78 |
| ფაქსი/Fax: | 93-91-78 |
| E-mail: | iccn@iccn.ge |
| URL: | http://www.iccn.ge |



ჟურნალში გამოქვეყნებული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს კონფლიქტოლოგიის ცენტრის პოზიციას.



ISSN: 1512-3375


© 2008 by ICCN

**სარედაქციოს მაგიერ**
6 → მიზანტროპის ჩანაწერები

**პუბლიცისტიკა**
10 → ბიწიერი წრე

**მთავარია რწმენა...**
16 → Из личного дневника

**მედია და კონფლიქტოლოგია**
24 → სამშვიდობო ჟურნალისტიკა

**საგოგადოებრივი აზრი**
42 → ვინც რა უნდა თქვასო...

**ერთი საზრისი**
46 → ნიშნები

**მარგინალური თვალთახედვა**
57 → ფანდარასტ-ული ომი და წაგებული მშვიდობა

67 → ჭაბურღილების სქესი

**მუსიკა, ლიტერატურა, etc.**
75 → ჯაზის ცხოვრება

**თარგმანები**
110 → სიზმარი



Значит, как глупости кропать почти на тыщу слов, так пожалста, а как статью на то же количество написать заказную - слабо? Вот-вот. И я о том же.

Ты, склеротик несчастный, не забудь стереть это до того, как отправим этот файл госпоже главному редактору. Нет, все-таки она единственный bigboss, которого я так люблю. У нее достоинств больше, чем волос на голове у… Ну, например, у доисторического мамонта, забывшего дорогу к парикмахеру. Нет, правда, не забывай, что нас уже три женщины-редактора послали. Куда послали? Сам знаешь. Так что, осторожней с комплиментами. Ты, когда комплименты говоришь, на слона в посудной лавке становишься похожим. Ну кто говорит женщине, что у нее при такой прическе уши оттопыриваются? Как кто? Разве не ты сказал это Анне три года назад. А она тебе 150 баксов за одну статью раз в месяц платила. Да еще полтора года подряд. А какой идиот сказал Элизабет, что ей надо сильно похудеть, если она хочет соответствовать своему спортивному имиджу? Ну какое твое дело, придурок? А ведь на ее гонорары ты купил машину и уже вторую покупать собрался. Да, это ты нас с тогдашних стабильных 750 баксов до регулярных, как климактерические месячные, 200-300 спустил, ты, а не Дурсун. А кто другой американке сказал, что армяне, это…… И анекдот еще рассказал непристойный. Да, ты, конечно, не знал, что она армянка, но все равно. К тому же она тебя все равно простила. Но кто тебя просил потом иеговистов ругать? А-а, она твою статью про иеговистов запорола. А кто до этого за пять предыдущих по 150 заплатил? Она же, американка-армянка-иеговистка! А кто при Генри о "голубых" плохо отозвался? И не один раз. И в Америку на полгода на всем готовом не поехал? И кто умудрился шуткой Жвания разозлить и Мишу обидеть? Тебе что, в оппозиции тогда сидеть надоело? А кто с нынешними поссориться умудрился? Голодают и пусть себе. Тебе должность





пресс-секретаря обещали? Даже просили. А ты? Чего с комментариями лезешь? Так что молчи. Ну кто тебя за твой длинный язык тянул? В другом месте его использовать надо. Нет, не там, а на кухне, когда мороженое ешь. Ты сколько раз хотел себе язык вообще отрезать? И пожалел. А по-моему, зря. Ты пишешь лучше, чем говоришь. И, вообще, ты ведь давно язык жестов хочешь освоить! Ну так режь. Режь, говорю! А-а, не хочешь!

А Кейт - наш последний редактор - женщина. И девочка она хорошая. Не то, что эти, американцы и оппозиционеры всякие. Но ты все равно поосторожнее со своими комплиментами. Не помнишь, как в день первой свадьбы от тебя невеста чуть не сбежала, когда ты опять Газообразное Позвоночное вкупе с подручными помянул, ее увидев. А как в первую брачную ночь в слезы ударилась после твоего комментария? Ну и что, что на третий день развелся? Так что не смей больше немецко-джойсовскую белиберду упоминать.

А ведь Като - такая милая. Да! А с каким вкусом одевается? И машину тоже неплохо водит, хоть завтра в Бангкок или Нью-Йорк даже! Чувство юмора тоже порой просвечивает. Ну конечно, твое чувство юмора нам, простым смертным, недоступно! Да и где оно у тебя вообще, маразматик! Конечно, она может обидеться, если и вправду это ей пошлешь. Хотя обижаться на такого придурка как ты, только Дурсун может. Недаром вас, последышей, убогими кличут. Но все равно - не шути с огнем! Да, чуть не забыл - свои рассказы и эссе оставь при себе, борзописец хренов. Не давай ей читать - с работы выгонят. Последней, притом. Да! Нет, ни один. Нет, про Нуну тоже не надо. Нет, ни Guy, ни Nothing, ни Instructive stories, indeed! Нет, ни на русском, ни на английском, ни на грузинском. Этот? О, Господи, да этот рассказ прочитав, тебя любой монстром назовет. Не то что Сашка, Алеко, Шалва, Гия и далее по списку. Ну и что, что почти правда. Ну и что, что ты ее не убивал? Все равно, кто прочитал, в это уже не верит. Тебе что,

проблем не хватает? Бебро? Ты его только начал. Vulevukusheavekmua? Э-э, нет, про славу Миллера позабудь. Тоже мне, тропики раков и козерогов! Это не для Грузии. Ни за что! Of wives and men? Тоже нет. Apocalypse forever? Ну, ты его еще ребенком написал, 17 лет назад. Не пойдет. Забудь! Свадьбу и Маршрут 347? Первое явно не стоит. А второе - если последний абзац сотрешь. Не хочешь? Правда жизни, говоришь? Ну и не надо.

А вот Эка… Какая она приветливая всегда. Вот только трубку мобильника берет в трех случаях из десяти. Но это общая проблема всех женщин. Правда, большинство не берет трубку, потому что она у них вечно где-то у черта на куличках - в сумке, гостях или соседней комнате. А у Кати просто звонок испорчен и все такое. Нет, нам она очень нравится. Правда, она умная шибко, но даже это терпимо. А тебе Дурсун, она нравится? Тебе тоже? Вот и хорошо. Подытожим. Итак, Катя - красивая, умная, приветливая, машину водит, трубку не берет плюс редактор. Итак, комплименты не говорить! Мнения разные не высказывать! Рассказы и эссе читать не давать. Любовных писем не посылать. Статьи сдавать вовремя. Клянемся! Теперь осталось только все это изложить ей лично и вообще… И цветы отнести. Да, розы. Да, через весь офис с букетом наперевес! Итак, кто это возьмет на себя? Ты, Гига? Опять стесняешься? Ну, тогда ты, Дурсун. Что? Все равно пошлет? Куда? А, ну да, ты же у нас завзятый циник, пессимист, мизантроп, социопат и так далее. Ну что ты хочешь? Хочешь? Ишь ты! Ну, мы все хотим. Нет, не всегда одного и того же. Хрен с тобой. Я ей сам позвоню. Конечно. Завтра же. Ну, может, послезавтра.

*ახლა, ნეტარხსენებულის ეს ჩანაწერი რამ გამომამზეურებინა, თუ იცით?! რამ და – გილაურ-ბენდუქიძის ურთიერთრევერანსებმა! თავმოყვარეობა ხომ ინსტინქტის დონეზე უნდა გქონდეს კაცს, მის გააზრებაზე ადარას ვამბობ! მინისტრი ***დებილს*** რომ

გიწოდებს სახალხოდ და თანაც სამედიცინო კი არა, პროფესიულ ამბავში, მერე იმ კაცის კანდიდატურის "მრჩევლის ფორმატში" მოაზრება იმას ნიშნავს, ან მართალი უთქვამს, ან მთლად წყალსა და მეწყერს წაუღია ყველაფერიო... მეორე მხარე კიდე რო გაიძახის – "[დებილყოფილმა] შესანიშნავი, მაღალპროფესიული გუნდი შეკრიბაო" – ან თავისი ძველი შეფასება უნდა ატლიკოს, ან ის მაინც დაამატოს – შევცდი ბატონო, რაკი ისევ ჩემი მოიმედეა, რაღაცით მაინც განვითარებულა/განსწავლულა ამ ხანებშიო...

თუმცა არა, კიდევ ერთი ვარიანტიც არსებობს: საცა პრეზიდენტი ამტკიცებს – *ჩვენი მთავრობა* ***სტაბილურობით*** *გამოირჩევაო* (კვარტალში თითო პრემიერს ვიცვლით, მეტს ხომ არა!) ე.ი ამათაც უცხო სიტყვებით რიოში თამაში მოსვლიათ და ეგაა სულ!



# ბიწიერი წრე

დათო ჯელიძე

"შემდეგი ხელისუფლება, როგორც ყოველთვის,
უარესი იქნება: უარესის ვარიანტები ამოუწურავია,
უკეთესის რესურსი კი არ არსებობს..."

ზაზა ჭ., *გამოუქვეყნებელი მაქსიმები*, ტ. I.

"... ქართველები დარწმუნებულნი არიან,
რა ცოდვაც არ უნდა ჩაიდინონ, შეენდობათ,
თუკი ეკლესიას ააშენებენ... "

ჟან შარდენი, *მოგზაურობა საქართველოში.*



ახლა, ფორმალურად მაინც, დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი გვაქვს და გვიკვირს, თუკი ისე გვექცევიან, როგორც უკეთეს შემთხვევაში პროტექტორატს, ხოლო უარესში – კოლონიას მოექცეოდნენ. ამის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ საკუთარი "განუმეორებლობის", "ძლევამოსილების" და "უნიკალურობის" პერმანენტული დეკლარირების მიუხედავად, მაინც მინიმალისტები აღმოვჩნდით და საბჭოთა იმპერიიდან თავის დაღწევის შემდეგ, მხოლოდ ფასადურ "სუვერენიტეტს" დავჯერდით. ამასთან, ზედმეტი თავის ტკივილი და სრულყოფილ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი რუტინული შრომა რომ აგვეცილებინა, ერთი ბატონისაგან სიმწრით თავდაღწეულები, პირდაპირ მეორეს ჩავბარდით.

ბოლო საუკუნეების მანძილზე სხვისი ხელების შემყურეებმა ეტყობა ვიფიქრეთ, რომ ახალი "უფროსი ძმა" "ძველზე" კეთილი და გულმოწყალე აღმოჩნდებოდა და ჩვენს საკეთებელსაც დაუმადლებლად და უანგაროდ გააკეთებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამას მორიგი იმედგაცრუება მოჰყვა და შეპირებული "დემოკრატიული ოაზისიც"

ისეთივე ჯოჯოხეთად გვექცა, როგორც მანამდე "კომუნისტური სამოთხე".

ის, რომ ხელოვნურად შექმნილ და მახინჯ "ერთიან ოჯახს" დავაღწიეთ თავი, სადაც ერთ დროს ისე შეგვათრიეს, რომ არც კი უკითხავთ გვსურდა თუ არა იქ ყოფნა, ამ შემთხვევაში დიდი ვერაფერი ნუგეშია. მართალია, ფორმალურად სტატუსით მაღლა კი (ასე თუ ისე, დამოუკიდებელი სახელმწიფო გქვია), მაგრამ ეს წინსვლაც პირობითია, რადგან სინამდვილეში ისევ იძულებული ვართ ვაკეთოთ ის, რასაც ახლა ცოტა უფრო ზრდილობიანად გვთავაზობენ და არა ის, რაც თავად გვსურს, ან საკუთარი ქვეყნისათვის უკეთესად მიგვაჩნია. თანაც, ვაკეთოთ მხოლოდ იმ პარამეტრებში, რაც პირველ რიგში ახალი "მარჩენალის" ინტერესებს შეესაბამება, ჩვენ კი როგორმე უნდა გავიჭირვოთ და "ვიმყოფინოთ".

ამ მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩენილიყავით, კარგად უნდა გვხ-სომებოდა ელემენტური ჭეშმარიტება, რომ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისათვის ალტრუიზმი აბსოლუტურად უცხო კატეგორიაა და პრაქტიკულად ასიდან ას შემთხვევაში, მსოფლიოს ლიდერობაზე პრეტენზიის მქონე ესა თუ ის გეოპოლიტიკური მონსტრი (რუსეთი, ამერიკა, თავის დროზე დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და სხვა) იქცევა ისე, როგორც მის სტრატეგიულ ინტერესებს შეესაბამება; ეს კი თავისთავად ნიშნავს იმას, რომ წარსული "დამსახურებების" მიუხედავად, "შენ" პირველ რიგში აღგიქვამენ როგორც "ტერიტორიას" და მხოლოდ ამის შემდეგ ხარ, ან შეიძლება იყო, "სახელმწიფო". ესაა და ეს.

არადა, დეკლარირებული ამბიციების თუნდაც მეოთხედის შესაბამისად რომ მოვქცეულიყავით და საკუთარ ქვეყანასთან მიმართებაში მეტი პასუხისმგებლობის აღების არ შეგვშინებოდა, ამ დღეში ნამდვილად არ ვიქნებოდით. თუმცა, ისტორიის მწარე გაკვეთილების მიუხედავად, სათანადო დასკვნები მაინც ვერ გამოვიტანეთ, ისევ იოლი გზით სიარული ვარჩიეთ და საკუთარი პრობლემების მხოლოდ სხვებისათვის გადაბრალებას შევუდექით. ნიუანსებს თავი რომც დავანებოთ, ყვე-ლაფრის სხვისთვის გადაბრალება – საკუთარი უსუსურობის აღიარებაა. ისიც ფაქტია, რომ რაც უფრო დიდ ხანს გავაგრძელებთ ამ ბიწიერ წრეში ტრიალს, მით უფრო მეტად მცირდება ჩვენი შანსები მივაღწიოთ იმას, რისკენაც თითქოს ასე ჯიუტად მივისწრაფოდით. მართალია, დრო ყველაფრის მკურნალია, მაგრამ ახლა იგი აშკარად ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს. თანაც მუშაობს დაუნდობლად.

როგორც არ უნდა მოვინდომოთ, ისტორიის საათის ისრების შეჩერებას მაინც ვერ შევძლებთ, ამიტომ ვეცადოთ ჩამორჩენა დავძლიოთ და გაქცეულ დროს როგორმე დავეწიოთ. ამ რთულ გზაზე

კი პირველი და აუცილებელი ნაბიჯი ***საკუთარი შეცდომების გააზრებაა***. რასაკვირველია, თუკი ჩვენს ირგვლივ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გულუბრყვილოდ წარმოგვედგინა, პრეტენზიები პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა წავუყენოთ და მხოლოდ ამის შემდეგ – სხვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ პარაზიტ ერად გადაქცევის საფრთხე გვემუქრება, რომელიც მხოლოდ იმდენს მიიღებს, რამდენსაც მისთვის "გულმოწყალედ" გაიმეტებენ და არა – რამდენიც სურს, ან გნებავთ, ეკუთვნის.

ცუდია, როდესაც ერი ეჩვევა მდგომარეობას, როცა მის მაგივრად სხვები ფიქრობენ, მაგრამ კიდევ უფრო უარესი და პრაქტიკულად მომაკვდინებელიც კია, როდესაც დროთა განმავლობაში ეს ჩვევა მოთხოვნილებაში გადადის და მხოლოდ ერთადერთი უალტერნატივო ვარიანტი რჩება - **მის მაგივრად აუცილებლად სხვები უნდა ფიქრობდნენ.**

ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს ეს "სხვა" მართლა სხვაა, თუ საკუთარი ხელისუფლება. მითუმეტეს მაშინ, როდესაც ხელისუფლებას მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება "საკუთარი" უწოდო, რადგან თავად მისი არსებობაც მთლიანად "სხვის" და არა საკუთარი ხალხის ნებასურვილზეა დამოკიდებული.

ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ნებისმიერი მთავრობა ზუსტად იმ ზომით გრძნობს პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე, რა ზომითაც მასში ხედავს საკუთარი ხელისუფლების უმთავრეს წყაროს. თუკი ხალხი ნებაყოფილობით ამბობს უარს თავის უფლებაზე – მართოს საკუთარი სახელმწიფო, მაშინ ნებისმიერი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური პროცესი და მათ შორის არჩევნები, როგორც ამ უფლების განხორციელების საშუალება, მხოლოდ მექანიკურ მოქმედებად (ბიულეტენის ურნაში ჩაგდებად) გარდაიქმნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხალხი პრაქტიკულად უკვე "მომწიფებულია" საიმისოდ, მასზე ნებისმიერი "ექსპერიმენტი" ჩაატარონ.

ასეთი "ექსპერიმენტების" ჩასატარებლად და "ახალი" იდეებისა თუ ე.წ. "ნოვატორული" რეფორმების დასანერგად, უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი ნიადაგის მომზადებაა საჭირო, რაც არცთუ იშვიათად (მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში) ტრადიციული ფასეულობების დისკრედიტაციასა, თუ მათი პროფანაციის მცდელობაში გამოიხატება. ამასთან, აღნიშნული გეგმის სრულად და "წარმატებულად" განხორციელება დამოკიდებულია თავად საზოგადოების შინაგან მზაობაზე – მიიღოს ან არ მიიღოს თამაშის შეთავაზებული წესები. მაგალითად, როდესაც ნელ-ნელა მკვიდრდება აზრი, რომ ათასწლეულების მანძილზე ქვეყანა არასწორად ცხოვრობდა და მხოლოდ ბოლო წლებში დაადგა "ჭეშმარიტების" გზას, საზოგადოებას, თუკი ის ნორმალურია, ეჭვი მაინც

უნდა შეეპაროს ამ თეზისის სისწორეში. ხოლო თუკი ასეთი ეჭვი გაჩნდება, ის ვალდებულია ხმამაღლა დასვას კითხვები და მანამდე არ მოისვენოს, სანამ ამომწურავ პასუხს არ მიიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სრულყოფილი საზოგადოება კი არა, ციფრებში გამოხატული უბრალო არითმეტიკული ერთობაა, რომელსაც ერთი ხელის აქნევით, რასაც გინდა აძახებინებ და საითაც გინდა გარეკავ.

რაოდენ სუსტი და უუნაროც არ უნდა იყოს ხელისუფლება, ის მეტნაკლები სიზუსტით მაინც გრძნობს საზოგადოების შინაგან განწყობას და მისი ადექვატურობის კოეფიციენტს, რადგან თუკი ხელისუფლება საერთოდ კარგავს ამ უნარს, ის დასაღუპადაა განწირული. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში ხელისუფლება სწორედ იმ დოზით ახდენს საზოგადოებაზე მორალურ თუ ფიზიკურ ზემოქმედებას, რამდენითაც შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე თვლის საჭიროდ. თავის მხრივ, საზოგადოების მარგი ქმედების კოეფიციენტი იზომება არა იმით, თუ რა ძალით მოქნეული დარტყმის ატანა შეუძლია, არამედ ჭეშმარიტი და ღირსეული საზოგადოება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც მას ვერც ძლიერად შემოკვრას უბედავენ და ვერც "მსუბუქად" წამოთათუნებას...

რადგან მოცემულ ლოგიკურ სქემაში ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული და ერთმანეთიდან გამომდინარეობს, ცხადია, რომ თუკი არ არსებობს ღირსეული საზოგადოება, არ შეიძლება არსებობდეს სრულყოფილი სახელმწიფოც – პირველის გარეშე მეორე პრაქტიკულად წარმოუდგენელია. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, საუბარია სრულფასოვან სახელმწიფოზე და არა ისეთზე, რომლის პრეტენზიები მხოლოდ სიმბოლიკის გადაკეთება-გადმოკეთებითა და ფორმალური სუვერენიტეტით ამოიწურება. ასეთ დროს ჰიმნიც, დროშაც, "ძლევამოსილი არმიაც", და "აქამდე არნახული წარმატებებიც" მხოლოდ ხელისუფლებასა და მოსახლეობას (უბრალო არითმეტიკულ ერთობას და არა საზოგადოებას) შორის ორმხრივ უსიტყვო გარიგებაზე დაფუძნებული მისტიფიკაციაა. ფორმალურად "საზოგადოებად" წოდებული ეს სუროგატი კი შეგნებულად იტყუებს თავს და მხოლოდ საკუთარ ინფანტილურ პატივმოყვარეობას იკმაყოფილებს. თუმცა, ვინაიდან ორმხრივი გარიგების საფუძველზე შექმნილ "იდეალურ" სამყაროში ის ბოლომდე კომფორტულად მაინც ვერ გრძნობს თავს, სხვა პარალელურ ვირტუალურ სივრცესაც ქმნის, სადაც ყოფნა უფრო უადვილდება.

თავსმოხვეული თეზისების ("აქამდე ყველაფერი არასწორად კეთდებოდა", "აქამდე არაფერი არსებობდა", "ჩვენი ისტორია ახლა იწერება" და ა.შ.) გასანეიტრალებლად, ან მინიმუმ დასაბალანსებლად მაინც, უფრო კი თვითგადარჩენის ინსტიქტიდან გამომდინარე, ადამიანების ცნობიერებაში სრულიად საპირისპირო და არანაკლებ საშიში პროცესე-

ბის სტიმულირება იწყება, რაც საკუთარ ისტორიაზე გაუაზრებელ და პასიურ მიბმაში გამოიხატება. ამ დროს ისტორია აღიქმება არა როგორც მუდმივად განახლებადი დინამიური პროცესი, არამედ როგორც ერთგვარი თავშესაფარი (უფრო სწორად, სამალავი), დროის მცირე მონაკვეთებად დანაწევრებული უფორმო ვირტუალური სივრცე, რომელიც აწმყოსაც მოწყვეტილია და პერსპექტივასაც. ამასთან, რადგან "წარსულში მოგზაურობა" უმეტესწილად მხოლოდ პოზიტიურ განცდებზეა ორიენტირებული, ამ "მცირე მონაკვეთების" დამატებითი ფილტრაცია ხდება. ამ დროს, თვით ყველაზე უფრო ღირშესანიშნავი ისტორიული მოვლენებიც კი კარგავენ "დადებითი მაგალითის" ფუნქციას და სინამდვილეში მხოლოდ წარსულში ჩარჩენილ, დათარიღებულ ფაქტებად იქცევა (თუ *იქცევა* მაშინ ალბათ "კარგავს" კიდეც ხომ?). ასეთი მოჩვენებითი "კომფორტის" გარემოში მოხვედრილი ინდივიდი და "საზოგადოება", ნებსით თუ უნებლიედ, "თვითდაბერების", ზოგჯერ კი თვითგვემის მდგომარეობაში გადადის, რადგან ისტორიისადმი ამგვარი "მომხმარებლური" მიდგომა სამომავლო სტიმულს კი არ იძლევა, როგორც ეს ნორმალურ ვითარებაში უნდა ხდებოდეს, არამედ საკუთარი უსუსურობის შეგრძნებას კიდევ უფრო აძლიერებს. შესაბამისად, ადამიანი კარგავს იმის განცდას, რომ იგი თავად არის ისტორიად წოდებული უწყვეტი ციკლის განუყოფელი ნაწილი, შემოქმედიც კი, და პასიური დამკვირვებლის სტატუსს ჯერდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ის სამომავლო პასუხისმგებლობასაც იცილებს თავიდან. ამგვარი მაზოხიზმი დროთა განმავლობაში ღრღნის საზოგადოების ორგანიზმს და მას უფუნქციო, განახლების უნარდაკარგულ მასად აქცევს.

ისტორია არ არის უბრალოდ წარსული, ის წარსულსა და მომავალს შორის გადებული ხიდია, რომელიც თითოეულ ჩვენთაგანზე გადის. არც ის დაგვავიწყდეს, რომ პრინციპში ყველა ხალხს ის ხელისუფლება ჰყავს, რომელსაც იმსახურებს. ასე რომ, ყველაფერი ისევ ჩვენზეა დამოკიდებული.

# Из личного дневника

**Гига Чихладзе**

Редкий случай в моей жизни - я пошел в баню с друзьями. И там я совершенно неожиданно для себя обнаружил, что один из моих друзей - обрезан.

- Что за черт? Ты же христианин! - невольно воскликнул я.

- Родители сделали мне обрезание до того, как поняли, что я христианин, - невозмутимо ответил он.

- Твои родители?!

Что правда, то правда - его родителей я не знал, мы познакомились в университете, а жил он один.

- Они были евреями.

- Так ты выкрест?

Он болезненно поморщился.

- Вовсе нет. Я же сказал - родился я христианином, но родители этого не поняли.

В общем, я запутался еще больше, но развивать тему не стал. Впрочем, чуть позже разговор у нас все равно пошел о религии.

- Я всегда стараюсь жить по Библии, - сказал другой мой друг (необрезанный).

- Ты?! - расхохотался я.

- Да. Главное правило - это око за око, зуб за зуб, как говорил Иисус.

- Что? Это же Ветхий завет. Иисус говорил, что надо возлюбить врага своего, а если тебя ударят по левой щеке, то надо подставить правую.

- Глупости. Иисус бы этого не сказал.

После этого я прекратил спор. Особенно, когда оказалось, что третий мой друг, который периодически ходит в церковь, постится и все такое, понятия не имеет о существовании четвертого Евангелия, потому что он "всегда пьет только за три" и никогда не слышал о Экклезиасте.

- В Библии ничего такого нет!

Вера в Бога предоставляет возможность быть оптимистом. Собственно говоря, оптимизм - это, в определенном смысле, и есть вера в Бога, его проявление, симптом, так сказать. Впрочем, у некоторых не в Бога, а во что-то другое, но неважно. А порой вера предоставляет возможность быть фаталистом - это вообще самое легкое для многих. Снять с себя ответственность, переложить ее на бога, как бы он ни именовался - Иегова или Аллах, Будда, Кришна или просто Судьба и Случай. И не все учитывают то, что многие религии предоставляют человеку возможность выбора, перекладывают ответственность именно на него. Кто-то это знает, а кто-то - веря в целом, не верит именно этому - возможности выбора, предпочитая чувствовать себя маленьким ребенком, которого ведут за руку. Но, как бы то ни было, со своими друзьями я о религии больше не говорю.

В тот вечер, очевидно под влиянием возлияний, бани, обрезания и общей темы нашего разговора мне приснился страшный сон. Сначала я даже не понял, что это сон.

**NIGHTMARE**

С самого утра у меня разболелся зуб. Конечно, визит к стоматологу - не самое приятное занятие, но делать нечего, пришлось идти. Зубной врач принял меня сразу же. Он хороший парень, мой сверстник, но уже профессионал. В этот раз, зайдя в его кабинет, я впервые заметил угол, увешанный иконами, тут же горела лампада и торчал пучок засохшего самшита. В тот момент я не придал этому никакого значения. Мы поздоровались и я, не без внутренней дрожи, сел в кресло. Зура, так звали врача, сел рядом и, внезапно побледнев, уставился в открытый ворот моей рубашки:

- Где твой крест?

- Что?

- Где твой крест?

Я недоумевающе опустил глаза на свою грудь. Креста и правда не было. Я его не носил.

- Зачем мне крест? - удивленно спросил я. Он посмотрел на меня как-то непонятно и вдруг, словно что-то поняв, быстро сказал:

- Вставай и уходи. Быстро. Меня ждут пациенты.

- Но у меня зуб болит!

- У них тоже. Уходи и больше не возвращайся. Куда идти, сам знаешь.

- Куда? - не понял я.

- К черту! Прости меня господи!

Начав злиться, я встал с кресла, но он, не дав мне сказать ни слова, буквально вытолкал меня из кабинета. Правда, у всей это истории был свой плюс - зуб перестал болеть. Все еще кипя праведным гневом, я решил отправиться по делам. Первым делом мне надо было открыть счет в банке. Бухгалтер категорически отказался выдавать мне зарплату наличными.

Банк был неподалеку и уже через пару минут я стоял перед дверью с надписью "обслуживание физических лиц". Симпатичная девушка в наглухо застегнутой блузке улыбнулась мне, когда я зашел. У меня возникло такое ощущение, будто она чего-то ждала от меня. Я поздоровался, но ожидание в ее взгляде не исчезло. Я сел на стул без приглашения, но удивление как будто усилилось и она бросила взгляд в угол за моей спиной. Я невольно оглянулся и увидел серую стену, украшенную красочными и разноразмерными иконами, горящей лампадкой и точно таким же засохшим пучком самшита, что был и у Зуры. Помрачнев, я повернулся к девушке. Она уже не улыбалась и даже, как будто, перестала казаться симпатичной, сухо сказав:

- Я вас слушаю.

- Мне надо открыть счет в вашем банке. Паспорт у меня с собой. Что-нибудь еще нужно?

Она протянула руку за документом. Быстро пролистав его, она задала странный вопрос:

- Вы грузин?

- Да.

- Не еврей и не мусульманин?

- Кажется, нет.

- В таком случае принесите ксерокопию свидетельства о вашем крещении, справку о причастии, исповеди, официальное подтверждение отпущения грехов и характеристику от вашего личного настоятеля.

Она вернула мне паспорт, презрительно посмотрела на мою отвиснувшую челюсть и сказала:

- Сегодня мы работаем до трех часов. Если поторопитесь, то успеете. Завтра выходной.

- Вы это серьезно?

- Да. Завтра весь состав нашего банка едет на паломничество в Гелати.

- Я не об этом, а о справках отпущения грехов и что вы еще сказали?

- До свидания.

От нее веяло таким диким холодом, что она была способна заморозить преисподню. Я, пошатываясь, встал и вышел.

Где я провел несколько часов, не помню. Просто бродил по городу и видел то, что не замечал раньше. В тот момент я так и не понял, что это всего лишь сон - слишком реалистично все выглядело - город из одних храмов, необычно одетые женщины в головных платках и длинных юбках. Ни одной девушки в джинсах. Ни одного мужчины без шляпы. Каждый прохожий, завидев купол очередного храма, останавливался и крестился. На меня поглядывали косо, но, очевидно принимали за иностранца. Это меня спасало. Пройдя мимо биржы подростков, я не услышал ни одного грязного слова. Они деликатно рассуждали о достоинствах и недостатках церковной архитектуры тринадцатого века.

Устав ходить по городу, я зашел в супермаркет. Дома, насколько я помнил, не было никакой еды, кроме вина.

- Дайте мне ветчины, свиных сарделек, сыра и хлеба. - сказал я продавщице в фирменной накидке с надписью супермаркета, почему-то украшенной церковным орнаментом. Тут она посмотрела на меня так, как будто я предложил ей заняться сексом прямо здесь, в магазине, в 69-й позе (эта поза ведь, все-таки, на любителя).

- Вы еврей? Тогда вам не сюда.

- Нет, я не еврей, - устало сказал я. - И даже не мусульманин.

Она, еще больше округлив глаза, сказала:

- Но сейчас строгий пост!!!

Тут округлил свои глаза я. Это было легко - целый день я ходил именно так.

- Может быть, мясо вам выписал врач? - с надеждой спросила она.

Я ухватился за спасительную медицину:

- Да, именно так, мясо мне просто необходимо. У меня редкая болезнь.

- Мне надо позвонить на склад, не знаю, есть ли у нас что-нибудь в запасах…

- Но я ведь вижу там и колбасу, и сосиски, у вас за спиной…

- Это из сои.

- А, да, тогда, позвоните, пожалуйста, на склад. Вдруг что-нибудь завалялось, - умоляюще сказал я.

Она продолжала молча смотреть на меня.

- Что-нибудь еще? - устало спросил я, чувствуя, что сегодня мне придется остаться злым и голодным - ведь я уже давно не ем ничего, кроме мяса.

- Справка от вашего настоятеля о том, что вам разрешено нарушать пост…

Не говоря ни слова, я повернулся и вышел. У меня не было никакой справки. Я не исповедовался, не причащался, не получал отпущения грехов и права нарушить строгий пост, у меня даже не было свидетельства о крещении, хотя таковое когда-то и состоялось. Я просто пошел домой. А по дороге проснулся.

Дальше рассказывать и не стоит. Проснувшись и спутав реальность с кошмаром, я побежал в церковь за справками. Там меня чуть не побили и выгнали. Но теперь, если я захожу в банк, или к зубному врачу, или даже в магазин, то сразу же ищу взглядом иконы. А найдя - начинаю креститься, пока меня не остановят…

## ИЗ ЛИЧНОГО ДНЕВНИКА ДУРСУНА КАМИКАДЗЕ

Как-то встретив в гостях священника, я разговорился с ним о парадоксальном невежестве многих грузинских христиан. Я даже перечислил конкретные истории, вспомнив один, наиболее меня возмутивший - когда мой случайный оппонент начал утверждать, что вопроса "Что есть истина?" в Библии нет.

Священник слушал меня с брезгливой миной и под конец сказал:

- Чрезмерным знанием увлекаются протестанты. Главное не знать, главное верить.

* * *

Презренный атеизм советского периода никогда особо Грузии не касался. Если в России большевики истерично рушили храмы, то в Грузии такого почти не случалось. В Советской России едва ли не все христианское было под страшным запретом, а в Грузии и в данном случае была совершенно иная ситуация. Достаточно прослушать эстрадные песни Советской Грузии - едва ли не в каждой обнаружишь слова "молитва", "Бог" и так далее. Но сегодня каждый православный грузин совершенно искренне уверен, что наше христианство - самое привилегированное в мире. Многие даже не воспринимают греков и русских, как православных. Другие они, и все тут. Православные, да не те. Даже в вопросе религии грузины остаются "самыми-самыми" во всем мире. Или же "все православные равны, но некоторые равнее"…

* * *

Услышав как-то выражение "истеричное строительство храмов", я задумался и пришел к выводу, что оно абсолютно точно характеризует сегодняшнюю ситуацию. Кстати, после революции-2003 многие ожидали, что Миша сильно изменит взаимоотношения светской власти и церкви. Но в данном случае он умудрился переплюнуть Шеви.

* * *

Еще десять лет назад, когда маршрутка проезжала по Руставели мимо Кашветской церкви, крестились единицы. Сегодня - большинство. И на тех, кто не осеняет себя крестным знамением смотрят если не с неприязнью, то, как минимум, с подозрением. Еще десять-пятнадцать лет назад трудно было представить постные поминки, постный день рождения или постную свадьбу. Сегодня если вы в разгар поста закажете в банкетном зале "мясное" мероприятие (неважно, поминки или свадебный стол), то вам могут отказать. Пост, однако.

* * *

В разгар агрессивного сектантства в Грузии Патриархию начали упрекать: вот, мол, сектанты ходят по домам, активно проповедуют, работают с людьми в семьях, помогают, а вы - нет. Нет, есть, конечно, священники, которые действительно хорошо "работают", но всем ведь не прикажешь следовать их примеру. Кажется, что в Патриархии решили сначала построить храмы в каждом дворе, чтобы человеку не лень было идти за, скажем, причастием. И базилики начали строить повсюду. Но ведь если человек не ходил в церковь, потому что она далеко, то какой смысл строить храм в его дворе? Ходить-то он, может, туда и будет, но…

* * *

Становится забавно, когда читаю старые романы Азимова, в которых люди с библейскими именами в далеком будущем цитируют наизусть Библию и нарекают детей своих именами пророков Ветхого завета. В Грузии не то, чтобы цитировать, многие знать не знают элементарных вещей. А кто знает, тот порой считает, что Ветхий завет - он, как бы не совсем христианский. Что поделаешь, писали-то его не грузины… Множество грузинских христиан обнаруживает совершенно дикое незнание элементарных, казалось бы, вещей, касающихся христианства в целом. Некоторые даже не знают о том, что Иисус был евреем. Впрочем, многие даже не знают, что иудей и еврей - это не совсем одно и то же. Отдельный разговор - это смесь, сплав грузинского язычества с христианством. Есть обычаи, которые церковь не одобряет, некоторые одобряет частично, некоторые отвергает. Но и тут мнения не едины - есть священники, которые допускают то и не допускают это. Но речь о другом - многие грузины относятся

к христианству точно так же, как их предки относились к языческим богам. То есть соблюдают те или иные правила, ритуалы чисто символически. И символически же многое воспринимают. Главное - задобрить бога. Так, что ли? А разброд мнений у священнослужителей тоже мало чему способствует - тут есть весь спектр мнений - от экуменизма (в последнее время более или менее скрываемого), до крайнего радикализма ("только чистый грузин может быть настоящим христианином!").

* * *

Умную женщину встретить можно, но сложно. Встретив один раз именно такую, я пригласил ее в кафе (правда, она была замужем, но дело не в этом). Мы долго сидели, наслаждаясь интеллектуальной беседой и тут она меня спросила: "А ты к кому ходишь?". В каком смысле - удивился я. Парикмахер, портной? "Нет", - поморщилась она. - "Я имею в виду священника". По простоте душевной я выложил ей свои взгляды на сегодняшнюю ситуацию. А она… Она сровняла меня с землей и под конец заявила, что видит за моей спиной беса с черными крыльями (романтично, не правда ли). И ушла. Больше мы не встречались. С тех пор я опасаюсь говорить с малознакомыми людьми на религиозные темы. Это становится опасным…

* * *

Есть у меня хорошая знакомая. Неглупая, казалось бы, девочка, но любит в церкви ходить и исповедоваться. И вот, один раз ей приспичило и зашла она к незнакомому священнику. Тот ее выслушал (кстати, было что послушать, поверьте!) и публично отказал ей в отпущении грехов, едва ли не предав публичной же анафеме. С тех пор она пришла к оригинальному выводу, которым со мной поделилась: "Священник - это как врач. Ходить можно не к каждому. А хороших так мало…". Я могу причислить себя к православным христианам (хотя один мой знакомый отказывает мне в этом праве, говоря, что раз я не соблюдаю пост, не причащаюсь и так далее, значит я язычник. Он из радикалов, но упоминать о моей примеси негрузинской крови все-таки не решается, дабы меня не обидеть. Забавно, правда?). Наверное я все еще не нашел своего "хорошего", как говорит Нино, священника. Может, я плохо ищу?

*სტატია სამშვიდობო ჟურნალისტიკას ეხება. მისი მიზანია დააფიქროს მკითხველი მედიის მნიშვნელობასა და როლზე კონფლიქტურ სიტუაციაში. სტატია განმარტავს მედიის თავისებურებებსა და მის ფუნქციებს. მასში ხაზგასმულია ჟურნალისტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების მნიშვნელობა და მათი ამოქმედების აუცილებლობა კონფლიქტურ სიტუაციაში. სტატიაში განხილულია ემოციებისა და მათი მართვის სპეციფიკას ჟურნალისტის საქმიანობაში. სტატია მცდელობაა იყოს ინტერაქტიული და შექმნას სივრცე, რომელიც ჟურნალისტებს საკუთარი საქმიანობის სამშვიდობო ასპექტებისა და კონკრეტული ხერხების გააზრებაში დაეხმარება.*

თინა ასათიანი

# კონფლიქტი - მედია სანახაობა

## *ფესტივალი*

*მშვიდობისა და ადამიანის უფლებების სამხრეთ კავკასიური კინოფესტივალი, "მე-ადამიანი" 2008 წლის 3-5 მაისს შედგა, თბილისში. "შეიარაღებული კონფლიქტი - მედია სანახაობა" ფესტივალის პირველი დღის თემა იყო. ამავე დღეს ნაჩვენები იყო ორი დოკუმენტური ფილმი, რის შემდეგაც გაიმართა დისკუსია. სწორედ დისკუსიის მონაწილედ გახლდით მიწვეული, როგორც კონფლიქტოლოგი, რომელმაც 2002 წელს დაწერა სტატია - "მედიის როლი კონფლიქტების გადაწყვეტასა და მშვიდობის მშენებლობაში" (ჟურნალი "დრო მშვიდობისა"). დისკუსია ძალზე საინტერესოდ წარიმართა და სერიოზული ბიძგი მომცა, რათა 6 წლის წინ დაწყებული საუბარი გამეგრძელებინა თემაზე, რომელზეც დიდი ხანია მინდოდა გვემსჯელა და რომელსაც თავისი აქტუალობა, ჩემდა გასაკვირად, დღესაც არ დაუკარგავს.*

## *"სამი მეგობარი"*

საუბარს ფესტივალზე ნანახი ფილმით ვიწყებ.

ფილმი "სამი მეგობარი" (რეჟისორი მაშა ნოვიკოვა) სამშვიდობო ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მშვენიერი ნიმუშია. ეს ფილმი სამი ჩეჩენი მეგობრის მიერ გადაღებულ კადრებს ეფუძნება. ერთი მათგანი მოყვარული ოპერატორია - პროფესიით ექიმი, რომელმაც ომის განმავლობაში ბევრი რამე ნახა და გამოიარა. მან ჩათვალა, რომ გასაჭირის ჟამს სამშობლოში უნდა ყოფილიყო, მკურნალობდა/შველოდა ყველას განურჩევლად ეროვნების, ასაკისა ან რაიმე სხვა პირობისა. ფილმში იგი გვიყვება, რომ ქალაქში ჩეჩნებზე მეტი რუსი მოსახლეობა იყო დარჩენილი. კადრში ჩანს, რომ ისინი, არანაკლებ გაოგნებული არიან მოვლენების განვითარებით და ძნელად წარმოუდგენიათ, რომ ეს მათ თავს ხდება და სწორედ საკუთარმა მთავრობამ გაწირა.

მეორე მეგობარი, პროფესიონალი ჟურნალისტია, რომლისთვისაც კამერა ომის განმავლობაში განუყრელი "აქსესუარია". იგი, მოსკოვიდან მოვლინებული ჩეჩენი ჟურნალისტი, ყველაფერს კამერით აფიქსირებს (დაბომბვას, დანგრეულ სახლებს, დახოცილ ადამიანებს) და ჩეჩნეთიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ნებადართული გადაადგილებისას კოლონას დეიდასთან ერთად მიყვება. გზაზე, როდესაც იგი მშვიდობიან მოსახლეობაზე საჰაერო თავდასხმას იღებდა თვითმფრინავიდან

დაცხრილეს. ხოლო მოგვიანებით, მისმა ოჯახმა პრეზიდენტ პუტინის ხელმოწერილი ჯილდო, სიმამაცის ორდენი მიიღო.

მე ამ ფილმს გაორმაგებული ინტერესით ვუყურებდი. ძალზე მაინტერესებდა, როგორც მოქალაქეს, როგორც ადამიანს, პროფესიონალს და, ამავე დროს, ფილმის დასრულებისთანავე, უნდა მესაუბრა როგორც ექსპერტს. აშლილი ემოციების ფონზე ეს ადვილი არ აღმოჩნდა და სწორედ ამით გახდა დისკუსია მნიშვნელოვანი და საინტერესო.

### *თავზარი*

ფილმში ყველაფერი იმ მშვიდობიანი საბჭოთა სოციალისტური რეალიზმით იწყება, რომელიც 70-იანების თაობას კარგად ახსოვს: ლამაზი ახალგაზრდა ადამიანები, უდარდელი მეგობრები, მათი მშვენიერი მეუღლეები, ბავშვები, მხიარულება; და, უეცრად - თავზარი და გაურკვევლობა, დაბნეულობა, უბედურება და ტრაგედია, რომელიც რატომდაც "სწორედ მათ" დაატყდა თავს. ადამიანები თავის ცხოვრებაზე ყვებიან, იმ საზარელ ამბავზე, რომელსაც ჩეჩნეთის ომი ჰქვია და მიუხედავად ამისა მათ საუბარში ვერ იგრძნობთ სიძულვილს ან გაბოროტებას. გასაკვირია, მაგრამ ფილმში არავის ლანძღავენ, არც ემუქრებიან. ცდილობენ გაიაზრონ მომხდარი და გადმოგცენ ამბავი. მათი მონათხრობი დაგაფიქრებთ და გაგიძნელებთ ნაჩქარევ განსჯას, შეფასებას, გადაწყვეტილების მიღებას დაუფიქრებელად.

თურმე, ფილმის ჩვენების შემდეგ, რეჟისორს კონფლიქტის ორივე "მხარიდან" რამდენიმე უკმაყოფილო კომენტარიც მოუსმენია. მათ არ მოეწონათ ის, რაც თავის შესახებ ფილმში ნახეს, მაგრამ ძნელია ედაო კადრებს - სადაც ადამიანები, შენს თვალწინ სარდაფში დაბომბვას ემალებიან; არ მიაქციო ყურადღება ჯერ კიდევ მშვიდობიანი ქალაქის ფონზე შეიარაღებული, ენერგიული, აგრესიული ახალგაზრდების შემოჭრას კადრში. ძნელია არ დაფიქრდე "ომის ბატონებზე", "უვარგის" მოქმედ პირებზე და, ომის წამახალისებელ სტრუქტურულ და კულტურულ ელემენტებზე, რასაც შემდგომში განვითარებული უბედურება ეფუძნება.

## ომი და ჟურნალისტები

ხშირად მოგვწონებია ჟურნალისტის "გმირობა" და აღფრთოვანება გამოგვიხატავს მისი თავდადებული ქმედების გამო. ჟურნალისტები გვატყობინებენ ჩვენთვის საინტერესო და ძვირფას ინფორმაციას ყველაზე მძიმე და ცხელი წერტილებიდან, სადაც ყოველი მოქმედი პირის გამოჩენას (თუნდაც კეთილი განზრახვისა და სურვილების მქონის, თუნდაც თავგანწირული ჟურნალისტისა) გარკვეული მნიშვნელობის

ეფექტი ახლავს თან. მაგალითად, საგულისხმოა, რომ ე.წ. "ომის კორესპოდენტების" შეტყობინებებში ძალადობის ცალმხრივი გაშუქება ამ ძალადობას საზოგდოებისათვის უფრო მისაღებს ხდის. ამავე დროს, სრული სურათის ჩვენებას, გამომაფხიზლებელი ეფექტი გააჩნია. ამ დროს ხდება არა მხოლოდ ძალის გამოყენების ფასისა და მნიშვნელობის ჩვენება, არამედ, იმ შესაძლებლობებისაც, რომელთა გამოყენებაც არ მოხერხდა.

ფილმის ჩვენებას დავუბრუნდები და გავიხსენებ, რომ დისკუსიის მონაწილეებმა კატეგორიულად მომთხოვეს, განმემარტა, თუ რა არის სამშვიდობო ჟურნალისტიკა და რას ვეძახით ამის საპირისპიროდ ომის ჟურნალისტიკას? სწორედ, ამ საკითხზე მსურს თქვენთან საუბარი.

## *მოკლე პასუხები არ არსებობს*

უფრო სწორედ, არსებობს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ჭეშმარიტად დაინტერესებული მკითხველისათვის. პრობლემა იმაშია, რომ კარგი ჟურნალისტი მოუცლელია. მათ ვინც ომზე წერს არ სცალია იმისათვის, რომ დაფიქრდეს, გაიაზროს, ისწავლოს და იგრძნოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა. "არ ცოდნა, არ ცოდვააო" ამბობენ, მაგრამ განა ასეა? საქმე ხომ ადამიანების სიცოცხლესა და ბედ-იღბალს ეხება.

არ ვიცი, რამდენად შესაძლებელია, მაგრამ მე ვისურვებდი, რომ ჩემი მკითხველთან ურთიერთობა ინტერაქტიული იყოს. სწორედ ამიტომ ამ სტატიაში, თქვენ უამრავ კითხვის ნიშანს ნახავთ. ამ კითხვის ნიშნებმა, ერთი მხრივ, უნდა დაგაფიქროთ, ხოლო მეორე მხრივ, გაგააქტიუროთ, თქვენთვის საინტერესო საკითხებსა და პრობლემებზე საუბრის/განხილვის სურვილი გაგიჩინოთ.

*მაშ, რას ნიშნავს ომისა და სამშვიდობო ჟურნალისტიკა?*

*"სამშვიდობო ჟურნალისტიკა ეს არის ამბების თხრობისა და ასახვის უფრო სრული, თანმიმდევრული გზა. კონფლიქტის ანალიზისა და ტრანსფორმაციის ფრთხილი წამოწევა, გაგება. ეს მიდგომა ავლენს ახალ მიმართებებს/კავშირებს ჟურნალისტებს, მათ წყაროებსა და იმ ამბებს შორის რომელზეც ისინი საუბრობენ, ჟურნალისტების მოღვაწეობის შედეგებზე, ჟურნალისტური ჩარევის ეთიკაზე".* (Annabel McGoldrick and Jake Lynch, "Peace Journalizm, How To Do It", 2000).

ტერმინი - "სამშვიდობო ჟურნალისტიკა" ცნობილ ნორვეგიელ მეცნიერს, იოჰან გალტუნგს ეკუთვნის. ეს ტერმინი მან 1970-იან წლებში გამოიყენა და მაშინვე გამიჯნა იგი "ომის ჟურნალისტიკისაგან". გალტუნგმა ეს უკანასკნელი სპორტის ჟურნალისტიკას შეადარა, სადაც

მუდმივად წაგება-მოგებაზეა საუბარი, "თამაშზე ნულოვანი ჯამით". სამშვიდობო ჟურნალისტიკა, ავტორის აზრით, უმჯობესია "ჯანმრთელობის ჟურნალისტიკას" ჰგავდეს, სადაც ჟურნალისტი გვესაუბრება დაავადების მიზეზებზე, სასიცოცხლო ციკლზე, განვითარების დინამიკაზე და გვისახავს მისი მკურნალობისა და თავიდან არიდების შესაძლო საშუალებების სრულ სპექტრს. დღეს ამ მიმართულებით დასავლეთში არა მხოლოდ მეცნიერები მუშაობენ/წერენ, არამედ მედიის წარმომადგენლებიც.

## *ვის სამსახურშია ჟურნალისტი?*

საზოგადოების? ანუ, რეალურად ვისი? რომელ ჯგუფს ემსახურება? ან, ვის წისქვილზე ასხამს წყალს? ფიქრობს ამაზე? გაცნობიერებული აქვს?

ერთია თუ რას ვფიქრობ, რა მაქვს გაცნობიერებული და ეს დიდად განაპირობებს იმას, რასაც ვამბობ. თუ არა მაქვს გაცნობიერებული, მაშინ რა ხდება?

ჩნდება მიკერძოებული დამოკიდებულება და ასეთ შემთხვევაში უნდა ამუშავდეს ჟურნალისტური ეთიკა.

ჩვენ ყველა, ერთმანეთის სამსახურში ვართ.

- *ხომ არ არის ჟურნალისტი დამქირავებლის სამსახურში?*

მას სენსაციას სთხოვენ, ცხელ ამბებს, მაგრამ ისევ იმიტომ, რომ ეს უფრო კარგად იყიდება, ამაზეა საზოგადოების მოთხოვნა. ფუფუნება ხომ არაა, ვაკეთოთ ის რაც სწორად მიგვაჩნია?

და, ამაში ისევ ჟურნალისტური ეთიკა დაგვეხმარება.

**ჟურნალისტური ეთიკის კოდექსში სამი ძირითადი მოვალეობა ფიგურირებს: სიმართლის ძიება, დამოუკიდებლობა და ზიანის მინიმუმამდე დაყვანა.**

- *"სამშობლოსა და ხალხის სამსახურში" ხართ?*

ხალხს სიმართლე უნდა. რა ვაჩვენოთ? ყველაფერი? გავიხსენოთ 11 სექტემბერი. როგორ იმუშავეს ჟურნალისტებმა? დიდი მნიშვნელობა აქვს იმას თუ რას ამბობს ჟურნალისტი, როდის და როგორ.

მედია საკმაოდ წარმატებით ზემოქმედებს ადამიანების, მასების იდეებისა და მოსაზრებების ფორმირებაზე, ხოლო გამოცდილ ჟურნალისტს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია მკითხველზე/მსმენელზე/მაყურებელზე. თუნდაც იმით, თუ რა მიმდევრობით გადასცემს მასალას, რა ემოციით, რა სტილითა თუ ოდენობით და ა.შ.

## *განა ჟურნალისტს კონფლიქტოლოგობა მოეთხოვება?*

რა თქმა უნდა არა. ჟურნალისტმა, პირველ რიგში, თავისი საქმე უნდა იცოდეს კარგად. ჟურნალისტის პროფესიონალიზმი ჟურნალისტური მეთოდების ცოდნაა, ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვა, რაც მას კონფლიქტურ გარემოში გარკვეულ გარანტიებს შეუქმნის იმისათვის, რათა სერიოზული შეცდომები არ დაუშვას.

თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ კონფლიქტის დროს ნებისმიერ, ყველაზე მსუბუქ ინტერვენციასაც კი სიტუაციაზე სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია, ალბათ დავფიქრდებით საკუთარ როლსა და შესაძლებლობებზე.

*- ჟურნალისტს ხშირად უწევს კონფლიქტურ სიტუაციაში მუშაობა. სად არ არის ასეთი სიტუაცია?*

განსხვავებული აზრი და დაპირისპირება ჯანსაღ, დემოკრატიულ საზოგადოებაში ნორმალური მოვლენაა და, თანაც ჟურნალისტიც ხომ სწორედ ამას ეძებს. თორემ არც თუ ისე შორეული წარსულისათვის ასე დამახასიათებელი ხოტბის შესხმა და გამუდმებული საუბარი მხოლოდ ყოველგვარ სიკეთეზე დღეს ხომ საშინლად გვაღიზიანებს და გონებაში უსიამოვნო ანალოგიებს აცოცხლებს.

*- ჟურნალისტმა უნდა ილაპარაკოს სიმართლე*

**- "ვილაპარაკოთ სიმართლე ისე, რომ არავინ დავაზიანოთ".**

ვისი სიმართლე?

ადამიანები საზოგადოდ სუბიექტურები არიან. ის, რასაც ობიექტურობას ვუწოდებთ, ძალზე ილუზორული და პირობითია. უპირატესობას ვანიჭებთ მათ, ვინც მოგვწონს, ვინც ჩვენიანია, ვიზეც დამოკიდებული ვართ და ა. შ.

ჩვენი აღქმაა სუბიექტური. ხშირად - დამახინჯებული, განსაკუთრებით დაპირისპირების დროს.

ჩვენი დამოკიდებულებაა სუბიექტური. აშკარად, უფრო ხშირად კი ფარულად, ჩვენში დაუსაბუთებელი უარყოფითი დამოკიდებულება არსებობს და მოქმედებს ჩვენს შეხედულებებსა და ქცევაზეც.

ჩვენი შეფასებებია - სუბიექტური. მიკერძოებულ შეფასებებს ვაკეთებთ და ამით დაპირისპირებას ვამწვავებთ.

მაგრამ, კარგი ჟურნალისტი მიუკერძოებელი უნდა იყოს.

იგი:

ა)ინფორმაციას ორივე მხარეზე ეძებს და დაბალანსებულად აწვდის მსმენელს/მაყურებელს. (ამაში კარგი ჟურნალისტობა ეხმარება)

ბ)არ ცდილობს მტყუან-მართლის ძიებას (ამაში კონფლიქ-ტოლოგიური ცოდნა დაეხმარება)

გ)არ დგება რომელიმე მხარეს (აქ - ორივე დასჭირდება)

დ)აქვს მოსმენისა და საკუთარი ემოციების მართვის უნარი (კონ-ფლიქტების თეორიასა და პრაქტიკაში ცნობილ ძირეულ უნარ-ჩვევებზეა საუბარი) და სხვ.

**კონფლიქტის ზონაში მომუშავე ჟურნალისტს მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად (ამაში მეთოდების ცოდნის გარდა ჟურნალისტური ეთიკის გაზიარება იგულისხმება) კონფლიქტოლოგიური ცოდნაც სჭირდება.**

- *რა ენაზე ვესაუბრებით მკითხველს/მსმენელს?*

ალბათ, იმაზე რომელიც მისთვის გასაგები იქნება.

ურთიერთობისას ენის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგის ენა უკეთ გვესმის, ხოლო ზოგთან პრეტენზია და გაუგებრობა გვაქვს.

ერთხელ ჩემი ერთი სტატია, რომელიც ჩემი აზრით "პოპულარული" ენით იყო დაწერილი, ახლობელ ფიზიკოსს წავაკითხე. როცა აზრი ვკითხე, მითხრა: "ძალიან საინტერესოა, მარა ამ ფსიქოლოგებმა ცოტა რთული ენით იცით ლაპარაკიო".

უცხოელს უმჯობესია მის ენაზე ესაუბრო. უკეთ გაიგებს და მეტი ნდობა და პატივისცემაც გაუჩნდება. ბავშვს - მისთვის გასაგებ ბავშვურ ენაზე, ოღონდ არა ენის მოჩლექით. ფსიქოლოგს, მისი კოლეგის ენა უფრო კარგად ესმის, ხოლო მათემატიკოსები საუბარს ალბათ სხვაგვარად აგებენ ერთმანეთში, სტრუქტურირებულად და ლოგიკურად.

## *კომუნიკაციის მიზანი ხომ არ გვავიწყდება?*

იგი ეფექტური უნდა იყოს, ანუ ერთი მხარის მიერ გადაცემული ინფორმაცია მაქსიმალურად შესატყვისი სახით უნდა მიიღოს მეორე მხარემ და, ეს ორივეს პასუხისმგებლობაა. ეძიოს უკუკავშირი - მოერი-დოს ცალმხრივ კომუნიკაციას და გაითვალისწინოს მისი სირთულე.

კონფლიქტის დროს კომუნიკაცია მახინჯდება, უფრო მეტიც, მოწინააღმდეგის უპირველეს ამოცანას სწორედ კომუნიკაციის დამახინ-ჯება, საკომუნიკაციო კავშირების დარღვევა წარმოადგენს. ხორციელდე-

ბა კონტროლი საკომუნიკაციო საშუალებებზე, ხდება სპეკულირება "სიტყვის თავისუფლებით" და სიძულვილის შეტყობინებების გავრცელება.

## *სიძულვილის ენაზე რას იტყვით?*

ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში საუბარია სიტყვის თავისუფლებაზე, მაგრამ ამავე დროს იმაზე, რომ მიუღებელია საუბარი სიძულვილის ენაზე, მსჯელობა რასობრივ, ან სხვა სახის უპირატესობაზე, ან სიძულვილზე.

*- ხომ არ მიმართავს ხოლმე ჟურნალისტიკა ამგვარ ხერხებს დაპირისპირებისას?*

სიძულვილის ენა - გულისხმობს დამამცირებელ გამონათქვამებს კონკრეტული ადამიანის, ან ადამიანების ჯგუფის მიმართ. გამონათქვამებში - "მატყუარა პრეზიდენტი", ან "მშიშარა მთავრობა", "ჯიბის ოპოზიცია", ან, "ჩარეცხილი ინტილიგენცია" და ა.შ. გამაღიზიანებელი შეფასებების გარდა, შემურაცყოფელი სიტყვებიც შეინიშნება.

სიძულვილის ენა არა ერთხელ იქნა გამოყენებული სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ეპოქაში, როგორც შუღლისა და სიძულვილის გაღვივების საშუალება. ცნობილია, რომ ნაცისტური გერმანიის რადიო და ტელევიზია აქტიურად იყენებდა ამ საშუალებას, რათა გაეღვივებინა რასობრივი სიძულვილი და შემდგომში ადვილად განეხორციელებინა თავისი გეგმები. დღესაც, დედამიწის მრავალ წერტილში სიძულვილის ენა (ზოგჯერ, მედიის ხელშეწყობით) ნოყიერ ნიადაგს ქმნის ომების გასამართლებლად და მხარდასაჭერად, რასაც გენოციდი და ეთნიკური წმენდა ეფუძნება.

*- რა შეიძლება გავაკეთოთ ამის გადასალახად? ავკრძალოთ ამგვარი ენა?*

## *მაშინ სადღაა დემოკრატია, ადამიანის უფლებები და სიტყვის თავისუფლება?*

თავისთავად რთულია ზღვარის გავლება სიძულვილისა და თავისუფალ მედიას შორის და აქ ბევრი რამაა ყურადსაღები: დილემა "სიმართლის თქმისა" და ზიანის არ მიყენების, დამოუკიდებლობის პრობლემა, ომის კულტურა და სტრუქტურული ჩარჩო და ა.შ.

სკანდალურ მასალას, რომლის "ხიბლი" ხშირ შემთხვევაში "სიძულვილის ენას" უკავშირდება მეტი მიმზიდველობა აქვს და მისი შეზღუდვა თავისუფალ მედიაზე ზეწოლად აღიქმება.

მაშ, როგორ უნდა იმოქმედოს ასეთ პირობებში სამშვიდობო ჟურნალისტიკამ? მრავალი მოსაზრება არსებობს, მაგრამ ერთერთი უმნიშვნელოვანესია - სამშვიდობო მედიის ეფექტურობისა და ოპერატიულობის ზრდა.

# სტერეოტიპული აზროვნება და პრეჯუდისები

*სტერეოტიპული აზროვნებისა და პრეჯუდისების (დაუსაბუთებელი ნეგატიური დამოკიდებულების) შესახებ ყველას გვსმენია, მაგრამ ისინი "ცუდია", თუ რაიმე მნიშვნელობისა და/ან ფუნქციის მატარებელი?*

საზოგადოებაში, სოციალურ ჯგუფებში არსებულ გამყარებულ, განზოგადებულ შეხედულებებს სხვა ადამიანთა ჯგუფების შესახებ **სტერეოტიპებს** უწოდებენ. უარყოფითი სტერეოტიპი ხდება კონფლიქტის ესკალაციის თანმდევიცა და მისი საფუძველიც.

ჩეჩენი მაინც და მაინც "ბოევიკია", აფხაზი - "სეპარატისტი", ქალი - "უჭკუო", ხოლო სახელმწიფო მოხელე - "კორუმპირებული". ამგვარი განზოგადებები არც ისე სასიამოვნო მოსასმენია და ადამიანებში ერთმანეთისადმი პატივისცემასა და ნდობის შენებას ვერ შეუწყობს ხელს. არა და, იმის დასაბუთებას, რომ ეს ადამიანი/ჯგუფი ასეთია, ადვილად ვახერხებთ.

სტერეოტიპის ხშირი გამოყენება, მუდმივ განზოგადებას ნიშნავს, ხოლო ზედმეტი განზოგადება სახიფათო ხდება და შეცდომაშიც შევყავართ.

მხარეებს შორის დაძაბულობის ზრდასთან ერთად სტერეოტიპი უფრო მკვეთრი და მტრული ხდება. თუმცა, უარყოფით სტერეოტიპთან ერთად მწვავდება დადებითიც - ხდება გარკვეული პოლარიზაცია. დადებითი სტერეოტიპები ჩნდება მათ მიმართ, ვინც "შენს მხარეზეა", ხოლო უარყოფითი - იმის მიმართ ვინც "სხვად" აღიქმება. უარყოფითი სტერეოტიპის გაძლიერების ფონზე ხდება "მტრის ხატის" ჩამოყალიბება, ყოველივე ეს კი საბოლოოდ, სულ ცოტა, დისკრიმინაციულ ქცევას ედება საფუძვლად.

ერთხელ შექმნილი სტერეოტიპი ძნელი შესაცვლელია. "იგი არის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილების ფუნქცია" (დამოკიდებულია მათზე) და აქედან გამომდინარე ძალიან ნელა იცვლება.

სხვა მხრივ, სტერეოტიპი გვაკვალიანებს, თორემ ყოველ ახალ ჯერზე ახლიდან დაგვჭირდებოდა ურთიერთობის დამყარება. ხოლო, ხიფათის გათვალისწინება ყველაზე მეტად სწორედ ჟურნალისტებს მართებს, რადგან მათი ინფორმაცია "მართალი" უნდა იყოს და, ამავე დროს დაპირისპირების გამწვავებას არ უნდა უწყობდეს ხელს.

## *რა როლი აქვს მედიას სტერეოტიპებისა და პრეჯუდისების ფორმირებაში?*

*ხომ არ "ცოდავს" იგი რაიმეს ამ თვალსაზრისით?*

არჩევანი თქვენზეა, შეგიძლიათ გააგრძელოთ სტერეოტიპებით საუბარი, ამგვარი უკიდურესი განზოგადებებით ჩვენი მეტყველება გადატვირთულია, ან იყოთ მგრძნობიარე განზოგადებების მიმართ.

ერთი შემთხვევა მახსენდება ჩემი პრაქტიკიდან. ქალაქ სოჩში ტარდებოდა საერთაშორისო ტრენინგი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის. სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა ჟურნალისტები მონაწინეობდნენ: საქართველოდან (მათ, შორის აფხაზეთიდან), სომხეთიდან (მათ შორის ყარაბახიდან), აზერბაიჯანიდან (მათ შორის ყარაბახის სომხური ნაწილიდან), რუსეთიდან (მათ შორის ჩეჩნეთიდანაც), გერმანიიდან, ჩეხეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან. მოხდა ისე, რომ ჩეჩენ მონაწილეს არ ვიცნობდი და ველოდი წვერიანი, აგრესიული ახალგაზრდის გამოჩენას (ჩეჩენი ბოევიკის შესახებ გავრცელებული სტერეოტიპის შესატყვისად) და როდესაც დარბაზში მაღალი, შესანიშნავი გარეგნობის ახალგაზრდა შემოვიდა, რომელიც კეთილგანწყობილებას აფრქვევდა და რომელსაც მონაწილეები სიხარულით შეეგებნენ - ცოტა დავიბენი.

მეორე დღეს "ნორდ-ოსტის" ცნობილი ტრაგედია დატრიალდა. ღონისძიება შეწყდა და ყველა ტელევიზორს მივუსხედით. ვუსმენდით სტერეოტიპებითა და პრეჯუდისებით გადატვირთულ ინფორმაციას, ძალიან ვნერვიულობდით და, მორიდებით შევცქეროდით ჩეჩენ ახალგაზრდას, რომელიც თავშეკავებულად რეაგირებდა მოვლენებზე.

ეს იყო მომენტი, როდესაც კარგად ვიგრძენი და გავიაზრე, თუ რას ნიშნავდა სტერეოტიპული აზროვნება და მიკერძოებული დამოკიდებულება; გამიჩნდა კითხვები, რომლის პასუხებშიც საბოლოოდ "ნორდ-ოსტის" შესახებ ბრიტანელი დოკუმენტალისტის მიერ გადაღებულმა ფილმმა გამარკვია.

გავაცნობიარე რა დამკვიდრებული სტერეოტიპების გავლენა საკუთარ შეხედულებებზე, გავიაზრე საკუთარი შეცდომა, მე მივუახლოვდი რეალობას და "სიმართლეს". ეს იყო ბიძგი იმისაკენ, რომ გავ-

სულიყავი შექმნილი ხისტი ჩარჩოდან და სხვა მხრიდან შემეხედა პრობლემისათვის. არ ვეთანხმებოდი არც ერთ და არც მეორე მხარეს (ჩეჩენი ახალგაზრდები და რუსეთის ხელისუფლება) და ეს არც იყო საჭირო, რადგან შევძელი ვყოფილიყავი მიუკერძოებელი რეალურ პრობლემურ სიტუაციაში.

არსებობს პროფესიები, სადაც ეს უნარი აუცილებელია. თუ თქვენ ეს არ შეგიძლიათ, დაფიქრდით, ღირს კი, რომ იყოთ ჟურნალისტი, განსაკუთრებით კონფლიქტურ სიტუაციაში.

# რას ნიშნავს ურთიერთობის პროცესები და რამდენად გვჭირდება მათი ცოდნა

*რამდენადაა ჩვენი წარმატება დამოკიდებული სწორად შერჩეულ პროცესზე? სატელევიზიო სივრცეში არსებობს უამრავი წარმატებული გადაცემა იქნებ დავფიქრდეთ, რას ემყარება მათი წარმატება?*

ცნობილია, რომ როდესაც რამდენიმე ადამიანი ერთად მუშაობს რაიმე საკითხზე, მათი ურთიერთქმედება **ორ დონეზე** წარიმართება: ერთია - **შინაარსის** დონე, სადაც ადამიანები უზიარებენ ერთმანეთს საქმის არსს, საკითხის ირგვლივ არსებულ ინფორმაციასა და ფაქტებს; ხოლო მეორე - ურთიერთობის, ანუ პროცესუალური დონე. ადამიანები **ურთიერთქმედებენ**, უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას, საკუთარ შეხედულებებს და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რაზე საუბრობენ ისინი, არამედ, ისიც, თუ როგორ აკეთებენ ამას; რამდენად ზრუნავენ საკითხებზე და ფიქრობენ ურთიერთობის შენარჩუნებაზე; ფლობენ სხვადასხვა ხერხებსა და მეთოდებს, იციან იმ პროცესის შესახებ, რიმელშიც მონაწილეობენ.

ჩვენ ყოველდღიურად ვმონაწილეობთ სხვადასხვა სახის პროცესებში - ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, მიგვყავს შეხვედრა ან დისკუსია, ვიღებთ ინტერვიუს და ა.შ.

პროცესები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მიმდინარეობით, განვითარების ეტაპებით, მონაწილეთა ჩართულობის ხარისხით, მოქმედი პირების როლებით, გადაწყვეტილების მიღების წესით და ა.შ.

პრობლემა იმაშია, რომ ხშირად:

" ადამიანები განსაკუთრებულ კონცენტრაციას ახდენენ შინაარსზე და ნაკლებად ფიქრობენ პროცესზე;

" იციან ერთი რაიმე მეთოდი/ხერხი/პროცესი და მუდ-

მივად მას მიმართავენ (განსაკუთრებით თუ ამ მეთოდმა ოდესმე წარმატებით იმუშავა);

" არა აქვთ შესაბამისი უნარ-ჩვევები და სწორი დამოკიდებულება.

არა და, მიღწეული წარმატება (შინაარსობრივად), სწორად შერჩეული მეთოდისა და მისი ეფექტური წარმართვის გზითაა შესაძლებელი. მცოდნე ადამიანი უნდა ფლობდეს სხვადასხვა მეთოდებს, ერკვეოდეს პროცესებში, იცოდეს მათი მართვა და იყოს მოქნილი მათ შერჩევაში. ამაზეა დამოკიდებული მისი ქმედების ეფექტურობა.

## *ფორმატები/პროცესები - როდის და რისთვის რა მჭირდება? მექანიკურად ხომ არ ხდება მათი გადმოტანა?*

ჟურნალისტური მეთოდების ცოდნა და ეფექტური კომუნიკაცია რომ გვჭირდება ეს ცხადზე ცხადია, მაგრამ რა პროცესების მართვაზეა საუბარი დაპირისპირების პირობებში?

კარგი ჟურნალისტიკა სწორედ რომ დაპირისპირებაზე "ნადირობს". სწორედ ის მატებს დინამიურობასა და სიმძაფრეს ამა თუ იმ სატელევიზიო ფორმატსა თუ სტატიას.

დემოკრატიულ საზოგადოებაში მრავალფეროვნება და განსხვავებული აზრია წახალისებული. სტუდიაშიც, ან სადისკუსიო დარბაზში "თოქ-შოუს" წამყვანი სწორედ აზრების და შეხედულებების მრავალფეროვნებას "ეპატიჟება", მაგრამ რაც უფრო მეტია განსვლა შეხედულებებში, ან მეტი განსხვავებული შეხედულება და მოსაზრებაა, მით უფრო ჭირს პროცესის მართვა და მით უფრო გვჭირდება ცოდნა იმისა, თუ რას ვაკეთებთ და რასთან გვაქვს საქმე.

## *"ბოიკოტი", თუ პროცესის მართვის უცოდინრობა?*

რეალურ გამწვავებას პროცესის მართვის გართულება მოსდევს. ჟურნალისტი მაღალი ხმით ვეღარ ჯობნის მოსაუბრეს და ვერც ბევრჯერ გამეორებული თხოვნა ჭრის. მაყურებელი დაძაბული უსმენს და აღარაფერი ესმის, რადგან მოსაუბრეები ვეღარ უსმენენ ერთმანეთს და აღარც უნდათ მოსმენა. ზოგჯერ, სასოწარკვეთილ მონაწილესა თუ წამყვანს ისღა რჩება, რომ პროტესტი გამოაცხადოს და ლამის პირდაპირ ეთერშიც კი დატოვოს გადაცემა.

## *გამწვავება ფორმატის შეცვლას იწვევს*

*ჟურნალისტი მხარეებს ცალ-ცალკე ეპატიჟება და თავად უწევს ოპონირებას. რატომ? შოუს გადასარჩენად ხომ არა?*

სტრატეგიის შეცვლაში ცუდი არაფერია. იქნებ განსაკუთრებით სერიოზული გამწვავების გამო სიტუაცია თავად გვკარნახობს ფორმატს და, ამ ეტაპზე ყველაზე ეფექტური მხარეებთან სათითაოდ და ცალკე-ცალკე შეხვედრაა? კარგია, თუ ჟურნალისტი ამას გააზრებულად აკეთებს და საჭირო შემთხვევაში და არა მხოლოდ ინტუიტურად ან შოუს გადასარჩენად.

## *კიდევ ერთი სადაო ფორმატი - ორი ჟურნალისტი ერთი რესპოდენტის პირისპირ! რატომ "სამკუთხედი"?*

ორი ჟურნალისტი ერთ რესპოდენტს "ეჩხუბება". რატომ? არაბუნებრივია.

ორი ჟურნალისტი ერთ სტუმარს, სავარაუდოდ, "აჯობებს".

შედეგად, რეალური ცხოვრებისა და დაპირისპირების ნაცვლად სუროგატი გვაქვს და საზოადოება ამას კარგად გრძნობს.

*მიკერძოებული არხი "თავისიანებთან" ერთად და, "მეორე მხარეც" არ აყოვნებს. ხელს ხომ არ უწყობს მედია პოლარიზებას?*

ორივეგან სტუმარიც თავისიანია და მაყურებელიც. თვალნათლივ ხდება პოლარიზაციის დემონსტრირება და ხელშეწყობა. ჯოხი ჟურნალისტებზე ტყდება და ყოველივე მედიის პროფესიონალიზმის დაბალ დონეს მიეწერება.

# მედია-პროდუქტი შეიძლება იყოს სანახაობრივი, მაგრამ რა ვუყოთ საპასუხოდ წამოსულ ცოცხალ ემოციებს

*ველარ ვუმკლავდებით? სადაა პროცესის მართვის უნარ-ჩვევები?*

**ტელე-წამყვანის ტიპიური შეცდომები და მათი სავარაუდო მიზეზებია:**

" კონცენტრირება საკუთარ თავზე - როგორ გამოვიყურები? როგორ გამომდის? როგორია ჩემი პოპულარობა/რეიტინგი?

" შეწყვეტინება - დროის ჩარჩო და გამძაფრებული პასუხისმგებლობა მიმდინარეობაზე, რომელიც კარგად არ "ვიცი"

" მოუთმენლობა - გავიგე, რასაც ამბობთ და ახლა მე მომისმინეთ, დრო შეზღუდული გვაქვს

" კითხვებს სვამს და თავადვე პასუხობს - კომპეტენტურობის დემონსტრირება

" ორიენტაცია შოუზე და არა მოსაუბრეზე, ან საკითხზე - პირველ რიგში სანახაობა

" ინტერპრეტაცია პერეფრაზის ნაცვლად - აქტიური მოსმენის ნაცვლად ჟურნალისტი შეფასებას, განსჯასა და მისეულ ანალიზს იწყებს

" გადიზიანება ემოციების მართვის ნაცვლად - რესპოდენტიდან წამოსულ ემოციას, ემოციით პასუხობს

ჟურნალისტის დინამიური, ხალისიანი, ღია, კეთილგანწყობილი სტილი მიმზიდველია და მამოტივირებელი. სწორედ ესაა მისი წარმატების საფუძველი.

## *რატომ მაინც და მაინც მოსმენა? ვუსმენ, აბა რას ვაკეთებ?*

მოსმენა კომუნიკაციის ერთ-ერთი საკვანძო უნარ-ჩვევაა. ამ დროს ადამიანი მობილიზებულია, რათა გაიგოს არა მხოლოდ შეტყობინების შინაარსი, არამედ ის ემოციაც, რომელსაც მოსაუბრე ამ შინაარსთან დაკავშირებით გამოხატავს. ანუ, სრულად მიიღოს ინფორმაცია, რომლის მიღების შანსიც ეძლევა.

თუ ჟურნალისტი კარგი მსმენელია, იგი:

" **იმსახურებს მოსაუბრის სიმპათიასა და ნდობას**, რადგან ცოტაა ისეთი ადამიანები ვინც ინტერესით გვისმენს და გვიგებს. თქვენ მოსაუბრის ნდობით აღჭურვილი ადამიანი შეიძლება გახდეთ!

" **ხდება ინფორმაციის მფლობელი**, რადგან კარგად განვითარებული მოსმენის უნარი ჟურნალისტს ამის შანსს აძლევს. რეალური ინფორმაციის მოპოვება ხომ თქვენი პირდაპირი მოვალეობა და ინტერესია!

" **ადვილად უმკლავდება ვარაუდებს**, რადგან ფლობს ინფორმაციას, რაც ინტერპრეტაციისა და ვარაუდის საჭიროებას

სპობს. თქვენ შეძლებთ იყოთ მიუკერძოებელი!

" **ადვილად აწყობს საუბარს**, რაგდან შეუძლია იგი თავისი პარტნიორის საჭიროებებსა და ინტერესებზე დააფუძნოს. მოსაუბრის ინტერესებზე დამყარებული საუბარი მისთვის მამოტივირებელია, ხოლო თქვენ - პროცესის მართვას გაგიადვილებთ!

" **ხელს უწყობს ემოციების განმუხტვას**, რადგან აქტიურ მოსმენას ასეთი ეფექტი ახასიათებს - როდესაც ადამიანს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის საშუალება ეძლევა, მას უგებენ და, ემოციებიც ნელ-ნელა "ნიავდება"!

## *ემოციები ჩნდება და განა ჟურნალისტის/წამყვანის სამართავია?*

*ყველამ საკუთარ თავზე და ემოციაზე "აგოს პასუხი".*

რადგან ემოციების საკითხს შევეხეთ, იქნებ, ცოტა კიდევ გავაგრძელოდ მასზე საუბარი. განსხვავებულ აზრს და დაპირისპირებას ემოცია რომ მოსდევს, მას რაღაც უნდა მოვუხერხოთ. ფორმატი თქვენია, მასპინძელი თქვენ ხართ და განსხვავებული აზრებიც თქვენ "დაპატიჟეთ". კონფლიქტის დროს გაჩენილი ეს უდიდესი ენერგია, არსად იკარგება და მთის მდინარისა არ იყოს, ან წალეკავს ყველაფირს ან უამრავი სასიკეთო საქმის განხორციელებაში დაგვეხმარება.

კონფლიქტის ტრანსფორმაცია და კრეატიული მიდგომაც ხომ იმისათვის გვინდა, რომ ეს უდიდესი ენერგია წინსვლის, განვითარების საფუძველი გახდეს. კარგი, გულწრფელი, პროფესიონალური გადაცემიდან ყველა მონაწილე "გამდიდრებული" და კმაყოფილი გამოდის. არავის რჩება განცდა იმისა, რომ დრო ტყუილად დაიკარგა, თუნდაც ეს გარკვეულწილად "მედია სანახაობა" იყოს.

დაპირისპირებისას ყველაზე დიდ ხიფათს მოზღვავებული ემოცია წარმოადგენს. ვისაც ემოციის მართვის გამოცდილება განცდაში არ ეძლევა, ვერ მიხვდება ემოციის უდიდეს მნიშვნელობას. დაპირისპირებაში მისი მუდმივი თანმდევი შიში იქნება და ვერასდროს გამოიყენებს იმ სერიოზულ შანსს, რასაც კონფლიქტი, განსხვავებულ აზრთა ჭიდილი და ადამიანთა ურთიერთობა აძლევს.

## *მაშ რა ვუყოთ ემოციას? უნარ-ჩვევების ნაკლებობა ხომ არ გვაქვს?*

ახლო წარსულიდან ერთი მაგალითი მახსენდება. ოპოზიციის წარმომადგენელი, აგრესიული პოლიტიკური ლიდერი, ერთ-ერთ წამყვან

ჟურნალისტს უტევს. მისი საქმე ოპოზიციაში ყოფნა და შეტევაა, მაგრამ ამჯერად, აგრესიული ტონი არა ადრესატზე, არამედ ჟურნალისტზეა მიმართული (როდესაც ემოცია ჩნდება მისთვის მიმართულების მიცემა რთულია. იგი შეკავებული სახითაც გარეთ იფრქვევა და ჟონავს, როგორც ვერბალური ასევე არავერბალური გზით). "ჟურნალისტიც ადამიანია" და თუ სწორ დამოკიდებულებას, მოსმენისა და **მე-შეტყობინების** ტექნიკურ საშუალებებს არ ფლობს, ნაცვლად პროფესიონალური თავშეკავებისა, ადამიანურ რეაქციას იძლევა. ანუ, უარყოფით, აგრესიულ ემოციაზე - ასევე აგრესიით პასუხობს.

სად მიდის ამ დროს მიუკერძოებლობა? ჟურნალისტური ეთიკა? პროცესის მართვა?

ადამიანი, რომელიც პროცესსა და ემოციას მართავს:

" **კარგად იაზრებს არჩეული/კონკრეტული პროცესის მიმდინარეობას** და პასუხს აგებს მასზე, რადგან წარმატებული პროცესი, წარმატებული შინაარსობრივი მიმდინარეობის გარანტია

" **წაახალისებს პროცესის მონაწილეებს და მათ მიერ გამოთქმულ განსხვავებულ აზრს**, რადგან არ ეშინია დაპირისპირების და იცის მისი მართვა

" **ნაკლებად ერევა შინაარსში, ერიდება დროის დაკავებას საკუთარი მოსაზრებებით**, რადგან მსმენელს/მაყურებელს სტუმრების აზრები მეტად აინტერესებს

" **ზრუნავს უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნაზე,** რადგან ეს მონაწილეებს დაძაბულობას უხსნის, რაც ეფექტური კომუნიკაციის ხელშემწყობი პირობაა

" **აგრესიული/ჩამჭრელი კითხვების ან კომენტარის შემთხვევაში პასუხობს/რეაგირებს შინაარსზე და არა ემოციაზე,** რადგან ხშირად, ადრესატი გაურკვეველია და/ან გამოთქმული, პირადად წამყვანს ნაკლებად ეხება (შინაარსზეც ხომ ნაკლებად ხართ პასუხისმგებელი)

" **მე-შეტყობინებით პასუხობს მის მიმართ გამოთქმულ აგრესიას,** რადგან "მე"-თი დაწყებული პასუხი მეორე ადამიანისათვის იმის სიგნალია, რომ მას არ ესხმიან თავს. ამის მერე საკუთარი "ემოციის" გაზიარება - ნდობისა და თანასწორი, გახსნილი ურთიერთობის მიმანიშნებელია. ხოლო, "ფაქტი" საფუძვლიანად აკვალიანებს ადრესატს იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოყვა ეს ემოცია და რა აღარ უნდა გააკეთოს/თქვას მეორე ადამიანმა, თუკი უსიამოვნება არ სურს.

# რა ფუნქციებისა და როლის აღება შეუძლია ჟურნალისტს კონფლიქტურ სიტუაციაში

მედიას (თუნდაც, მისი სახელიდან გამომდინარე) შუამავლის ფუნქცია ნამდვილად აკისრია და ბევრჯერ, მან ეს ფუნქცია დაპირისპირების დროს წარმატებით შეასრულა. ამის მაგალითებია ე.წ. ტელეხიდები - მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის (1986), როდესაც მნიშვნელოვანი დაპირისპირებისა და ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში მოხდა მხარეებს შორის პირდაპირი კომუნიკაცია; ან სამხრეთ აფრიკაში, როდესაც მხარეებს შორის გამწვავება მძაფრი იყო და წარმოუდგენელი იყო მათი ერთ მაგიდასთან დასმა.

კარგია, რომ ჟურნალისტი აცნობიერებდეს საკუთარ როლს კონფლიქტურ სიტუაციაში და იცოდეს კონკრეტული გზები და საშუალებები, რათა ეფექტურად გამოიყენოს საჭიროების შემთხვევაში.

ჟურნალისტი ის ადამიანია, რომელიც ყველაზე ხშირად და ყველაზე ახლოს აღმოჩნდება ხოლმე დაპირისპირებულ მხარეებთან. მას შეუძლია გახდეს "კონფლიქტის მართვის მუშაკი" და ვალდებულია კიდეც, თუკი კონფლიქტურ ზონაში მუშაობს.

## ჟურნალისტს შეიძლება დასჭირდეს:

" <u>მხარეების ერთად დასმა მაგიდასთან.</u> ჟურნალისტს აქვს იმის საშუალება, რომ კონფლიქტში მყოფი მხარეები დასვას მაგიდასთან და მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე წარმართოს დიალოგი;

" <u>აქტიური მოსმენა</u>. ჟურნალისტს შეუძლია წაახალისოს მხარეები სასაუბროდ და ხელი შეუწყოს მათ ერთმანეთის მოსმენაში. ამას იგი ეფექტური მოსმენის ხერხების გამოყენებით ახერხებს;

" <u>ემოციების მართვა</u>. ჟურნალისტი მზადაა კონფლიქტის პირობებში წამოჭრილი ემოციების გასამკლავებლად. იგი ეხმარება მხარეებს ემოციების "ვენტილაციაში" და ამას ემოციების მართვის ტექნიკებით ახერხებს;

" <u>პოზიციებიდან</u> - ინტერესებისაკენ. მხარეები, გამწვავების პირობებში მათი პოზიციებიდან გამომდინარე საუბრობენ და ჟურნალისტებიც მათი დამძიმებული პოზიციების ციტირებას ახდენენ. ჟურნალისტს შეუძლია მხარეების მოთხოვნილებებისა და ინტერესების წინა პლანზე წამოწევა და საერთო ინტერესების მოძიება;

" <u>დაგეგმვა.</u> ეს უკვე პროაქტიულ ჟურნალისტიკას ეხება. ეს არის - ხალხისათვის, მთავრობებისთვის საყურადღებო საკითხების წამოწევა, რომელსაც არსებული სიტუაციის, მომხდარი ქმედებების გაანალიზება უდევს საფუძვლად;

" <u>დამახინჯებული აღქმისა და სტერეოტიპების გაფანტვა.</u> ჟურნალისტის საქმეა იყოს მიუკერძოებელი, თავი აარიდოს სტერეოტიპების გავრცელებას და ზოგჯერ, გაფანტოს კიდეც ისინი. ამაში მას ცოდნისა და შესატყვისი დამოკიდებულების გარდა, ორივე მხარეზე არსებული ფაქტების მოძიება ეხმარება;

" <u>მოსაზრებების კითხვის ქვეშ დაყენება.</u> ჟურნალისტი ეძებს სიმართლეს, მაგრამ არ განიხილავს მოსაზრებებს, როგორც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. იგი სვამს კითხვებს;

" <u>ენის სისუფთავეზე ზრუნვა</u>. სიტყვას დიდი ძალა აქვს. მან შეიძლება გადაამტეროს ადამიანები, დააშოროს მხარეები, შეუწყოს ხელი სტერეოტიპების შექმნას და ვიწრო ჩარჩოში ჩაკეტოს ჟურნალისტიცა და მაყურებელიც. კარგი ჟურნალისტი ზრუნავს ენის გასუფთავებაზე, ცდილობს ენის განთავისუფლებას არაკორექტული გამონათქვამებისა და იარლიყებისაგან;

" <u>პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტა.</u> ჟურნალისტს აქვს საშუალება მოაწყოს შეხვედრა და იყოს მისი ფასილიტატორი. გამოიყენოს შესაბამისი უნარ-ჩვევები, რათა მოხდეს სადაო პრობლემის იდენტიფიცირება, მისი ერთობლივი განხილვა, რითაც ხელი შეეწყობა მის შემდგომ მოგვარებას.

ჟურნალისტები კონფლიქტურ სიტუაციაში მუშაობისას, ხშირად, დაპირისპირების უკიდურეს გამოვლენას აშუქებენ, როდესაც არსებული პრობლემები გართულებულია, ფეოქებადი და სახიფათო. ეს ის მოვლენებია, რომელიც დაპირისპირების ხილვადი ნაწილია. იმის მიღმა, რასაც გვაჩვენებენ ჟურნალისტები, და დიდი ჯგუფების, სახელმწიფოების, ერების ინტერესებისა და მიზნების შეუთავსებლობა. პროფესიონალ, საქმეში ჩახედულ ჟურნალიტებს შეუძლიათ სასიკეთო წვლილი შეიტანონ ამ პროცესების მართვაში.

სამშვიდობო ჟურნალისტიკის პრინციპებით მომუშავე მედიის წარმომადგენლებს შეუძლიათ იყვნენ შუამავლები და ხელი შეუწყონ კონფლიქტების ტრანსფორმაციას, მშვიდობის შენების ურთულეს, მაგრამ აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს პროცესს.

ვისაუბროთ ამაზე!

# ვინც რა უნდა თქვასო...

მარიამ ბაზოვი

ყველა ქართველმა დაბადებიდან იცის, რომ *რაც მაგრები ვართ - ქართველები ვართ!* და ამაში არც გასაკვირი და არც ახალია რამე, ყველა ერს თავისი დამახასიათებელი ნიშნები აქვს, რომლებითაც თაობები ამაყობენ. და მაინც, რა გვაქვს ქართველებს ისეთი, რითიც მართლა გამოვარჩევთ საკუთარ თავს სხვებისგან?

საქმე ისაა, რომ თითქმის არასდროს ვისმენთ ერთმანეთის აზრს ამ თემაზე. ყოველთვის გვაინტერესებს რას იტყვის ქართველებზე უცხოელი სტუმარი, უბრალო გამვლელი ტურისტი ანდა ევროპის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელი; და ჩვენ არასდროს, თითქმის არასდროს ვლაპარაკობთ ამაზე ერთმანეთთან. არადა, რამდენად ობიექტური და სწორია ხოლმე ჩვენი საკუთარი შეფასება?

სწორედ ამის გასარკვევად ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში გამოკითხვა ვაწარმოე და დასაწყისისთვის მშრალ სტატისტიკას მოგახსენებთ:

დადებითი თვისებებიდან გამოკითხულთა 90%-მა სტუმართმოყვარეობა დაასახელა, 80%-მა ქართველების ერთიანობა ახსენა, 60%-მა – ტრადიციები, 40% კი – უშუალობა და სითბო.

უარყოფითი თვისებები: სიზარმაცე - 85%, მაქსიმალიზმი – 60%, გულგრილობა – 40%, კომპლექსები – 15%.

გამოკითხვის პირველივე ეტაპზე გაირკვა, რომ მოზარდებისა და უფროსების აზრები ამ საკითხშიც საკმაოდ განსხვავდება. გასაკვირიც არაფერია: ის რაც უფროს თაობას ტრადიციად მიაჩნია, ახალგაზრდობას უბრალო სტერეოტიპი გონია, რომელიც ხშირად მომაბეზრებლად ახსენებთ თავს. უფროსი თაობის უმეტესობა ამაყი სახით ამტკიცებდა, რომ ძველი, მამაპაპური ტრადიციები და მათი შენარჩუნება ქართველების ყველაზი დიდი დადებითი თვისებაა, მაშინ როცა სწორედ ამ ტრადიციების სავარაუდო მემკვიდრეები ამტკიცებდნენ, რომ ქართველები არააქტუალურ, დრომოჭმულ აზროვნებას ვერაფრით ვთმობთ. ერთი რამ, რაზეც ორივე მხარე თითქმის ერთნაირი შემართებით მიმანიშნებდა, მათი ერთიანობა იყო.

ეს ყველაფერი ხომ კარგი, მაგრამ ამის ფონზე რამდენიმე გამვლელმა ისიც შემახსენა – "როცა საჭიროა ერთად ვდგებით, როცა ძალიან საჭიროა კი ვიყოფით"-ო. ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება უშუალოდ მოქმედებს ინდივიდების ფსიქოლოგიაზე, გაუთავებელმა საპროტესტო

აქციებმა და კონფლიქტებმა სრული განურჩევლობის, ლამის ნიჰილიზმის სინდრომი დათესა საზოგადოებაში და ბევრმა ჩემმა რესპონდენტმა მხოლოდ რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ შეძლო ჩამოყალიბებული პასუხი გაეცა ჩემს უმარტივეს კითხვაზე: თქვენი აზრით, *რა დადებითი თვისებები გვაქ ქართველებს?* დადებით მხარეზე ლაპარაკი ძალიან რომ გამეწელა, მეორე კითხვაც დავსვი, რომელზედაც არავის გაჭირვებია პასუხი: და *უარყოფითი თვისებებიდან რას დამისახელებდით?*

სიზარმაცე, გულგრილობა, მაქსიმალიზმი და ახალგაზრდობის ესოდენ საყვარელი და ამოჩემებული სიტყვა: კომპლექსები. ამ უკანასკნელმა ბევრი კითხვა გამიჩინა და ისევ ამას ჩავეძიე: მაინც რას ნიშნავს "კომპლექსები"? უმეტესობის აზრით (მოზარდებს ვგულისხმობ, უფროსი თაობა ყველაფერ შემდგომ ხსენებულს დადებით თვისებად მიხსენებდა) ქართული საზოგადოება ვერასდროს იღებს რაიმე ახალს, წინააღმდეგია ყველაფერი განსხვავებულის და ძველი სტერეოტიპებით ცხოვრობს, სადაც ყველა მანდილოსანი კდემამოსილი ასული, ყველა მამაკაცი კი ნამდვილი რაინდია; ყველას ერთნაირი გემოვნება აქვს და ყველა თუ არა, უმეტესობა მაინც, აბსოლიტურად ერთნაირად იმოსება. მოზარდების ნაწილს "ქართველობის" თავისებური კრიტერიუმებიც აქვს.

აი მაგალითად, ქართველი ხარ, თუ: თვლი რომ ქართული ბუნება მსოფლიოში ყველაზე ლამაზია (ამავე დროს შეიძლება სხვა ქვეყნის ბუნებაზე წარმოდგენაც კი არ გაქვს), ნატურალური ღვინო მხოლოდ საქართველოში მზადდება, თუ ჭეშმარიტად გწამს რომ არჩევნების მეორე და აუცილებელი ნაწილი საპროტესტო აქციებია, თუ ადამიანისადმი სიმპათია აუცილებლად ქორწინებით მთავრდება და ა.შ. სია თითქმის უსასრულოდ მომეჩვენა და ნახევრად სასოწარკვეთილმა იმაზე ფიქრიც კი გავივლე თავში, იქნებ სულაც დროა გადავხედოთ ჩვენს ხანდახან მართლაც მომაბეზრებელ საზრისს ქართველების რაღაც საოცრად კარგ და სხვა არავისთვის დამახასიათებელ თვისებებზე? კი ბატონო, შევინარჩუნოთ ჩვენი ტრადიციები, ოღონდ ჯერ იქნებ ისიც გავიაზროთ, რაა ეს ტრადიციები, განვავითაროთ ისინი დროსთან ერთად, მივეჩვიოთ დამარცხების აღიარებას და ცოტა უფრო კრიტიკულად შევხედოთ იმას, რასაც "ქართველობა" ქვია...

თუმცა პესიმიზმი არასდროს და არაფერში ვარგა, თანაც ყველაფერი ხომ არაა ისე ცუდად, როგორც მე მგონია. დარწმუნებული ვიყავი, ნებისმიერ ჩემს რესპონდენტს რომ მივბრუნებოდი და მეკითხა, უნდა თუ არა იყოს ქართველი, აუცილებლად დადებით პასუხს და სახის გაკვირვებულ გამომეტყველებას მივიღებდი მხოლოდ!

გამოკითხვამ საბოლოო და ნათელი პასუხი არ მომცა, თუმცა ერთი რამ ზუსტად ვიცი: ვგონებ, ქართველებმა უკვე რეალურად და ობიექტურად შევხედეთ ჩვენს უარყოფით მხარეებს და ალბათ გამოსწორებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯიც ესაა.

*ქართველი ყოფილხარ, თუკი:*

* ძალიან ამაყობ შენი წარმომავლობით და ვერ იტან, როცა გეკითხებიან "საქართველო? ეს სად არის?"

* შენს სისხლში ალკოჰოლის პერმანენტული შემადგენლობაა

* სასმელს ჩაის ჭიქებით სვამ და არა ღვინის ჭიქებით. შენი ტანისამოსი აუცილებლად შეიცავს შავ ფერს.

* შენთვის იდეალური საღამო 15-20 უახლოეს (!) მეგობართან ერთად დროსტარებაა

* ცხოვრება ვერ წარმოგიდგენია ღვინოს, გოგოებისა და მობილ-ურის გარეშე

* შენი ნაცნობების უმეტესობა შენივე ნათესავებია

* ზიხარ მანქანაზე, რომლის მინები საჭიროზე 2-ჯერ უფრო დამუქებულია

* იღვიძებ დილით და ვერაფრით იხსენებ, სახლში გუშინ ვინ მოგიყვანა

* ცოლად მოგყავს გოგო, რომელსაც 2 კვირაა ხვდები

* ეწევი პლანს და ფიქრობ რომ ძალიან მაგარი ხარ

* უყვები მეგობრებს როგორ დაშორდი შეყვარებულს და როგორ გთხოვდა ის მეორე შანსს... მაშინ როცა შესანიშნავად იცი ვინ ვის სთხოვდა

* გინდა გყავდეს თავმდაბალი ცოლი, მაშინ როცა აღტაცებით უყურებ ნახევრადშიშველ მოდელებს

* კვეთ ქუჩას იქ სადაც მოგინდება, და სულაც არ აქცევ ყურადღებას გზას, რადგან ტელეფონზე ლაპარაკობ ან სულაც მესი-ჯობ

* შეურაცხყოფად მიგაჩნია თუ ვინმე უსაფრთხოების ღვედის შეკვრად მოგთხოვს მის მანქანაში

* იცი რომ საუკეთესო ღვინოს მხოლოდ კახეთში ამზადებენ, საუკეთესო ცხარე საჭმელი მხოლოდ სამეგრელოშია, საქართველოში კი ყველაზე ლამაზი მთებია

* შენ ან შენი მეზობელი იპარავთ დენს ან ბუნებრივ აირს

* გწამს, რომ მსოფლიოში ყველას სმენია შოთა რუსთაველზე და ფიროსმანზე

* შენი ექიმი ეწევა კაბინეტში და არც შენ ხარ ამის წინააღმდეგი

* ვერაფერს რომანტიულს ვერ ხედავ სანთლებში

* თვლი რომ ყველაზე მაგარი ხარ, მარტო იმიტომ რომ ქართველი ხარ!

# ნიშნები

ელენე ქურდაძე

სიღნაღის მუზეუმში ბრინჯაოს ირმის პატარა ქანდაკება ინახება, რომელსაც ტანზე რამდენიმე ნიშანი აქვს ამოტვიფრული – ბორჯღალი, ორი წრე და ნაძვი. ერთი შეხედვით ეს ჩვეულებრივ ორნამენტებად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით და ძველი დამწერლობის ასო-ნიშნებს შევადარებთ, დავინახავთ რომ ისინი ძალიან ჰგავს იბერიული დამწერლობის ასოებს. მსგავსი ნიშნები კიდევ უფრო ძველ კერამიკაზე გვხვდება: ნეოლითური ხანის ჭურჭელზე ბეშთაშენის ციკლოპური ციხიდან და მოზრდილ ჭურჭელზე – თრიალეთის ადრებრინჯაოს ხანის ყორღანიდან; ანუ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოს ტერიტორიაზე უძველეს ხანაში რაღაც დამწერლობა შეძლება არსებულიყო.

წერილობითი წყაროებიდან ვიცით, რომ კოლხებს ჰქონდათ დამწერ-ლობა – სამოგზაურო რუკების შემცველი ქვის სვეტები – კვირბები. საბერძნეთში მსგავს ძეგლებს ჰერმებს უწოდებდნენ და ისინი გზის მაჩვენებელ სვეტებს შეესატყვისებოდა. სწორედ ჰერმესი იყო მოგზაურთა მფარველი ღმერთი და ეს სვეტებიც მის სახელს ატარებდა.

ტერმინი "კვირბი" ქართულ ენაში კერას, შუა ცეცხლს, ასევე კერის ცეცხლზე დასადებ სიპ ქვას აღნიშნავს, რომელზეც პურს აცხობენ. ეს ტერმინი საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული და ამიტომაც საფიქრებელია, ამავე სახელის მქონე წარწერებიანი ძეგლები, დასავლეთის მსგავსად, აღმოსავლეთ საქართველოშიც არსებულიყო. საერთოდ, ამ სვეტებს ხმელთაშუა ზღვის აუზის საკმაოდ დიდ არეალზე ვხვდებით: ისინი მცირე აზიაში, კრეტაზე, ფინიკიაში, პირინეის ნახევარკუნძულზე, ძველ შუამდინარეთში და ეგვიპტეშიც იყო ცნობილი.

ეგვიპტის ტაძრების წინ აღმართული წვერწაწვეტებული ნაწერი ობელისკები, ფაქტიურად, კვირბებს შეესატყვისებოდა. ფინიკიელი მშენებლის - ხირამის მიერ აშენებული სოლომონის ტაძრის შესასვლელში მდგარი ორი ბოძი – "იახინი" და "ბოაზი" – ასევე კვირბებს წარმოადგენდა. მასონური ლეგენდებით ეს ბოძები შიგნიდან ცარიელი იყო და შიგ ქვისმთლელთა ინსტრუმენტებთან ერთად, უძველესი საიდუმლო ნაწერები ინახებოდა, ანუ ისინიც ძველი ტექსტების საცავი გახლდათ. ზოგი ცნობით მათში გლობუსები (ანთუ რუკები) იდო. ალბერტ პაიკი წერს, რომ "ეს ბოძები ტვიროსელი ოსტატის, ხურამის მიერ იყო შექმნილი, ქარების და ცეცხლისადმი მიძღვნილი იმ ორი დიადი ბოძის ანალოგად, რომლებიც საქვეყნოდ ცნობილი მელქარტის ტაძრის წინ ქალაქ ტვიროსში იდგა. ერთ-ერთზე გამოსახული იყო ცის გლობუსი, მეორეზე კი - დედამიწის რუკა".[1] მელქარტის ამ ბოძებს ძველად "ალკიდას კვირბებსაც" უწოდებდნენ, ხოლო ესპანეთის ტერიტორიაზე მდგარი მსგავსი სვეტები "ჰერკულესის ბოძების" სახელითაა ცნობილი.

ძველი მასონური ლეგენდების მიხედვით, ეს ორი ბოძი ასევე შეესატყვისებოდა იმ წარწერებიან ბოძებს, რომელებიც ბიბლიური ლამეხის შვილებმა: თუბალ-კაენმა, იავალმა, იუვალმა და ნამახმა წარღვნისგან რაღაც მნიშვნელოვანი ცოდნის გადასარჩენად აღმართეს (მათვე მიაწერენ სხვადასხვა ხელობის: მჭედლობის, გეომეტრიის, არქიტექტურის, ცხვრის მოშენების, საქსოვი საქმის გამოგონებასაც). ერთ-ერთი სვეტი მოგვიანებით თითქოს ჰერმესმა აღმოაჩინა და კაცობრიობას აცნობა სვეტზე დაწერილი საიდუმლოებები, ანუ წარღვნის შემდეგ ამ ძეგლებზე დაფიქსირებული ცოდნის გამავრცელებლად ჰერმესი ითვლებოდა.

ბიბლიური პირველი მჭედელი თუბალ-კაენი და ასევე ბიბლიიდან ცნობილი ტაბალები, ქართველების წინაპრებად არიან მიჩნეული. სოლომონის ტაძრის ამშენებელი და მასონთა ლეგენდების მთავარი მოქმედი პირი - ჰერმესთან გაიგივებული ტვიროსელი ხირამიც - ასევე თუბალ-კაენის შთამომავალია. ისიც საინტერესოა, რომ ქართველების და ქართლის ძველი სამეფოს აღმნიშვნელი სახელი "იბერი" - სწორედ "ტაბალიდან" მომდინარეობს.

რადგანაც ტერმინი "იბერი" ტაბალს უკავშირდება, შეიძლება ძველად არსებულ იბერიულ დამწერლობასაც ტაბალებთან ჰქონოდა კავშირი. მითუმეტეს ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორია, თავის მდიდარი წიაღისეული სიმდიდრეების გამო, უძველესი დროიდან მეტალურგი ტომებით - ტაბალებით, ხალიბებით, მოსინიკებით (მოსხებით) იყო დასახლებული. დამწერლობა კვირბების შექმნაც სწორედ მჭედელ ქურუმებს -კორიბანტ-კაბირებს მიეწერებოდათ. ეს იყო მეტად გასაიდუმლოებული ქურუმთა ორგანიზაცია, რომელთა მისტერიების მთავარი

საიდუმლო ცეცხლის მომტანი პრომეთეს მითს ასახავდა. პავსანიასის ცნობით, პრომეთე თავადაც კაბირი იყო, და რადგანაც პრომეთე ამირანის შესატყვისია, ხოლო ამირანიც და პრომეთეც, მითოლოგიური ტრადიციით, კავკასიონის მთებში მჭედლებმა "მიაჯაჭვეს", ამიტომაც მჭედელ ქურუმთა უძველესი დამწერლობაც, სწორედ კავკასიონის მთებში უნდა ვეძებოთ (სხვათა შორის, მითოლოგიურად ამირანი ყაზბეგის მთაშია დაბმული, ხოლო "ყაზბეგის განძიდან" ცნობილ ვერცხლის თასზე არამეულად ამოტვიფრულია სიტყვა "კაბირი", ანუ ამ რეგიონს კაბირულ სამყაროსთან ეტყობა მართლაც ჰქონდა რაღაც კონტაქტი).

რამდენიმე წლის წინ, კავკასიონის მთებში – თუშეთში და ხევსურეთში აღმოაჩინეს ქვები, რომლებზეც უძველესი, სწორედ იბერიული დამწერლობის ასო-ნიშნებია ამოკვეთილი, სტილიზირებულ ნახატებთან და ორნამენტებთან ერთად. საინტერესოა, რომ ამ ქვების უმრავლესობა კოშკებშია ჩაშენებული, ანუ ისინი არქიტექტურულ ელემენტად გვევლინება და კოშკის, როგორც სვეტის სიმბოლოს სამშვენისს წარმოადგენს, თუმცა ერთი შეხედვითაც ემჩნევა, რომ ნახატიანი ქვები კედლების ქვებთან შედარებით, ბევრად უფრო ძველია. ნახატები ძირითადად რიყის ქვებზეა ამოტვიფრული.

ქვებზე გადმოცემული ორნამენტები თუშურ-ხევსურულ ტანსაცმლზე და ფარდაგებზე მოქსოვილ ორნამენტებს ემთხვევა, რაც ალბათ იმის მაჩვენებელია, რომ ნახატიანი ქვები იგივე ხალხის შექმნილია, რომელმაც საქართველოს მთიანეთში მეცხვარეობას, მატყლის დამუშავებას და მისგან მიღებული მასალისგან ქსოვის ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი.

ქვებზე გამოსახულია უცნაური რომბები, ზიგზაგები, ცხოველები, შეიარაღებული მეომრები, მხედრები, ჯვრიანი დისკოები, კვადრატები და ა.შ. ადგილობრივ მოსახლეობას აღარაფერი ახსოვს ამ ქვების ნამდვილი დანიშნულების ან წარმოშობის შესახებ; როგორც ჩანს, ისინი მეორად საამშენებლო მასალადაა გამოყენებული და თავიდან შეიძლება რომელიმე ძველი ნაგებობის ქვები ან სალოცავი დანიშნულებისა ყოფილიყო.

მაგრამ არის კი საქართველოში რაიმე სხვა ტიპის, ბევრად უფრო ძველი ნაგებობები, სადაც მსგავსი ნახატიანი ქვებია მშენებლობის დროს ნახმარი? ასეთი ნაგებობები მართლაც არსებობს და ისინი III-II ათასწლეულით თარიღდება – ესაა ქვით ნაგები წრიული ყორღანები.

1959 წელს ზურტაკეტის ამ ნაგებობების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ დარბაზების კედლების ზოგიერთ ქვაზე ამოკაწრულია უცნაური ნიშნები. თანაც ეს ნიშნიანი ქვები გვხვდება სხვადასხვა დონეზე, ისინი სხვადასხვა მანძილითაა ერთმანეთისგან დაშორებული და მათი ზომებიც განსხვავებულია.

ერთ ყორღანში 60-ზე მეტი ნიშნიანი ქვა აღმოჩნდა, მეორეში – 117, მესამეში – 78. ქვებზე სქემატურად გამოსახულია ცხოველები - ირემი, თხა, ხარი, ფრინველი, გველი; ასევე, პარალელური ხაზებისგან შედგენილი ბადეები, სამკუთხედები, რომბები... ნიშნები ქვებზე სხვადასხვა სიძლიერითაა ამოკაწრული. ზოგიერთი ნაკაწრი ღრმაა და ფართო ხაზებითაა შესრულებული, ზოგიც უფრო სუსტადაა გამოხაზული. ნაკაწრები ფილაქვებზე და რიყის ქვებზეა დაფიქსირებული. ზოგ შემთხვევაში ნიშნიანი ქვა კედლის წყობის პირველ რიგშია მოქცეული. ასეთ ქვებზე ნიშნების ამოკაწვრა მისი წყობაში დატანის შემდეგ ძალზე ძნელი იქნებოდა, ამიტომაც გამოითქვა ვარაუდი, რომ ნიშნები ქვებზე ძირითადად კედლის წყობის ამოყვანამდეა შესრულებული. ისიც ითქვა, რომ თავდაპირველად ეს ქვები, შესაძლოა, სხვა ნაგებობის ქვები იყო, სადაც ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგა, შემდეგ კი, ყორღანის აგების დროს, ქვები ხელახლა გამოიყენეს და განლაგებაც დაირღვა. მითუმეტეს, მე-6 ყორღანში აღმოჩნდა ერთი, დარბაზის სამხრეთის ბურჯში პირქვე ჩადგმული ქვა, რომელიც კედლის წყობაში არ იჯდა. ეს ქვა ორფერდაა და გამოსახულება ორივე ფერდზე გვხვდება.[2]

ოთ. ჯაფარიძის მოსაზრებით – "ქვებზე ამოკაწრული სქემატური ორნამენტები იმეორებს იმავე ყორღანებში ნაპოვნ თიხის ქოთნებზე (საერთოდ თრიალეთური კულტურის კერამიკაზე) გამოსახულ ორნამენტულ სახეს. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენში უკვე III ათასწლეულიდან მოყოლებული, დამწერლობის სისტემის შექმნის გარკვეული ცდები არსებობდა. ზურტაკეტის ყორღანების ზოგიერთ ნიშნიან ქვას შეიძლება პიქტოგრაფიული ან თუნდაც იდეოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც ჩანს, ჩვენში გარკვეული ნიშნებით

აზრის გადმოცემას უფრო ადრინდელ საფეხურზედაც ჰქონდა ადგილი. ბ. კუფთინი ოზნში აღმოჩენილ ერთ-ერთ თასზე გამოხატული ნიშნების შესახებ აღნიშნავდა, რომ აქ შესაძლოა საქმე გვქონდეს უძველესი დამწერლობის ცდასთან. მისი აზრით, ეს ნიშნები მოგვაგონებენ პროტოელამურ დამწერლობას. ამირანის გორაზე აღმოჩენილ ერთ-ერთ თიხის ჭურჭელზე დატანილი ნიშნების შესახებ შ. ამირანაშვილი აღნიშნავდა რომ ეს ნიშნები უთუოდ არქაული ხანის დამწერლობას ეკუთვნის და რომ ისინი პიქტოგრამის ხასიათს ატარებენ. იგი ამ ნიშნებს უკავშირებს მესოპოტამიის უძველეს დამწერლობას. ტ. ჩუბინიშვილი ამირანის გორას ჭურჭლებზე მოცემულ გამოსახულებას უახლოებს ჯემთედ-ნასრის გვიანდელი პერიოდის საბეჭდავებზე გამოსახულ ნიშნებს".

ასევე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზოგი ნიშანი მშენებლობაში მონაწილე გარკვეული ჯგუფის აღმნიშვნელი იყო, ზოგიც ცალკეული პიროვნების. კრეტაზე III ათასწლეულის ბოლოს საამშენებლო ქვებზე გვხვდება ქვისმოლელთა აღმნიშვნელი ხაზოვანი ნიშნები. საფიქრებელია, რომ ზურტაკეტის დიდ ყორღანთა მშენებლობაში ერთი ტომის სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ზოგი ნიშანი შესაძლოა ცალკეული გვარის აღმნიშვნელიც ყოფილიყო".[3]

ანუ, მეცნიერის აზრით – ეს ნიშნები, რაც სავარაუდოდ ადრეული დამწერლობის სისტემის თავისებური, მარტივი ფორმაა – ქვისმოლელთა ორგანიზაციას ეკუთვნოდა. ისე, ორიალეთის ყორღანები საკმაოდ რთული, მონუმენტური ტიპის ნაგებობებია და მათი მშენებლობა საინჟინრო ხელოვნების მაღალ დონეს ნამდვილად მოითხოვდა, მითუმეტეს, რამდენიმე წლის წინ ამ ყორღანებთან მისასვლელი "პროსპექტებიც" გამოვლინდა, მსგავსად აცტეკების და მაიას ხალხების პირამიდული ტაძრების ფართოდ ნაგები ქუჩებისა, რომელთაც რიტუალური დანიშნულება ჰქონდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, როცა ორიალეთის ზეგანზე არსებული წალკის წყალსაცავი დროებით წყლისგან დაცალეს, მის ფსკერზე წყლით გადარეცხილი ყორღანები და მათკენ მიმავალი გზები გამოჩნდა. ყორღანების გზები 1 მეტრი სისქისაა და ქვების რამდენიმე ფენისგან შედგება, სიგანე 4,5 მეტრიდან 7 მეტრამდეა, სიგრძე - 40 მ-დან 400 მ-დე. ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე გზების გამართვის ამგვარი წესი საინჟინრო საქმის ცოდნას მოწმობს. ყორღანების გზებს ეგვიპტის პირამიდებთან აგებულ გზებს ადარებენ.[4]

ზოგი ცნობით, ეგვიპტის პირამიდები ჰერმესის აშენებულია (ჰერმესის სახელის ფუძე "ჰერმა" - სვეტს, "ქვების გროვას", ანუ პირამიდას, ყორღანს აღნიშნავს. პირველი ყორღანის შექმნაც მის სახელს

უკავშირდება. როცა ჰერმესმა ასთვალება არგუსი გაანადგურა, ღმერთებმა მისი საქციელის გამართლების ნიშნად, ქვებისგან ყორდანი აღმართეს). არაბი მეცნიერი იბნ ბატუტა წერდა: პირამიდები აგებულია ჰერმესის მიერ, რათა გადაერჩინათ მეცნიერების და ხელოვნების მიღწევები წარღვნის დროსო.

არაბი ალ-მასუდი კი გადმოგვცემს: არსებობდა ლეგენდა, რომლის თანახმად დიდი პირამიდა აგებულია წარღვნამდე სამასი წლით ადრე, ძველი ცოდნის შესანახად. პირამიდის კედლები და ჭერი დაფარული ყოფილა ქვაზე ამოკვეთილი წარწერებით, რომლებიც შეიცავდნენ ასტრონომიულ, მათემატიკურ და სამედიცინო ტრაქტატებს. ამ ცნობას კოპტური ლეგენდაც ადასტურებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ტექსტები ამოკვეთილი იყო პირამიდის გარეთა ზედაპირზე, მაგრამ ეს ფიქალები მოგვიანებით თურმე სადღაც გაქრა. ანუ გარკვეული ტრადიციის თანახმად, ამ ნაგებობებში წარღვნამდელი ცოდნა ქვაზე ამოკვეთილი წარწერების სახით იყო შენახული (ანუ პირამიდებს იგივე ფუნქცია ეკისრებოდა, რაც თუბალ-კაინის და მისი და-ძმების მიერ აღმართულ ქვის სვეტებს. ორივე შემთხვევაში – პირამიდაც და წარწერებიანი სვეტებიც - ცოდნის გადასარჩენ თავისებურ "კიდობნად" გვევლინება. ისე, სოლომონის ტაძარიც ხომ მოწ-მობის "კიდობნისთვის" აშენდა, რომელშიც ქვაზე ნაწერი ტექსტები ინახებოდა).

საინტერესოა, რომ ორიალეთის ყორღანებში, გიზის დიდი პირამიდის მსგავსად, არ აღმოჩნდა ადამიანის ძვლები, ანუ შეიძლება ისინი სულაც არ იყო სამარხები, როგორც ეს მიჩნეულია. იქნებ ეს ყორღანებიც, ხეოფსის პირამიდასავით, გარკვეული ცოდნის საცავს, ასტრონომიული მნიშვნელობის მქონე საკულტო ნაგებობებს და მისტერიების ჩასატარებელ ადგილს წარმოადგენდა? ასევე ცნობილია, რომ პირამიდებიც და ყორღანებიც ზუსტი ასტრონომიული გათვლით შენდებოდა. ამბობენ, რომ გიზის სამი პირამიდა ორიონის დიდი თანავარსკვლავედის სამი ვარსკვლავის შესატყვისია, ხოლო შიდა კამერიდან გამავალი შახტები ორიონის, სირიუსის, დიდი დათვის და დრაკონის ვარსკვლავებზეა დამიზნებული – ანუ ძველმა ქვისმთლელმა მშენებლებმა კარგად იცოდნენ პლანეტების და ვარსკვლავების მოძრაობის სქემები და ამ სქემების შესაბამისად ნაგებობის დაპროექტება. შენობის მეშვეობით მათ შეეძლოთ დედამიწაზე ცის სქემა გადმოეტანათ, ანუ ცის და დედამიწის ჰარმონიული კავშირი განეხორციელებინათ.

ხევსურულ ქვებზეც სწორედ ასტრონომიული სიმბოლოებია ძირითადად გამოსახული. ამის შესახებ Tგ. გიგაური წერს, რომ თუკი შუამდინარულ, ეგეოსურ და ეგვიპტურ ნიშნებში ეკონომიურად განვითარებული რეგიონის ატრიბუტები გვხვდება: გუთანი, საზიდარი, ჭურჭელი, ცული და სხვ., რაც დამწერლობით სისტემაში სტილიზირებულ სიმბოლოებადაა გადასული,საქართველოს მთაში შემორჩენილ ნიშნებში უფრო ჭარბობს ბორჯღალი, მნათობები, სხივები, მზეები, წრეები, წერტილები, ხაზები, ჯვრიანი წრეები, კლაკნილები, სპირალები, ორმაგი წრეები, სამკუთხედები და სხვ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს "სკრიპტები" კოსმოგონიური წარმოდგენების საფუძველზე წარმოიშვა.[5]

იგივე შეიძლება ითქვას ასომთავრულ ანბანზეც – გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულ ანბანს ფინიკიური დაედო საფუძვლად. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ასომთავრული ანბანი თავისი სტრუქტურით ძალიან განსხვავდება ფინიკიურისგან. თუკი ფინიკიური ანბანის ასოების შექმნისას კონკრეტული საგნების სტილიზებული ფორმებია გამოყენებული, ქართული ანბანის ასოები – გეომეტრიული პრინციპითაა აგებული.

ასომთავრულიც ჩვენ ხომ ქვისმთლელთა დამწერლობად მივიჩნიეთ, სადაც წრეწირის (ცა) და კვადრატის (დედამიწა) შეერთების გზით მიღებული კოსმიური ჰარმონიის გარდა, ალქიმიური სიმბოლოებიც არის გადმოცემული. ცნობილია, რომ ალქიმიაშიც ორი ელემენტია მთავარი - გოგირდი და ვერცხლისწყალი - ერთი წვადი, ანუ "ფიქსირებული", ხოლო მეორე – აქროლებადი, ანუ "მფრინავი". სწორედ ამ ორი პრინციპიდან წარმოიშვა ალქიმიური "რებისი", რაც სიტყვასიტყვით "ორმაგ საგანს" ნიშნავს. ეს "რებისი" - კოსმიური ანდროგინია, რომლის არსებობასაც "მზის" და "მთვარის" კავშირი განაპირობებს. ეს იდეა ხშირად

"ქიმიური ქორწინების" სახით არის გადმოცემული, რაც ჩვენი აზრით, ასომთავრულშია განხორციელებული და თუ ძველი ხევსურული ნიშნები დაკავშირებულია ამავე სიმბოლოებთან, ხევსურულ ქვებზეც უნდა იყოს მოცემული მსგავსი იდეა.

მართლაც, ხევსურეთში ნაპოვნ ერთ-ერთ ქვაზე პირდაპირ არის მოცემული ეს ალქიმიური სიმბოლო – "მზის და მთვარის ქორწინების" სცენა – სექსუალური აქტის სახით წარმოდგენილი. მამაკაცის და ქალის ფიგურების "შეერთების" ადგილას კი გამოსახულია უძველესი ნიშანი - მთვარეში ჩახატული მზის დისკო, სადაც ქალურ ნიშანს მთვარე განასახიერებს, ხოლო მამაკაცურს – მზე.

საინტერესოა, რომ იმ ქვაზე, რომელზეც იეროგამიის სცენაა მოცემული, გვერდით მეომრების შებრძოლების სცენაც ხატია, ანუ ალქიმიური სიუჟეტი აქაც ომის თემასთან ერთად არის წარმოდგენილი. ამავე ქვაზე მოცემულია ვერძის რქების მსგავსი სპირალები, მამაკაცი მეომრების თავი კი უცნაურია - მათ მცენარეული სახე აქვთ – ერთ შემთხვევაში ქინძის-თავის, მეორე შემთხვევაში ფოთლის ფორმის, თითქოს მიწიდან ამოსულანო. ორივე ეს ფორმა კი ემთხვევა აღმოსავლეთ საქართველოში ნაპოვნ უძველეს (III-II ათასწ.) სატევარე-ბის და ქინძისთავების ფორმებს. ანუ თითქოს კაცები ლითონის არიან, თან მიწიდან დაბადებული ქონდრისკაცები (ქონდარი, ქინძი, ფოთოლი). მსგავს ქინძისთავებს მტკვარ-არაქსის კულტურაშიც ვხვდებით და ასევე, მარტყოფის ყორღანებშიც.

მცენარესავით მიწიდან დაბადებული მეომრების შესახებ მითოლოგიური ისტორია აიეტს უკავშირდება. აიეტი ომის ღმერთის - არესის მინდორს, ცეცხლისმფრქვეველი ხარებით ხნავს და ხნულებში ხორბლის მაგივრად, გველეშაპის კბილებს თესავს, საიდანაც შეიარაღებული მეომრები იბადებიან. ნიკოლა ფლამელი კი გვეუბნება, რომ ეს ალქიმიური ფორმულაა და ალქიმიურ ოპერაციას გადმოგვცემს. ეს აზრი ალბათ სიმართლეს შეესატყვისება, რადგან ალქიმიური ფორ-მულების შემცველი საწმისიც ხომ იმავე ველზე ინახებოდა.

მითოლოგიური ტრადიციით, პირველი ალქიმიური ტრაქტატი ჰერმესმა ჩაწერა, ანუ ეს საიდუმლო მისი საკუთრებაა, ისევე როგორც ამ საიდუმ-ლოს შემცველი საწმისი. ეგვიპტის ტაძრის ერთი ტექსტი კი ჰერმესის დაწერილ სხვა წიგნზე მოგვითხრობს: თურმე არსებობდა ძველი სიბრძნის წიგნი, სახელად "პირველი დროის ყორღანების ჩამონათვალი", რომელშიც დაშიფრული ყოფილა რომელიღაც ყორღანების ადგილმდე-ბარეობა. მასში ასევე მოცემული იყო ინფორმაცია უდიდეს პირველყ-ოფილ ყორღანზე და იმ ადგილზე, საიდანაც "დაიწყო დრო".

და თუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძველი ყორღანების

მშენებლობაც, ისევე როგორც ალქიმია და საამშენებლო საქმესთან დაკავშირებული დამწერლობა, ჰერმესის კულტმსახურებსთან იყო დაკავშირებული, მაშინ ამ ნაგებობებში აღმოჩენილი და მათი მსგავსი თუშურ-ხევსურული ნიშნებიც უპრიანია, სწორედ ჰერმეტიზმთან მიმართებაში განვიხილოთ.

[1]Алберт Пайк. Мораль и Догма 2007

[2]ო. ჯაფარიძე. "შენიშვნები ზურტაკეტის ყორღანების ნიშნიანი ქვების შესახებ".

[3]იქვე

[4]საქართველოს ატლასი მოზარდთათვის. "დიოგენე". თბ. 2005

[5]გ. გიგაური. ფარული ნიშნები (სკრიპტები) და ასომთავრული. მნათობი 2008 1

# ფანდარასტ-ული ომი და წაგებული მშვიდობა

ლელა გაფრინდაშვილი



*ვუძღვნი ზალიკო ქიქოძის ხსოვნას*

ერთი ფილოსოფოსი მახვილსიტყვაობდა: რა უცნაური არსებაა ეს ადამიანი – განგებამ ფიქრის უფლება უბოძა და ის მაინც სიტყვის უფლებისთვის იკლავს თავსო.

არადა, რომ არა აზრის ამო-თქმის და სხვებისთვის გაზიარების ეს უცნაური მიზანსწრაფვა, ალბათ არც ამ წერილის დაწერის სურვილი გამიჩნდებოდა, არც ჩემს მიერ განცდილი "ომი-მშვიდობის" გაპაექრების ისტორიას მოგიყვებოდით და თქვენი თანაგანცდის იმედიც არ მექნებოდა.

წერის სურვილი ომის პროცესში მიმდინარე საზოგადოებრივმა მითქმა-მოთქმამაც გამიძლიერა: ერთნი ამტკიცებდნენ,

რომ ხელისუფლება რუსეთს შეეკრა, ხოლო მეორენი - ეს ყველაფერი დასავლეთის ხელდასმით მოხდაო. ამ ვარაუდებში ძნელი არაა აზროვნების საბჭოური დადის ამოცნობა: ყველაფრის მიზეზი გარე ძევს, სხვაგან და სხვებში, პოლიტიკური პროცესები კულისებში, საზოგადოებისგან ფარულად იგეგმება, ჩვენ ვერასოდეს ვერაფერს გავიგებთ და, მით უმეტეს, ვერც შევცვლით ისტორიის მდინარებას...

ამას თან დაერთო ეთნოცენტრიზმით გამოწვეული ფსიქოზი იმის თაობაზე, რომ დასავლეთი კარგად ვერ ირჯება – ანუ ხმალ-ხანჯალ-აბჯარ-მუზარადი ვერ აისხა და ვერ ეკვეთა ღვთისმშობლის წილხვედრი ხალხის მტერსა და დუშმანს!

ვინც დღემდე ასე ფიქრობს, მისთვის ახია რაც მოხდა და რაც მოხდება; მაგრამ ოდესმე ხომ უნდა მივხვდეთ – შეუძლებელია ყველა ჩვენი უბედურების მიზეზი ყოველთვის ჩვენგან შორს, ჩვენთვის მიუწვდომლის წიაღში იყოს. ხომ შეიძლება უახლესი ისტორიის გაკვეთილებით მაინც ვისწავლოთ, რომ ჩვენ თავადა ვართ საკუთარი დღევანდელობის მიზეზი? ჩვენ წავაგეთ მშვიდობა, რადგან ომის სამზადისს მივუყრუეთ და ვერ ვხვდებოდით, რომ მეგობრები მშვიდობისკენ მოგვიწოდებდნენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ რეგიონში თავიანთი ინტერესები აქვთ, არამედ იმიტომაც, რომ ეს კონფრონტაცია საქართველოს ავნებდა და დააზარალებდა.

არ დაიჯეროთ, რომ დღევანდელი რუსეთი ევროპას ჩვენმა ხელისუფლებამ გააცნო! გაიხსენეთ ჩეჩნეთის ტრაგედია, ბესლანი, ნორდ-ოსტი და ჩაწვდით ამ შეხედულების აბსურდულობას!

დაინახეთ, რომ ჩვენს დიდ მეზობელთან ომს ვერასოდეს მოიგებ.

## მშვიდი და მშვიდობიანი

აფხაზებს და ოსებს პირველად 2000 წელს, საერთაშორისო ორგანიზაციის ინტერნატიონალ ლერტ-ის მიერ ორგანიზებულ სემინარზე შევხვდი. მათთან დალაპარაკება ცოტათი მაშინებდა კიდეც, რადგან ომთან ემოციურად არაფერი მაკავშირებს. ბევრი მძიმე შეფასება და კრიტიკული აზრი მოვისმინე, მაგრამ ასევე დავინახე, რომ ამ აგრესიული ამოთქმის გარეშე შეუძლებელია

გადატანილი ტრაგედიისგან დისტანცირება. ადამიანებს უნდათ გაგაგებინონ მათი განცდები, დაგროვილი და ვერგამოთქმული ნაფიქრალი, რათა შენი თანაგანცდა გამოიწვიონ. მხოლოდ მომხდარის შეფასების შემდეგ შეიძლება დაიწყოს გადაფასების, ანუ მომავლის შენების პროცესი.

ასეც მოხდა. წარსულის გადააზრებამ თანამშრომლობის სურვილი დაბადა. ჩვენს ერთობაში ყველა კავკასიური ეთნოსის წარმომადგენელი ქალი მონაწილეობდა, ამიტომაც მას კავკასიელ ქალთა ლიგა – Caucasus Women's League დავარქვით.

2003 წლის სექტემბერში ლიგელები (ანა ჩოჩიევა, აზა ხაჩიროვა, აიშატ მაგომედოვა, ნათელა აკაბა, ირინა გრიგორიანი, ვალენტინა ჩერევატენკო) ცხინვალში შევიკრიბეთ. ანამ გამორჩეულად სტუმართმოყვარე მასპინძელი შეგვირჩია, ამიტომ დაძაბულობა და შიში არავის გვიგრძვნია.

ყველა შეხვედრა ომის წლებში გადატანილი უბედურების გახსენებით იწყებოდა და ქართულ-ოსური ურთიერთობების საუკეთესო მაგალითებით მთავრდებოდა.

არასოდეს დამავიწყდება დევნილთა საერთო საცხოვრებელს შეკედლებული ქალი, რომელიც დერეფანში შემოგვეგება და თავისი შემზარავი ისტორიის თხრობა დაიწყო: როგორ ატარა დაჭრილი ქალიშვილი ტყე-ტყე და როგორ დალია სული საბრალომ. თვალებგაფართოებული ვუსმენდი და ცრემლები თავისთავად მდიოდა. თავზარდაცემული ვიყავი ამ სიგიჟის ზღვარზე მდგომი ქალის საცოდაობით და ვერ ვწყნარდებოდი.

პოლიტიკოსებს და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს კი

უფრო კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნები აინტერესებდათ და ამიტომ კომუნიკაციას პოლიტკორექტულობისა და დიპლომატიის სუნი ასდიოდა - აზრებიც და ემოციებიც თითქოს აფთიაქის სასწორზე იდო და წონასწორობას არავინ კარგავდა.

ერთ-ერთი დისკუსიის ბოლოს, ჩემი მზერა კედელზე გაკრულმა მთამსვლელების ფოტომ მიიპყრო. იქვე მდგომმა ახალგაზრდამ ჩათვალა, რომ ალპინიზმის ფანი ვარ და გამომელაპარაკა:

– ძალიან მიყვარს ეს საქმე... სვანეთში, ხევსურეთში, რაჭაში – ყველგან ნამყოფი ვარ.

– მე კი ვერაფრით გაგაკვირვებთ მაგ სფეროში. უბრალოდ ეს კაცი ზალიკოს მივამსგავსე და ამიტომ დავაკვირდი.

ეს ვოქვი და ყმაწვილს თვალები საახალწლო გირლიანდებივით აენთო. ვიფიქრე, ახლა ხელში ამიყვანს და დამაბზრიალებს- მეოქი.

– ქიქოძეს იცნობ? ჩემი მეგობარია. აი, ვინ მიყვარს ძმასავით. აი, ვინაა მშვიდი და მშვიდობიანი. აუცილებლად მომიკითხე, არ დაგავიწყდეს!

რომ არა ჩვენი მასპინძლის მანქანის გამოჩენა, ამ ბიჭს თავს ვეღარ დავაღწევდი. გარშემო ყველამ იფიქრა, რომ დიდი ხნის უნახავმა ნათესავებმა ვიპოვნეთ ერთმანეთი.

ცხინვალიდან მე და ყარაბახელი ირინა გრიგორიანი ერთად დავბრუნდით. თბილისში, როცა ვემშვიდობებოდი, მითხრა:

– ეროი გამაგებინა, რა კონფლიქტი გაქვთ თქვენ და ოსებს? ერთმანეთთან ისე მიდი-მოდიხართ, არავის ეკითხებით. ჩემს ქალაქში რომ აზერბაიჯანელი ჩამოვიდეს, დაცვით უნდა იაროს. შენ კი ისე დასეირნობდი, პასპორტიც არავის უკითხავს. იმ დიდ ბაზრობაზეც ყველა ერთად ვაჭრობს...

მაშინ ვერც ვიფიქრებდით, რომ ეს ვითარება მალე კარდინალურად შეიცვალებოდა: ერგნეთი დაიკეტა და 2004 წლის ზაფხულში კინაღამ ომი დაიწყო. მაგრამ ყველა, ვინც ხმის ამოღება გაბედა, ლამის ეშაფოტზე აიყვანეს.

პარლამენტარმა ივლიანე ხაინდრავამ ხელისუფლება კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიული გეგმის უქონლობაში და ფარულ, საომარ "თამაშებში" დაადანაშაულა:

"... დღისით სამშვიდობო მოლაპარაკებები, ღამით - ომი. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს საქართველოს ცალკე დღისა და ცალკე ღამის მთავრობები ჰყავს. უფრო სწორად ჰყავს ღია, ფორმალური და ოფიციალური მთავრობა, რომელიც რატომღაც შეზღუდულია თავის მოქმედებაში და მის პარალელურად - ჩრდილოვანი, არაფორმალური, არაოფიციალური ჯგუფი, რომელიც არალეგალური - კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მიღმა არსებული ბერკეტებით მართავს პროცესებს. თანაც მართავს ცუდად, სამაგიეროდ - ყოველგვარი პასუხისმგებლობის, უფრო სწორად - პასუხისგების გარეშე... "

გიორგი არველაძეს, ხელისუფლების მეხოტბესა და დამქაშს, ივლიანე ხაინდრავას მიერ დასმულმა კითხვებმა რატომღაც, ბაბურინისა და ჟირინოვსკის ანტიქართული პათოსი გაახსენა. გაღიზიანების მიზეზი ნათელი იყო: პასუხისგებას ვინ შეჰბედავდა სიტყვაძვირ და "ბრძენ" ირაკლი ოქრუაშვილს, ცეცხლით და მახვილით რომ დაერია მტყუანსა და მართალს? პასუხისმგებლობაც პოსტრევოლუციურ საქართველოში აღარავის ახსოვდა. თუმცა, ხელისუფლებაში ჯერ კიდევ იყვნენ ადამიანები, ვინც ომის დაწყებას არასოდეს დაუშვებდა.

ამ სამხედრონარევ "ჰუმანიტარულ შტურმს" კინაღამ ანას მეუღლე, ალან პარასტაევი შეეწირა. იგი 30 დეკემბერს ცხინვალელმა სამართალდამცავებმა სასტიკად სცემეს, რადგან ქართული სოფლებისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული ტვირთის ცხინვალში დაკავების მიზეზით დაინტერესდა. მე და მარინა ფაღავამ იგი საავადმყოფოში მოვინახულეთ. შუა საუბარში ვიყავით, როცა ოთახშიCზალიკომ შემოანათა.

გაოცებული ვუყურებდი ალანის რეაქციას: ისე წამოხტა, თითქოს არაფერი სტკიოდა და სტუმარს გადაეხვია. ის ოსი ბიჭი გამახსენდა, გულწრფელი, კეთილშობილი, სიხარულით სავსე თვალებით. და რაც მთავარია, მივხვდი – ასეთი სიყვარული რომ დაიმსახურო, ზალიკოსავით მშვიდი და მშვიდობიანი უნდა იყო. ბევრ ოსს და ქართველს ახსოვს, რა დღე აყარეს მას პირველი მოწვევის ნაცებმა 1991 წელს, როცა ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების უგუნურებაზე ალაპარაკდა...

## სირცხვილი და სინდისი



მალე ვითარება აფხაზეთშიც დაიძაბა. ქართულმა მძიმე ტექნიკამ თავი ენგურის ხიდთანაც მოიყარა. აქვე, 1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქციაც ჩატარდა: 200-მდე ბავშვი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, სათამაშო ავტომატებით შეიარაღებული, მწყობრად მარშირებდა...

ახალი კონფრონტაციის მოლოდინით შეშფოთებულმა აფხაზმა ქალებმა რამოდენიმე ქართველს (ნაირა გელაშვილი, ანა წვინარია-აბრამიშვილი, მარინა ელბაქიძე, იულია ხარაშვილი, მარინა ფაღავა, ლელა გაფრინდაშვილი, დავით დარჩიაშვილი, ალა გამახარია, თინათინ ხიდაშელი, გია ანჩაბაძე, ნოდარ სარჯველაძე, პაატა ზაქარეიშვილი) წერილი მოგვწერეს, სადაც ქართველ ლიდერთა სამშვიდობო განცხადებებისა და მათი ქმედების ურთიერთგამომრიცხაობაზე საუბრობდნენ და ასევე აფხაზური საზოგადოების მოლოდინზე, რომ მშვიდობის დროშის ქვეშ გაერთიანებულ პოლიტიკოსთა შორის რომელიმეს ეყოფოდა გამბედაობა და 1992-1993 წლების მოვლენებს შეაფასებდა:

"... ძვირფასო კოლეგებო, იმედი გვაქვს, რომ იზიარებთ ჩვენს შეშფოთებას. დარწმუნებულები ვართ, ყველაფერს გააკეთებთ იმისთვის, რომ ლიდერების პოპულისტურმა განცხადებებმა და უპასუხისმგებლო საქციელმა არ ჩაშალოს სამშვიდობო პროცესი. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ, ერთობრივი ზომების პაკეტი შევიმუშავოთ:

1. გამოვაცხადოთ დროებითი მორატორიუმი ყოველგვარ ცალმხრივ ქმედებაზე - არასანქცირებულ ვიზიტებზე ორივე მხრიდან, თუნდაც სამშვიდობო ლოზუნგებით გამართულ მასობრივ მიტინგებზე, მსვლელობებსა თუ მანიფესტაციებზე უშუალოდ უსაფრთხოების ზონასთან. უნდა ვიცოდეთ, რომ აქ ყოველგვარ დესტაბილიზაციას

შეუძლია პროვოკაცია და ძალადობის ესკალაცია გამოიწვიოს.

2. უმოკლეს დროში შედგეს ტელეხიდი სოხუმი–თბილისი, რომ საზოგადოების წარმომადგენლებმა იმსჯელონ შექმნილი ვითარების გარშემო და მონახონ დაძაბულობის განმუხტვის გზები.

ჩვენ ვალდებულები ვართ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ბოლო წლების მიღწევა - ერომანეთისადმი პატივისცემისა და ურთიერთგაგების დასაწყისი, რაც მშვიდობიანი მომავლის აშენებაში დაგვეხმარებოდა".

ამ წერილის პასუხად, გერმანიაში მცხოვრები ემიგრანტის, რესპუბლიკური პარტიის წევრის (ფსევდონიმით "მეგობარი"), 1931 წელს დაბეჭდილი ანალიტიკური სტატია მოვიძიეთ და გაზეთ "24 საათში" გამოვაქვეყნეთ. ავტორი ქართველების მიერ აფხაზთა მიმართ დაშვებულ 3 შეცდომაზე საუბრობს: 1. აფხაზების ქართველებად გამოცხადება და ამით მათი ეროვნული ღირსების შელახვა; 2. მენშევიკური მთავრობის მიერ ამ ხალხის მიმართ უპასუხუსმგებლო ეკონომიკური პოლიტიკის გატარება; 3. გენერალ ჯუღელის გვარდიის აფხაზეთში შესვლა და იქ გაჩაღებული ძარცვა-გლეჯა და ძალადობა.

"მეგობარი" ამაოდ ნატრობდა, რომ ეს შეცდომები ქართველებს აღარასოდეს დაეშვათ. 90-იანი წლების დასაწყისში ისტორია განმეორდა და თანაც უფრო მძიმე და დამანგრეველი შედეგებით.

ამ დღეებში, როცა აფხაზეთიდან გამოგზავნილ წერილს ვკითხულობდი, უკანა მხარეს რაღაც მინაწერი აღმოვაჩინე. "სირცხვილი და სინდისი" - ასე დამირქმევია გამოხმაურებისთვის, რომელიც ვერ დავასრულე და მისი აფხაზებთან გაგზავნაც სამომავლოდ გადავდე.

დიახ, 2004 წლის მოვლენების შემდეგ დუმილის გამო თუ ვინმემ შემარცხვინა, ათასი თავის გასამართლებელი მიზეზი შემიძლია მოვიფიქრო. ბოლოს და ბოლოს ვიტყვი, რომ მე მაინც ვერაფერს შევცვლიდი და ვერავის დავარწმუნებდი-მეთქი.

მაგრამ რას ვუზამ სინდისს?! ამ მამხილებელ გონებას ხომ ვერაფერს გამოაპარებ და ვერ დაუძვრები, რადგან იგი თვითრეფლექსიას და საკუთარი შეცდომების აღიარებას გაიძულებს. მხოლოდ მისი წყალობით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი დუმილი "მშვიდობის" მარგინალიზებასა და მილიტარიზმის კულტივირებას თუ წაადგა მხოლოდ.

## "სიყვარული" თუ "ჟიმაობა"

2005 წლიდან პატრიოტული პროპაგანდა და მილიტარისტული სულისკვეთება ძალას იკრებდა. კლიპი კლიპზე მზადდებოდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ როგორც კი ერთს კარგად დაამღერებ – ტერიტორიებსაც უმალ დაიბრუნებ.

ქართული საზოგადოების ნაწილი გვარიანად კი ქირქილებდა ამ ვირტუალურ, სასიმღერო "ომობანაზე", მაგრამ მისი შინაარსი საკადრისად არავის გაუკრიტიკებია. მაგალითად: არავის დაუსვამს კითხვა ზუმბასთვის იმის თაობაზე, თუ რატომ შეცვალა მან გალაკტიონის ტექსტი და ფრაზას "ზღვა, რომელიც შორია" რატომ ამჯობინა "ზღვა, რომელიც ჩვენია"?! ასევე არავინ დაინტერესებულა – სად გაამგზავრა ამ ბიჭმა ეს თავისი ნაცნობ-მეგობრები და დევნილები მაშინ, როცა ენგურის ხიდზე რუსები დგანან?

მილიტარისტული ჰიმნოგრაფიის მწვერვალი, "ფსოუს წყალი", უკვე ააშკარავებს საომარ მზადებას, შეჰხარის ბრძოლისა და თავგანწირვის რომანტიკას...

ფსოუს წყალი, აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებიდან მოყოლებული, ქართული სახელმწიფოებრიობის და ერთიანობის საკრალურ სიმბოლოდ იქცა. გახსოვთ ალბათ, რა დიდი გზნებით დაეწაფა მას გიორგი ყარყარაშვილი. ალბათ ამიტომ ემუდარება მომღერალი ქართველ მებრძოლებს მამულის საზღვარზე მოჩუხჩუხე, უკვდავმყოფელ სითხესთან ზიარებას!

სიმღერის ვიზუალური ნაწილიდან კიდევ შეიძლება რაღაცის გაგება, მაგრამ ტექსტი სავსეა ნაძალადევი სიტყვათშეთანხმებებით და ხელოვნური, გულისამრევი მაღალფარდოვნებით.

წარსულიც და აწმყოც, ომით გამოწვეული სისხლი, ცრემლი და

ძაძები თურმე დროის ბრალია და მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა და არა – ქართულ და აფხაზურ საზოგადოებას. მოკლედ, ჩვენ მხოლოდ ფსოუს წყალს დავლევთ და მაშინვე შავი ზღვის სანაპიროზე აღმოვჩნდებით. თანაც უკვდავება და შვილების მადლიერებაც გარანტირებული გვაქვს.

ლექს-სენის სიმღერამ "კოითი ფანდარასტ" ბევრი გააღიზიანა, მაგრამ არა ტექსტის შინაარსის, არამედ – ოსურენოვანი ცნების "ფანდარასტ" გამოყენების გამო, რომელმაც შეურაცხმყოფელი გამოთქმები და რეპლიკები გამოიწვია. ბოლოს კი ქართული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებმა, "ჭკუითა და წინდახედულებით გამორჩეულმა" მასხარებმა ამ სიმღერის სამარცხვინო ინტერპრეტაცია გააკეთეს და მთელი თვეები გაჰკიოდნენ: "კოკოითის თურმე კაცი არ ჰქვია, კაცი კი არა, თურმე ფანდარასტია." ამ უმეცრების კომენტირება ჩემს ძალებს აღემატება.

უკვე აღარაფერი მიკვირს და ვეღარც ერთი ქართველი ინტელექტუალის მიერ ივლისის ბოლოსკენ წამოწყებული ომის აპოლოგია შევიცხადე: მსჯელობის გასაშლელად, მან ამერიკული, 60-იანი წლების კონტრკულტურული მოძრაობისა და ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგეთა სლოგანი გამოიყენა: "Make Love, Not War!", ოღონდ ფრაზის პირველი ნაწილის ქართული თარგმანისას "ჟიმაობა" გამოიყენა და არა - "სიყვარული".

ხვდებით ალბათ, რომ ამ ინტელექტუალს ინგლისური ენის ცოდნას როდი ვუწუნებ – მხოლოდ მისი ლინგვისტურ-ზნეობრივი არჩევანი მაღიზიანებს: როცა ამ უნიკალურ გამონათქვამში სიყვარულს ანუ მშვიდობას ვერ ამოიკითხავ, მაშინ ომი – ანუ სიძულვილი გარდაუვალია.

# ჭაბურღილების სქესი

ლელა გაფრინდაშვილი

ადამიანი მხოლოდ მაშინაა კეთილშობილი, თუკი იგი ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას თანაბრად თანაუგრძნობს. ასეთი კი თითქოს პირველყოფილი, სამყაროში დედიშობილა მოხეტიალე, შემგროვებელი და მონადირე ადამიანი უფროა, ვიდრე მისი მემკვიდრე - ცივილიზაციისა და მეცნიერული რევოლუციების პირმშო.

მიმოიხედავ და აღმოაჩენ, რომ კეთილშობილება ნელ-ნელა უცხო ხილად იქცა. რასაკვირველია, ეს იმიტომ არ ხდება, რომ ადამიანში სათნოებათა მარაგი ამოიწურა – არა! უბრალოდ, ბუნების ეს უმშვენიერესი ქმნილება ყველას დაავიწყდა და მანაც დაივიწყა საკუთარი თავი.

როცა პირველყოფილი იდილიიდან გამოერკვა და მიხვდა, რომ მისი ტყის გადაღმა სხვისი, უცხო და განსხვავებული სივრცეა, მაშინვე "მიღმურის" მონახულების მიზანსწრაფვამ შეიპყრო. ჰოდა, დაიწყო "ჩაკეტილი წრიდან გასვლის" და წრეგადასული მოპოვება-მისაკუთრება-დაცვის ეპოქა.

მოხვეჭის ვნება კი დაიკმაყოფილა, მაგრამ ბედნიერების განცდისგან დაიცალა. მოენატრა წარსული - ანიმიზმის პერიოდი, როცა ეგონა, რომ განგებამ ყველა საგანს და არსებას თანაბრად შთაბერა სული. ახლა კი სამყარო, ქარხნებისა და ფაბრიკების ალყაში მოქცეული, თითქოს სულისგან დაიცალა და განივთდა.

ადამიანის არსზე დაფიქრებულმა მკვლევარებმა მისი მარტოობა უფრო გაამძაფრეს: რაც არის, არის! ვერაფერს შეცვლი, შენი ბედი

წინასწარგანსაზღვრულია ადრეული ბავშვობის განცდებით (ფროიდი) ან ეკონომიკური პირობებით (მარქსი).

კიდევ კარგი, რომ ქომაგებიც მალე გამოჩდნენ: შენ სამყაროს გვირგვინი ხარ, მისი არქიტექტორი, ძლევამოსილი არსი, სახელმწიფოსა და სამართლის ზრუნვის ობიექტი; ნუ დაგამძიმებს ვალდებულებები, რადგან მათ საპირწონედ, ჩვენ უფლებებით უზრუნველგყოფთ!

... ის მაინც მარტოა, დაღლილი და გაძარცვული. მისტირის წარსულს და ენატრება ადამიანის, ცეცხლის, წყლის, ჰაერისა და მიწის ერთადერთობა. თუმცა, ხვდება, რომ ვეღარასოდეს დაუბრუნდება იდილიურ, მოკრძალებულ და თბილ წიაღს, რადგან ჩათრეულია ამაოების ორომტრიალში – სწორედ ისე, როგორც წყალუხვ მდინარეში შესული გულზვიადი არსება, თავიდან რომ იოლად უმკლავდება აქოჩრილ ზვირთებს, მაგრამ როცა შუამდე მისული აღმოაჩენს, რომ ვეღარაფერს გახდება, თავადვე ნებდება ბედის მდინარებას.

ადამიანი გვიან მიხვდა იმ სიავეებს, რაც ბუნების უხეშმა დამორჩილებამ, მისი მთლიანობის შერყევამ მოიტანა. მაგრამ დღესაც - ერთი ხელით რომ ხეს რგავს და ცოცხალ არსებას უვლის, მეორე ხელით იარაღს ეფერება, ერთი სიტყვით რომ სიყვარულს ადიდებს, მეორეთი - სიძულვილს თესავს.

ბუნება, დედამიწა და ვარსკვლავები მხოლოდ "ომიდან" დაბრუნებულს ან გამოქცეულს ახსენდება. ისიც ცოტა ხნით – სანამ ახალი "ომი" დაიწყება.

# დაგწყევლოს თეთრმა გიორგიმ!

ზაფხულის ეს დღე, თეთრი გიორგობა, ყველას უყვარს, რადგან ერთად იკრიბებიან და ლოცულობენ. შემდეგ, მზის ჩასვლამდე, ბალახზე სხედან, სადღესასწაულო კერძებს შეექცევიან და ლაღობენ.

ჩინებულად წარიმართა. სანოლის სუნითა და გაუთავებელი ლოცვების წარმოთქმით დაღლილი ხუცესი შვილმა თივით სავსე მარხილით წააბრძანა შინ.

ქალაქიდან ამოსულებიც ჩასხდნენ თავიანთ მანქანებში და კმაყოფილი ღიმილით დაგვემშვიდობნენ. უცნაური ის იყო, რომ ყველასთვის მოულოდნელად, ნახევარი გზიდან მობრუნდნენ და თავიანთი "ბედაურებით" სოფელს რამდენჯერმე შემოუარეს. ეს "აღლუმი" არავის ესიამოვნა და მეც მთელი დღის ნეტარება რაღაც უცნაური სევდით შემეცვალა. ამას დაღლილობაც დაემატა და სახლში დაბრუნებულს, ძილი ადვილად მომერია. ღრმა ბურანში ჩავიძირე და...

ვხედავ, ეს ქალაქელი მანქანები არსადაც არ წასულან, უვლიან და უვლიან სოფელს. ბოლოს ხეებზეც ავიდნენ, ყანები და სათიბები გადაჯეგეს, მდინარეში შეიჭრნენ, სიპ ქვებზე ბორბლები ააღრჭიალეს და წისქვილებთან დაბანაკდნენ.

მალევე ავზნიანებივით დაირაზმნენ, გეზი ბოსლებისკენ აიღეს - კარები შეამტვრიეს და თავზარდაცემული საქონელი შარაზე გამოყარეს. მოკლედ, იავარქმნეს იქაურობა.

ბოლოს, "წავედითო" ვიღაცამ დაიძახა. შარაზე გამოლაგდნენ და ნელი სვლით გაუდგნენ გზას. თუმცა, ყველაზე საშინელი რამ სწორედ მერე დაიწყო.

"მაოხრებლებმა" მდინარის გასწვრივ, რაღაც შავი კვამლი დატოვეს,

რომელიც ზანტად ამოძრავდა, სახლებს მოედო და სახურავები გადახადა. ყველანი გარეთ გამოვცვივდით და მომხვდურის ნებას დავმორჩილდით: სულიერ კვამლს ბეღლებიდან გამოაქვს ყველის კასრები, ფქვილის კიდობანები, ჰაერში ატყორცნის და აუჩინარებს.

მალე ადამიანებზეც გადავიდა: სოფლის ბებიაქალი, დაუძლურებული ხუცესი, დურგალი და მისი მასწავლებელი ცოლი, მეთუნუქე – ყველა ერთად შეყარა, ჩვენი ძაღლი "ბელხვა", ბებიაჩემის ვარცლი და ქვასანაყიც ზედ მიაყოლა და ავისმომასწავებლად დაიგრიალა.

გული მწუხარებით ამევსო და ხმა ამოვიღე, უფრო ზუსტად - მრისხანება ამოვაფრქვიე:

– შე კუდიანო ქაჯო, დაგწყევლოს თეთრმა გიორგიმ!

ამის თქმა იყო და სოფელს პირველადი სახე დაუბრუნდა, მაგრამ მე ისეთი ელდანაკრავი სახით გავიღვიძე, რომ დედაჩემის მამიდა მთელი ღამე შეშინებულის ლოცვას მიკითხავდა: "...შემოგილოცავ ნათალყვისა, ქალისა, კაცისა, დიდისა, პატარეისა, მტერისა, მოყვრისა, შავთვალიანისა, ჭრელთვალიანისა. ვინ იყოს შენი მთვალავი, ვინ იყოს შენი მღალავი – ქვა დატკვიროს, ქვა შეჭამოს, ქვა გულზე დეიკიდოს, შენ ჯვარი დაგწეროს ... " (დანარჩენი მერე!)

## დაბინდულ ქლიავის ფერი

ეს ჩემი სიზმარი ბევრჯერ გამხსენებია. განსაკუთრებით მაშინ, როცა ქალაქური რუტინადან გამოქცეული, სადმე ბუნების სავანეში აღმოვჩნდებოდი. მაგრამ სტუდენტობის დროს კი თავი ისეთნაირად შემახსენა, რომ აღარასოდეს დამავიწყდება.



80-იანი წლების მიწურულს, ზურაბ კაკაბაძის პატარა წერილს წავაწყდი – "ბუნების დაცვის

ერთი უცნობი ასპექტის შესახებ". ქართველ ფილოსოფოსი ეკოლოგიის პრობლემათა დასავლური კონტექსტის ქართულ სინამდვილესთან მისადაგებას ცდილობს და თვალსაჩინოდ აღწერს ინდუსტრიალიზაციის საფრთხეებს: ბუნების გარდაქმნა და ბუნებრივი რესურსების გაუაზრებელი ხარჯვა როგორ ემუქრება როგორც სიცოცხლეს, ასევე – თავად კულტურასაც.

"ინდუსტრიული გარდაქმნები აუცილებლად გამოიწვევს ქვეყნების ბუბრივ თავისებურებათა ნიველირებას და აქედან გამომდინარე, კულტურათა წაშლა-დაკარგვას და საბოლოოდ, კაცობრიობის კულტურის უკიდურეს გაღარიბებას. ბუნების, ბუნებრივი გარემოს გადაგვარება, შესაბამისი ხალხის ხასიათისა და კულტურის, მისი ეროვნული სახის გადაგვარებას მოასწავებს".

არადა, ლანდშაფტის სხვადასხვაობა კულტურათა თავისებურებებს აყალიბებს: კახური "მრავალჟამიერი"-ს მოსმენისას კავკასიონი გვახსენდება, გურული კრიმანჭულის ჰანგზე კი – ხუჭუჭა მთებსა და გორაკებზე "მორბენალი" ნაკადული. ტიპიური რუსული სიმღერა – ვრცელი ტრამალებისა და სტეპების წიაღში დაგვატარებს. გალაქტიონის "დაბინდულ ქლიავის ფერი" იმერეთთან ასოცირდება, ხოლო ლეონიძის ლექსი – კახური პეიზაჟის მსგავსად, მკვეთრი და ჩახჩახაა.

ბუნების გადაგვარება კულტურათა უთანასწორო აღრევას, "გასაშუალოებას" გვიქადის:

"... ამიტომ გასაგები უნდა იყოს, რომ ბუნების დაცვისათვის

აღძრული მოძრაობის აზრი არ ამოიწურება სიცოცხლის ელემენ-ტარული პირობების დაცვის ამოცანით; კიდევაც რომ მოხერხდეს, ბუნების დიდი გარდაქმნების მიუხედავად, სიცოცხლის ელემენ-ტარული პირობების შენარჩუნება – ერის სიცოცხლის გადარჩენის პრობლემა მაინც გადასაწყვეტი დაგვრჩება".

ავტორი დაგვაფიქრებს იმაზეც, რომ ხშირად, ამ დაუოკებელი ნგრევის მესვეურები, თავს იმით იმართლებენ – ბუნებრივი რესურსების ხარჯვის ასეთ ტემპს ადამიანის მზარდი საჭიროებები განაპირობებსო.

ბუნების დამცველები კი აღნიშნავენ, რომ ეს "საჭიროებები" ხელოვნურად არის შექმნილი, თავსმოხვეული და პრობლემის დასასურათხატებლად ასეთ ანეკდოტს იშველიებენ:

"ერთ პატარა ქალაქში მოქალაქეები მოკლებულნი იყვნენ საკუთარ ავტომანქანებს, ისინი მაინცადამაინც არცა გრძნობდნენ საამისო საჭიროებას, რადგან მანძილების შედარებითი სიმცირის გამო, მისვლა-მოსვლას ფეხითაც იოლად ახერხებდნენ. ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცამ დიდი ქალაქიდან ინდუსტრიული პრო-გრესისა და, სახელდობრ, ავტოქარხნის მშენებლობის იდეა შემოიტანა. იდეა გავრცელდა და ბოლოს

განხორციელდა კიდევაც - ქალაქში ავტოქარხანა აამუშავეს. ამას, გასაგებია, თან მოჰყვა ქალაქისა და მასში სამოძრაო მანძილების ზრდა. რამაც, თავის მხრივ, მოქალაქეებისათვის საკუთარი სწრაფმავალი ტრანსპორტის საჭიროება წარმოშვა. რამდენიმე ხანში დიდი ქალაქიდან ავტოქარხნის მასშტაბის ზრდის იდეა იქნა შემოტანილი.; ქარხანა გაიზარდა და მასთან ერთად გაიზარდა ქალაქი, გაიზარდა მასში სამოძრაო მანძილები. ამან, თავის მხრივ, გაზარდა საკუთარი ავტომანქანის ყოლის საჭიროება - აქამდე თუ ოჯახში ერთი საერთო მანქანა კმაროდა, ახლა მის თითოეულ წევრს ცალკე მანქანა დასჭირდა... ასე ხელოვნურად, ავტომანქანების წარმოების შედეგად, იქნა ნაწარმოე-ბი მათი საჭიროებაც..."

ეს ადგილი რამდენჯერმე წავიკითხე და რაღაც უცნაური ნაც-ნობი განცდა დამეუფლა: გამახსენდა ჩემი ბავშვობის სიზმარი – ის მოულოდნელი, უცხო, ქედმაღლური და თავზარდამცემი ინტერ-ვენცია და წინააღმდეგობის შეუძლებლობით გამოწვეული სასოწარკვეთა.

# დედობა და დედამიწა

ადამიანის ადგილს თანამედროვე სამყაროში მისი ძალაუფლების სტატუსი განსაზღვრავს. დაპყრობა-ფლობა-მორჩილების მარათონს ისინი ლიდერობენ, ვინც ყველაზე მეტად და მონდომებით ბურღავს დედამიწას და "ბურღავს" ადამიანის გონებას. კიდევ კარგი, რომ მომპოვებელთა, მონადირეთა და დამმონებელთა მტაცებლური ინსტიქტების წინააღმდეგ მებრძოლები ჯერ კიდევ არსებობენ. მათი ხმა კი ამ "მბურღველებში", კასტრაციის შიშის ანალოგიურ ფობიებს იწვევს.

სამყაროს მომავლისადმი გულგრილობას, დედამიწის "ქონების" ანგარიშმიუცემელ ამოხაპვას და ოქვლეფას გამუდმებით აკრიტიკებენ ფემინისტები და ბუნების "მორჯულების" სათავეს პატრიარქატში ხედავენ. ქალი, თავისი დედობის უნივერსალური უნარით, სამყაროზე ზრუნვის, მისი მთლიანობის გაფრთხილების და შენარჩუნების მომხრეა.

"არაფერი ისე ღრმად არ აკავშირებს ადამიანს ბუნებასთან, როგორც ქალის რეპროდუქციული სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს მას, მთელ დანარჩენ ცოცხალ სამყაროსთან ერთად, მონაწილეობა მიიღოს სიცოცხლის დაბადებასა და მხარდაჭერაში. სწორედ ამითაა ქალი ბუნების ჭეშმარიტი შვილი, ამ ბუნებრივ სიმრთელეშია ჩადებული მისი სიძლიერის წყარო. (A. Collard, "Rape of the Wild. Man's Violence against Animals and Eath", London: Women's Press, 1988).

მამაკაცი კი უკიდეგანო ვოლუნტარიზმით ხარჯავს/ფლანგავს ბუნების და მისი ხელქვეითების რესურსებს, რადგან პატრიარქატის გარიჟრაჟიდან დღემდე, თავს სამყაროს ერთპიროვნულ ბატონ-პატრონად განიცდის. აი, რას წერს ამის შესახებ თავის წიგნში – "ქალად დაბადებული", ედრიენ რიჩი:

"ადამიანის ცნობიერებაში უმნიშვნელოვანესი მომენტი მაშინ დადგა, როცა მამაკაცმა აღმოაჩინა, რომ ქალს ანაყოფიერებს არა მთვარე, გაზაფხულის წვიმა ან მიცვალებულთა სულები, არამედ

სწორედ ის – მამაკაცი და რომ ქალის მიერ მუცლით ნატარები და გაჩენილი ბავშვი, მისი შვილია, მისი უკვდავმყოფელი." (Adrienne Rich, "Of Woman Born", 1977).

ამ ცნობიერების რევოლუციამ კაცობრიობის ისტორიაში მომხდარ სიავეთა დიდი ნაწილი განაპირობა. ალბათ ამიტომაა, რომ ნავთობში ამოვლებული ჭაბურღილების შემხედვარეს, სულ ეს აზრი მახსენდება:

"....შეღწევა უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობის აქტია, რომლის საშუალებითაც მჩაგვრელი შედის ჩაგრულის სხეულში და იპყრობს მას, სჯის და აკონტროლებს... შეღწევის ყოველი აქტი თავდასხმაა, რომელიც არყევს მის თავდაჯერებულობას და აძაბუნებს მის შინაგან ძალებს." (The Leeds Revolutionary Feminist Group).

ადვილი მისახვედრია, რომ ამ ციტატაში ნაცვალსახელებში "მას" და "მის" ქალი და დედამიწა თანაბრად იგულისხმება.

# ჯაზის ცხოვრება

ზურაბ ქარუმიძე

## თავი პირველი

## ჯაზის წარმოშობა

*ჯაზის დედა ბლუზი იყო,*
*მამა კიდევ – რეგტაიმი...*

ჯაზი ჭაობიან ალაგას გაჩნდა – მდინარე მისისიპის დელტაში, სადაც ქალაქი ნიუ-ორლეანი მდებარეობს. დელტას, მოგეხსენებათ, სამკუთხა ფორმა აქვს, სამკუთხედი კი ქალური საწყისის სიმბოლო გახლდათ ოდითგანვე. ჰოდა, ამერიკის დედა-მდინარის – მისისიპის დელტიდან იშვა ჯაზი.

ჯაზი ნიუ-ორლეანის საროსკიპოებში დაიბადა. დიახ, ის საყვირის დამკვრელი ზანგი, რომელსაც ჯაზის პირველ შემსრულებლად მოიხსენიებენ – ბადი ბოლდენი, და ის კრეოლი პიანისტიც, რომ იჩემებდა – "ჯაზი მე შევქმენიო" – ჯელი როლ მორტონი, თავიანთ შემოქმედებას სწორედ სტორივილის უბნის საროსკიპოებში ხვეწდნენ.

საროსკიპოში დაბადებული ჯაზის დედ-მამის ამბავიც ცნობილია. დედას მეტად ლამაზი სახელი ჰქონდა – *ბლუზ*, ხოლო მამის სახელი იყო *რეგტაიმ*.

მოდი, ჯერ დედისა ვოქვათ.

იყო ნიუ-ორლეანში ერთი მოედანი, რომელსაც *კონგოს მოედანს* ეძახდნენ, ახლა კი იქ ლუი არმსტრონგის სახელობის დიდი პარკია გაშენებული; 1817 წელს ქალაქის მუნიციპალიტეტმა იქაურ ზანგ მონებს უფლება მისცა, კვირაობით შეკრებილიყვნენ ამ მოედანზე და ცეკვა-თამაში გაეჩაღებინათ. შედეგად, ყოველ კვირა დღეს, ათწლეულების განმავლობაში, *კონგოს მოედანზე* იკრიბებოდნენ ზანგი მონები, მართავდნენ ფერხულს, მღეროდნენ და თავიანთ მარტივ, აფრიკული წარმომავლობის ინსტრუმენტებს – დასარტყამ თუ სიმებიანი საკრავებს აკვნესებდნენ. თანამედროვეთა ჩანაწერებიდან ჩანს, თუ რაოდენ უჩვეულო იყო ეს მუსიკა – როგორც რიტმიკის, ისე მელოდიკის თვალსაზრისით.

*კონგოს მოედანზე* გაჩაღებული ფერხულის რიტმიკა ჯვარედინი იყო: ორი შეუსაბამო რიტმი ერწყმოდა ერთმანეთს: ვოქვათ, 4/4-ს ედებოდა 3/4. აფრიკული მუსიკის რიტმული არსი მუდამ ასეთი გახლდათ – დაპირისპირებული რიტმების შეხამება. ამგვარი ჯვარედინი რიტმიკა თან სდევს ჯაზის მთელ შემდგომ განვითარებას, როგორც საფუძვლისეული პრინციპი: **მელოდიის თავისუფალი მოძრაობა საბაზო რიტმის მიმართ.**

უჩვეულო იყო აფრიკელ მონათა სიმღერების მელოდიაცა და ჰარმონიაც. ევროპული შვიდსაფეხურიანი *დიატონური* გამისაგან განსხვავებით, ის ხუთსაფეხურიან გამას - პენტატონიკას ემყარებოდა, *პენტატონიკა* კი უძველესი ბგერათწყობაა - ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან მოყოლებული, იგი გავრცელებული იყო შუმერში, აცტეკებისა და მაიას კულტურაში, ჩინეთში, იაპონიაში... სხვათა შორის, სვანური ჰარმონიაც პენტატონიკურია, ისევე როგორც შოტლანდიური და ირლანდიური.

ცეკვა-თამაშს აფრიკელი მონები ექსტატურ მდგომარეობამდე მიჰყავდა, ხოლო ექსტაზში ბგერის სიწმინდე და მდგრადობა ირღვევა. *კონგოს მოედნის* მომღერლებიც "ჭუჭყიან", არამდგრად ბგერებს გამოსცემდნენ და სწორედ ამგვარი არამდგრადი ბგერებისაგან შემდგომში ე.წ. "ბლუზური ტონები" იშვა - ჯაზური მუსიკის საფუძველთა საფუძველი.

ზანგი მონები მხოლოდ ამ საკვირაო მღერა-შექცევით როდი იკლავდნენ მუსიკის ჟინს. ბამბის პლანტაციებში მუხლჩაუხრელნი თუ ქვანახშირის ვაგონებთან მოფუსფუსე მონები მაინც თავისას მღეროდნენ: ეს იყო ე.წ. "უერკ სონგ" (Work Song) – *შრომის სიმღერა*, დაახლოებით იგივე, რაც გურული ნადური. "უერკ სონგიც" შეიცავდა ტრადიციული აფრიკული მუსიკის ელემენტებს- ე.წ. *შეძახილებს*

(hollers), *გადაძახილებს* (call-and-response) და ა.შ. იყო, აგრეთვე, *ქუჩის მოვაჭრეების ძახილიც* (street cries). ეს ელემენტები შემდგომში ჯაზის ინსტრუმენტულ სტრუქტურაში დაიმკვიდრებს ადგილს (მაგალითად, სუინგური ბიგ-ბენდის გადაძახილები საყვირ-ტრომბონებსა და საქსოფონებს შორის, ან სოლისტისა და ორკესტრის "დიალოგი").

აფრიკიდან გამონაყოლ ტრადიციულ მუსიკასთან ერთად, ზანგი მონები თავიანთი თეორკანიანი ბატონების მუსიკასაც ისმენდნენ და ითავისებდნენ – როგორც ხალხურს, ისე კლასიკურსა და საეკლესიოს. ტრადიციული აფრიკული მუსიკის ნიადაგში ჩაყრილი ევროპული მარცვლებიდან აღმოცენდა მარტივი სასიმღერო და საცეკვაო ფორმები - ანუ საკუთრივ *აფრიკულ-ამერიკული მუსიკის* წინარე სახეები. ევროპულისა და აფრიკულის ამგვარი სიმბიოზი თავის ნაყოფს გამოიღებს და მეოცე საუკუნის ამერიკული მუსიკის ძირეულ ჟანრებს წარმოქმნის.

ზანგი მონების ევროპეიზებული სიმღერებისა და ცეკვების პაროდირებას, თავის მხრივ, ხელი მიჰყვეს თეორკანიანმა მუსიკოსებმაც. ამგვარი პაროდირების შედეგად, სამოქალაქო ომის წინა ათწლეულებში, ჩამოყალიბდა მუსიკალურ-თეატრალური ჟანრი "მინსტრელ შოუ" (მენესტრელების შოუ), რომელშიც ზანგებად გადაცმული თეორკანიანები მონაწილეობდნენ. ამის პასუხად ზანგები ქმნიან საკუთარ "მინსტრელ შოუს" და თეორების მიერ ზანგების პაროდირების პაროდირებას მიმართავენ. "მინსტრელ შოუდან" წამოსულმა სასიმღერო და საცეკვაო ფორმებმა, ასევე, თავისებურად შეამზადა ჯაზის შემდგომი ჩამოყალიბება.

ევროპული პოპულარული ჰანგები ჟღერდა კრეოლთა მუსიკაშიც. კრეოლებად პირველი ესპანელი და ფრანგი კოლონიზატორების შთამომავლები იწოდებოდნენ და ამერიკის სამხრეთის შტატების მონათმფლობელთა შორის ესენიც ერივნენ. თუმცა, იყვნენ ე.წ. "ფერადკანიანი" კრეოლებიც – ფრანგ და ესპანელ მონათმფლობელთა და მათი შავკანიანი მონა ქალების ნაშიერნი. ფერადკანიანმა კრეოლებმა ზანგებზე ადრე იგემეს თავისუფლება და, შესაბამისად, განათლებაც მეტი ჰქონდათ. მუსიკალური თვალსაზრისითაც უფრო დახვეწილნი იყვნენ და განსწავლულნიც – ევროპულ ყაიდაზე უკრავდნენ. მაგრამ XIX საუკუნის ბოლოს, სპეციალური რესკრიპტით, ფერადკანიანი კრეოლებიც შავკანიანებს მიაკუთვნეს. სოციალურ უფლებათა თვალსაზრისით ეს მძიმე დარტყმა იყო, თუმცა მუსიკალური თვალსაზრისით ერთობ სასიკეთო აღმოჩნდა – კრეოლთა მუსიკა აფრო-ამერიკულ მუსიკას შეერწყა და კიდევ უფრო გაამდიდრა ევროპული გამოცდილებით.

ევროპულისა და აფრიკულის შერწყმის შედეგად წარმოქმნილ სასიმღერო ფორმებს შორის განსაკუთრებული ალაგი უჭირავს ზანგურ საეკლესიო საგალობლებს – *გოსპელსა* (Gospel) და *სპირიჩუელს*

(Spiritual)[1]; ამათ მე "ჯაზის ღვთისმოსავ დიდედებს" დავარქმევდი და ისინი დღესაც ცოცხლობენ, როგორც თვითმყოფადი რელიგიურ-მუსიკალური ფენომენი. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ *გოსპელის* და *სპირიჩუელის* საერო (სეკულარულ) სახესხვაობას წარმოადგენდა ბლუზი.

XVII-XVIII საუკუნეებში ზანგი მონები თეორკანიანთა, ძირითადად, ბაპტისტურ ეკლესიებში დაჰყავდათ, რათა ქრისტიანობას ზიარებოდნენ. განა რა ინგლისური უნდა სცოდნოდათ იმდროინდელ მონებს ან რა განათლება უნდა ჰქონოდათ, რომ საღვთო წერილის ენობრივ თუ აზრობრივ ხლართებში გაეკვალათ გზა. "აწ განმიტევებ, უფალო!" - სწორედ ხსნის მოლოდინი იყო ქრისტიანობის მთავარი ხიბლი ზანგი მონებისთვის. იმათ ეკლესიებში ნამღერი საგალობლებიც ერთობ პრიმიტიული რამ გახლდათ, თუმცა ამ გულუბრყვილო უშუალობას წინაპართაგან გამოყოლილი აფრიკული წარმართობისათვის ჩვეული ექსტატური განწყობა ამდიდრებდა, რომელიც *გოსპელის* და *სპირიჩუელის* პათოსშიც შეიგრძნობა და ბლუზშიც. **Swing Low, Sweet Chariot** - ას ორმოცდაათი წლის წინ შექმნილ ამ ჰიმნს რომ უსმენ, დღესაც ჟრუანტელი გივლის (აქვე მოვლენებს წინ უნდა გავუსწრო და ერთი დიდებული ქალბატონი ვახსენო – *გოსპელის* და *სპირიჩუელის* "დედუფალი" – მაჰალია ჯეკსონი (1911-1972), რომელმაც თავისი ხალასი ნიჭისა და განუმეორებელი კონტრალტოს ძალით ზანგურ-ბაპტისტური საგალობელი სრულფასოვან სამუსიკო ჟანრად დააფუძნა, დღესაც რომ ისმის საკონცერტო სცენებიდან.)

XIX საუკუნიდან უკვე შავკანიანთა ბაპტისტური ეკლესიები ყალიბდება - ამათი მრევლის გულებში გაიდგა ფესვი *გოსპელმა* და *სპირიჩუელმა*, ამათ გალობაში აღმოცენდა და გასცდა საკვირაო ეკლესიურ თავყრილობებს, რათა სადაგი დღეების ტვირთი შეემსუბუქებინა მათთვის. თუ "შრომის სიმღერა" – *უერკ-სონგ* – შავკანიანი მონების სოციალიზაციას უწყობდა ხელს, ხოლო *გოსპელი* და *სპირიჩუელი* – ეკლესიურ ერთობას, ამათგან აღმოცენებული *ბლუზი* ინდივიდუალური კათარზისის, ექსტატური განწმენდის სიმღერა იყო – ამა სოფლის სიმღერად ნათქვამი სამდურავი! ასევე, თუ *გოსპელი* და *სპირიჩუელი* ღმერთთან, მაცხოვართან სანუკვარ შეყრას უგალობდა, ბლუზი თეორკანიან ბატონთან ურთიერთობის ამბავს იტყოდა. ხომ გახსოვთ *ჩაკრულოსეული* – "მუხრანბატონის ყმობითა, ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა..." – და ამგვარივე ჩივილი ჟღერდა ბლუზშიც... მოკლედ რომ მოვჭრა, ზემოხსენებული სოციალური, რელიგიური და ესთეტიკური პროცესების თანხვედრისა და უმალ ალქიმიური შერევის შედეგად, 1890-იანი წლებისთვის აღმოცენდა *ბლუზი*, როგორც აფრო-ამერიკული მუსიკალური ჟანრი.

[1] *Gospel* ინგლისურად "სახარებას" ნიშნავს, ხოლო *Spiritual* – "სულისმიერს."

საკუთრივ ტერმინი Blues მომდინარეობს შექსპირისდროინდელი ინგლისური იდიომატური გამოთქმიდან blue devils (სიტყვა-სიტყვით "ლურჯი ეშმები"), რაც სევდას, გულდამძიმებას, მელანქოლიას ნიშნავს. XIX საუკუნის ბოლოს ეს გამოთქმა ამერიკულ ინგლისურსაც შემორჩა ხმარებაში. ისე, მართლაც რომ შექსპირული მასშტაბის ზეგავლენა მოახდინა ბლუზმა XX საუკუნის პოპულარულ მუსიკაზე, ჯაზის გავლით კი აკადემიურ მუსიკაშიც შეაღწია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბლუზის მარცვლები ნოყიერ ნიადაგზე დაეცა: თავად ეს მარცვლები გახლდათ უჩვეულო ბუნებისა. ამ მარცვლებს "ბლუზური ტონები" ჰქვია – blue notes.

არსებობს ორი ძირითადი ბლუზური ტონი – III საფეხურის და VII საფეხურისა. თუ ავიღებთ ჩვეულებრივ დიატონურ გამას, ვთქვათ, *დო*-ს ტონალობაში, III საფეხური იქნება *მი* (მაჟორული ხმოვანებისას) და *მი-ბემოლი* (მინორული ხმოვანებისას); ასევე – VII საფეხური იქნება *სი* და *სი-ბემოლი*. კლასიკურ ევროპულ მუსიკაში ყველა ბგერა მდგრადი სიხშირისაა და ერთგვაროვანი – *მი* არის *მი*, ხოლო *მი-ბემოლი* არის *მი-ბემოლი*, და ა.შ. ამათგან განსხვავებით, "ბლუზური ტონი" არამდგრადი სიხშირიდან აღმოცენდება და არაერთგვაროვანია – მერყეობს *მი*-სა და *მი-ბემოლს* შორის, *მი*-ც არის და *მი-ბემოლიც*, და ამავე დროს – არც მი არის და არც მი-ბემოლი (ეს ეხება VII საფეხურსაც: *სი–სი-ბემოლი*). არაერთგვაროვნება, მოქნილობა, დინამიურობა, ტონალური თავისუფლება იმთავითვე ჩაიდო ჯაზის გენეტიკურ კოდში – თავისუფალი იმპროვიზაციის მუსიკის საფუძველში. "ბლუზური ტონი" სცილდება მინორის და მაჟორის ჩარჩოებს, მათ მიღმა ჟღერს; არის ამაში რაღაც მეტაფიზიკური – ტკივილისა და სიამის, სევდისა და სიხარულის მიღმა გასული განცდა. ამგვარი "ბლუზური მეტაფიზიკა" ბახსაც კი მოხიბლავდა – იმპროვიზაციის მამას, ხშირად თავის მინორულ კონტრაპუნქტს მაჟორულ ჟღერადობაში რომ ხსნიდა...

გამოყოფენ კიდევ ერთ "ბლუზურ ტონს" - V საფეხურისას, ე.წ. "დადაბლებულ კვინტას" (რომელსაც შემდგომში, მოწიფული ჯაზის ხანაში, ესოდენ უხვად იყენებდნენ ჩარლი პარკერი, დიზი გილესპი, თელონიუს მონკი და სხვანი მრავალნი).

ჰარმონიის მავან მკვლევართა აზრით, "ბლუზური ტონების" წარმოშობა განაპირობა XIX საუკუნის აფრო-ამერიკელი მუსიკოსების მცდელობამ, ტრადიციული აფრიკული პენტატონიკა და ევროპული დიატონური გამა შეეჯერებინათ. ამის თაობაზე ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ – მუსიკალური ჰარმონია სიბრძნისაა ერთი დარგი... ხოლო მავანი ფსიქოანალიტიკოსი კი ალბათ დასძენდა, რომ "ბლუზური ტონები" რეპრესირებული სოციალურ-ეროტიკული ინსტინქტების სუბლიმაციის შედეგია: სანამ ზანგი მონის სწრაფვა თავისუფლებისკენ პოლიტიკურ სახეს შეიძენდა, იგი მუსიკალურ-ტონალურ ფორმებში

გამოიხატა. შეიძლება ითქვას, რომ ორივე მოსაზრება – მუსიკოლოგიურიც და ფსიქოანალიტიკურიც – ურთიერთშემავსებელია და ასევე მისაღებიც[2]

ბლუზის, როგორც სასიმღერო ფორმის სტრუქტურა ერთობ მარტივია: 12-ტაქტიანი მელოდიური მონაკვეთები (ე.წ. "ბლუზური კვადრატი"), რომ-ლებსაც ედება სამტაეპიანი ლექსი – თითო ტაეპი ოთხ ტაქტზე; ამათგან პირველი და მეორე ტაეპი იდენტურია, ხოლო მესამე – თავისებური შემაჯამებელია და პირველ ორს ერითმება. უმეტესწილად, ტექსტი უაღრესად უბრალოა ხოლმე, ენობრივად გაუმართავი და დაუხვეწავი:

My father died and left me, my poor mother done the best that she could.

My father died and left me, my poor mother done the best she could.

Every man likes that game you call love, but it don't mean no man no good.

დიახ, მარტივია და დაუხვეწავი ბლუზური ლირიკა, თემებიც ბანალურია: სიკვდილი, სიყვარული, მონობა, თავისუფლება... მაგრამ სიღრმისეული, ექსტატური განწყობილების გადმოცემას სიტყვები მაინც არ ეყოფა და არც დიდი ფილოსოფია სჭირდება – გინდაც მანიერისტუ-ლად ჩახლართული და ღვლარჭნილი. მოელი დატვირთვა აქ "ბლუზურ ტონებზე" მოდის, ასევე – მოულოდნელ რიტმულ სვლებზე, ალოგიკურ აქცენტებზე და, რაც მთავარია, აქ ჟღერს ზანგური ხმა, შავ სისხლში დამბალი, ხავერდოვანი და ხეშეში ერთდროულად – აი, რა შეადგენს ბლუზის განუმეორებელ ხიბლს და ასეთია ჟანრის სპეციფიკა: აბა წარმოიდგინეთ ეროი, ვინმემ ესპანური "კანტე ხონდო" (ასევე გზნებითი სასიმღერო ფორმა) კრიალა საოპერო ხმით რომ შეასრულოს, რას მივიღებთ? – ისტერიულ კრიახს...

აფრო-ამერიკული მუსიკის მკვლევარები განასხვავებენ "სოფლურ ბლუზს" (country blues) და "კლასიკურ ბლუზს". სოფლური ბლუზი ამ სასიმღერო ფორმის პირველსახეა, სადაც ყველაზე უკეთ ჩანს ბლუზის მელოდიურ-ჰარმონიული და ექსპრესიული თავისებურებები. მეტიც, სტრუქტურული თვალსაზრისით, იგი კიდევ უფრო მეტად თავისუფალი იყო – შემსრულებელი არ იფარგლებოდა 12-ტაქტიანი სქემებით და გულის ხმას მიჰყვებოდა ჩარჩოს მიღმა. ასეთ ბლუზს ძირითადად მამაკაცები ასრულებდნენ, მხოლოდ გიტარის თანხლებით. "სოფლური ბლუზის" მომღერალთაგან (XX საუკუნის დასაწყისში) ყველაზე მეტად

[2]არსებობს მოსაზრება, რომელიც აფრიკული კულტურის მკვლევარმა, ნიკო-ლაი სოსნოვსკიმ სუფრასთან გამიზიარა, რომ ბლუზური ტონების წარმოშობის ალაგი სადღაც მავრიტანიასა და მალის შორის, ანუ – არაბულ-აფრიკულ მუსიკაში უნდა ვიგულოთ.

სახელი გაითქვეს ბლაინდ (ბრმა) ლემონ ჯეფერსონმა, ჰადი ლედბელიმ, მოგვიანებით კი – რობერტ ჯონსონმა და ჩარლი პეიტონმა.

"კლასიკური ბლუზი" იგივე "სოფლური ბლუზია," ოღონდაც დიდ ქალაქში გადმოსახლებული და იქაურ ყაიდაზე გადაკეთებული – ურბანიზებული. ამას უფრო ქალები ეტანებოდნენ და თავიანთი გულის ნადებს ორკესტრის თანხლებით უზიარებდნენ თეატრალურ დარბაზებში შეკრებილ მსმენელს. "კლასიკური ბლუზი" ქალური გრძნობების ზანდუკი იყო, ეროტიზმით და სექსუალობით აღსავსე. შემდგომში ამგვარი ბლუზის დედოფლებად შერაცხეს გერტრუდ რეინი, მეტსახელად "Ma" ("დედო") და მისი მოწაფე – ბესი სმითი. გაჩნდნენ ბლუზის კომპოზიტორებიც, როგორიც გახლდათ, ვთქვათ, სახელოვანი უილიამ კრისტოფერ ჰენდი – "ბლუზის მამად" წოდებული – ყველასათვის ცნობილი ***St. Louis Blues***-ის შემქმნელი.

"კლასიკური ბლუზის" ჩამოყალიბების პარალელურად, ნიუ-ორლეანელმა მუსიკოსებმა დაიწყეს მისისიპის დელტიდან შემოსული ბლუზური მელოდიების გადატანა სასულე ინსტრუმენტებზე – შესაბამისი ტონალურ-ჰარმონიული თავისებურებებით და ბლუზური სასიმღერო მანერისთვის დამახასიათებელი *ვიბრატოებით.* ჯაზური მატერიის წარმოშობის პირველმა ნიშნებმაც აქ იჩინა თავი. თუმცა, ფორმა და საზრისი ამ ურბანიზებული ბლუზური მატერიისთვის სხვა ტიპის მუსიკას უნდა დაესახა - უფრო დახვეწილსა და ევროპულთან წილნაყარს. სწორედ ასეთი გახლდათ *რეგტაიმი.*

*რეგტაიმი* (Ragtime) სიტყვა-სიტყვით "დაფლეთილ რიტმს" ნიშნავს (თუმცა, არსებობს სხვა ეტიმოლოგიებიც). იგი XIX საუკუნის აფრო-ამერიკული საცეკვაო (ძირითადად ბანჯოზე შესრულებული) მუსიკიდან, მარშებიდან, მინსტრელ-შოუს სიმღერებიდან, პოპულარული საოპერო არიებიდან და, რაც მთავარია, იმ რიტმული მრავალფეროვნებიდან წარმოიშვა, ოდითგანვე რომ მოსდგამდა ამერიკის მიწაზე გადმოხვეწილ აფრიკულ მუსიკალურ ტრადიციას.

*რეგტაიმის* რიტმული საფუძველია *სინკოპა, სინკოპირება,* ანუ რიტმული აქცენტის გადატანა ტაქტის ძლიერი წილიდან სუსტ წილზე, მაგალითად, 4/4-ის შემთხვევაში, აქცენტი კეთდება არა პირველ და მესამე წილზე, როგორც ჩვეულებრივ რიტმში, არამედ მეორეზე და მეოთხეზე. სინკოპა ჩვეული რამ არის ევროპული მუსიკისთვისაც – გინდ ხალხურის, გინდაც კლასიკურისთვის. ამასთან შედარებით რეგტაიმისეული სინკოპირება, ანუ "რეგირება", უფრო რთული და მიზანმიმართული რამ გახლავთ და მომდინარეობს იმ ჯვარედინი რიტმებიდან, *კონგოს მოედნის* მომღერალ-მოთამაშეები რომ ასრულებდნენ. სწორედ რეგტაიმის გავლით გადავა ჯაზში ეს ასიმეტრიული რიტმიკა, როგორც საბაზო რიტმისა და მელოდიის რიტმული აქცენტების

ურთიერთაცილება და თამაში.

"რეგირების" პირველ ნიმუშებს, მკვლევართა აზრით, ჯერ კიდევ 1870-იან წლებში ქმნიდნენ აწ უკვე დავიწყებული შავკანიანი მუსიკოსები, მაგრამ *რეგტაიმი*, როგორც სრულფასოვანი ჟანრი, 1890-იან წლებში ჩამოყალიბდა. Rეს იყო ძირითადად საფორტეპიანო მუსიკა, თუმცა მას ორკესტრებიც ასრულებდნენ. რეგტაიმის გამოჩენას დაემთხვა საფორტეპიანო ბუმი ამერიკაში – თითქმის ყველა ოჯახმა ფორტეპიანოს შეძენა მოინდომა, ღარიბებიც კი ულუკმაპუროდ დარჩენას ამჯობინებდნენ, ოღონდაც მათ შვილებს ინსტრუმენტზე დაკვრა ესწავლათ (სხვათა შორის, ასეთივე ბუმი შეინიშნებოდა ჩვენშიაც, 1960-იან წლებში – კოლმეურნით დაწყებული, ქალაქელი მუშა-მოსამსახურით დამთავრებული, ყველას ოჯახში თითო პიანინო მაინც უნდა მდგარიყო. ეს იყო ფორტეპიანოს მეორედ მოსვლა საქართველოში...).

ფორტეპიანო რეგტაიმის *დამკვრელს* სრულ გასაქანს აძლევდა: მარცხენა ხელი მკაფიო რიტმს სახავს – ოქტავებად და აკორდებად მოხეტიალე ბანი ზევით-ქვევით მიმოდის. მარცხენით დაკვრის ასეთ მანერას სხვანაირად "სტრაიდი" (stride) ჰქვია – ცალკეული ტონი ან ოქტავა აჯდება ტაქტის პირველ და მესამე წილს, ხოლო სრული აკორდები ტაქტის მეორე და მეოთხე წილებზე მოდის. ამ დროს მარჯვენა ხელი, ასევე ტონების და სრული აკორდების მონაცვლეობით, თექვსმეტტაქტიან თემას ასრულებს, ოღონდაც ისე, რომ მელოდიის რიტმული აქცენტები ბანის რიტმულ აქცენტებს შორის მოაქციოს, ააცილოს და ასე "თანუწყოს." ყოველი რეგტაიმული პიესა ოთხი სხვადასხვა მუსიკალური თემისგან შედგება (ABCD), ხოლო ამათი მონაცვლეობა ჩვეულებრივ ასეთია – AABBACCDD, ამათგან თემა ჩ განსხვავებულ ტონალობაში მოდულირდება

სასმენად საამო, შესასრულებლად კი ერთობ რთული რამ გახლდათ *რეგტაიმი* – იმდროინდელი პიანისტების ვირტუოზობის ჭეშმარიტი საჯილდაო ქვა. თუმცა, უბრალო მსმენელისათვის იგი ერთი რამ "ძაან მაგარი" საცეკვაო მუსიკა იყო, "კეიკუოკისათვის" ზედგამოჭრილი, ხოლო იმდროინდელ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს "კეიკუოკის" ცეკვისას ერთმანეთს ჩახუტება ძლიერ უყვარდათ – "კეიკუოკი" ხომ იმ "ჭიპხახუნა" ცეკვების დიდი ბებიაა, ჩვენც რომ ვცეკვავდით ჯეელობისას. ასე რომ, 1900-1915 წლებში, ამერიკისა და ევროპის საცეკვაო მოედნებზე *რეგტაიმის* სრული სუფევა იყო. აღშფოთებულმა მშობლებმა დაგმეს რეგტაიმი და "ცეკვის ცოფად" შერაცხეს; ამერიკის მუსიკოსთა ფედერაციამ კი, საგანგებო ბრძანებით, თავის წევრ პიანისტებს რეგტაიმის შესრულება სასტიკად აუკრძალა...

პირველი *რეგტაიმი* ნოტებად 1897 წელს გამოიცა. ეს იყო პიესა სახელწოდებით Mississippi Rag, კომპოზიტორი – უილიამ კრელი.

დაახლოებით იმავე წელს ამერიკის შუადასავლეთის ქალაქ სენტ-ლუისში, ახალგაზრდა ზანგი პიანისტი ქმნის პატარა მუსიკალურ შედევრს, სახელწოდებით Maple Leaf Rag, რომელიც გამოქვეყნების შემდეგ ამ ჟანრის მშვენებად აღიარეს. კომპოზიტორი გახლდათ სკოტ ჯოპლინი, შემდგომში "რეგტაიმის მეფედ" წოდებული. სწორედ სკოტ ჯოპლინის შემოქმედებაში შეიძინა რეგტაიმმა სრულსავსე სახე, როგორც აფრო-ამერიკული და ევროპული მუსიკალური ტრადიციების უნიკალურმა შერწყმამ.

დიახ, სკოტ ჯოპლინს სწამდა, რომ რეგტაიმი ისეთივე რთული და დახვეწილი ფორმისა უნდა ყოფილიყო, როგორ მუსიკასაც ქმნიდნენ შოპენი, ლისტი და მათი რანგის ევროპელი კომპოზიტორები. მეტიც, რამდენიმე ათეული რეგტაიმის გარდა, სკოტ ჯოპლინის კალამს ეკუთვნის ერთი ბალეტი და ორი ოპერა. ამ უკანასკნელთაგან, თუ პირველი, ძირითადად, აფრო-ამერიკულ მუსიკას ემყარება, მეორე – Treemonisha – მთლიანად ევროპელი რომანტიკოსების მიბაძვის მცდელობაა. მაგრამ, სკოტ ჯოპლინის წმინდად "ევროპულმა ოპუსებმა" არ გაამართლა[3]. წარმატების საწინდარი ევროპული და აფრო-ამერიკულის ზომიერი შერწყმა იყო, რასაც მიაღწია კიდევაც ჯოპლინმა თავის გენიალურ რეგტაიმებში და იგივე ითქმის იმ "ევროპეიზებულ" ჯაზზე, სახელწოდებით ჩოოლ, რომელსაც 1950-იან წლებში ქმნიდნენ ლენი ტრისტანო, ჯონ ლუისი, მაილზ დეივისი, გილ ევანსი, დეივ ბრუბეკი, ჯერი მალიგანი...

ევროპულისა და აფრო-ამერიკულის ჯოპლინისეულმა სინთეზმა იმდენად კეთილი და მომხიბლავი ნაყოფი გამოიღო, რომ ევროპელმა გრანდებმაც კი – კლოდ დებიუსიმ, იგორ სტრავინსკიმ – ხელი გამოჰკრეს ამ საქმეს და რამდენიმე რეგტაიმი შექმნეს, თუმცაღა თავისებურ, მოდერნისტულ ჭკუაზე გაწყობილი.

რეგტაიმს დღესაც არ დაუკარგავს თავისი ხიბლი, რომ არაფერი ითქვას 1970-იანი წლების ე.წ. "რეტროს" ბუმზე – მთელი დასავლური მუსიკალური სამყარო რეგირება-სინკოპირების იშტაზე რომ მოვიდა. ჯაზური გინდა თუ კლასიკური მუსიკის კონცერტი ისე როგორ ჩაივლიდა, პიანისტს ანდა კამერულ ორკესტრს სკოტ ჯოპლინის ერთი რომელიმე პიესა არ შეესრულებინა, თუნდაც *encore* (ჩვენებურად – ბისზე). მეტიც, ეს გატაცება ლიტერატურასაც დაეტყო: 1975 წელს გამოვიდა ე.ლ. დოქტოროუს რომანი "რეგტაიმი" – საუკუნის დასაწყისის მონატრების სენტიმენტით აღვსილი, და ასევე რეგირება-სინკოპირებით გაწყობილი. შემდეგ ფილმიც გადაიღეს და სკოტ ჯოპლინმა სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი აკადემიურ სფეროებში. და არა მხოლოდ იქ –

[3]თუ არ ჩავთვლით იმას, რომ დაწერიდან თითქმის სამოცი წლის შემდეგ, 1975 წელს, Treemonisha პირველად შესრულდა და აუდიოჩანაწერის სახით გამოიცა, ჯოპლინს კი პულიცერის პრემია მიენიჭა სიკვდილის შემდეგ.

მისი ყველაზე პოპულარული პიესა სახელწოდებით ***Entertainer*** მობილური ტელეფონების ზარების ნუსხაშიც შევიდა ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენისა და ვაგნერის დიგიტალიზებული მელოდიების გვერდით. და ბოლოს, კიდევ ერთი "პარალელი" ელიტურ ევროპულ ხელოვნებასთან, თუმცა ტრაგიკული: სკოტ ჯოპლინიც ათაშანგით მოკვდა, გუმოიდურ სტადიაში, როგორც თომას მანის "დოქტორ ფაუსტუსის" გმირი, კომპოზიტორი ადრიან ლევერკიუნი.

რეგტაიმის ამბავიც ვოქვით... ბლუზისა ხომ ვოქვით და ვოქვით... მოკლედ: დედაც აქ არი, მამაც აქ არი... ამათი ბავშვი ჯერ არ დაბადებულა, მაგრამ მისი სახელის გამო ორიოდ სიტყვის თქმა გვმართებს.

სახელწოდება *jazz* მომდინარეობს სიტყვიდან ჟასმინი – jasmine, jass. დიახ, jass და არა jazz – ასე ერქვა პირველ აფიშებზე ამ ახალ მუსიკალურ გასართობ ჟანრს. და იცით, რატომ? როგორც თავიდან ვახსენე, ჯაზი ნიუ-ორლენის საროსკიპოებში იშვა, ხოლო იმათი როსკიპები იმ დროს ძირითადად ჟასმინის სუნამოს ხმარობდნენ.

ჰო, ნიუ-ორლეანის საროსკიპოების სალონებში ჟასმინის სუნამოს სუნი იდგა, ცოტა იღლიებში მომდგარი ოფლისაც და ბლომად ჩაღლეული სასმელის ოხშივარიც, და კიდევ – თამბაქოსი და ოპიუმისაც... იქვე, კედელთან იდგა ფორტეპიანოც (მექანიკური მაინც), კლიენტებს შორის რეგტაიმის დამკვრელიც გამოერეოდა ვინმე, ან მევიოლინე, ან მესაყვირე, ერთ რამე უხამს ბლუზსაც იტყოდნენ გიტარაზე:

Rebecca, Rebecca, get your legs off of me,

Rebecca, Rebecca, get your legs off of me,

It maybe sending you baby, but it's worrying the hell out of me…

*(რებეკა, ჩემო რებეკა, იქით გასწი ეგ შენი გრძელი კანჭები,*

*ემანდ ბავშვი არ გავაკეთოთ, მეშინია...)*

ეჰ, მაინც დაორსულდება ეს გრძელკანჭა რებეკა და ბავშვსაც გააჩენს...

ჟასმინის სუნამო, ბლუზური ტონები, ოქტავებისა და აკორდების სინკოპირებული თამაში, "კეიკუოკში" აცეკვებული, ჩახუტებული სხეულები – ზანგები, კრეოლები, თეორნიც და ფერადკანიანნიც, ჩინელნი, ევროპელნი... სუნთა, ბგერათა, რიტმთა, გრძნობათა, ვნებათა, ტკივილთა, სიამეთა, ტრაგიკულის და კომიკურის, სისხლთა და რასათა აღრევისა და დუღილის შედეგად მიღებული "პირველადი ნახარში"... არის ბიოლოგიაში

ერთი მეტაფიზიკურ-კულინარიული ხასიათის ცნება: "პირველადი ბულიონი" – ბიოლოგ-მეცნიერთა აზრით, სწორედ ამგვარი განსაკუთრებული სითხიდან წარმოიშვა სიცოცხლე. ჰოდა, ჯაზიც ეგეთივე "ბულიონიდან" წარმოიშვა, იმიტომ რომ ჯაზი სიცოცხლეა, ხოლო სიცოცხლე – ჯაზი!

# თავი მეორე

## ნიუ-ორლეანი: ქალაქური კონტრაპუნქტი

ჯაზი ქალაქური მუსიკაა, ხოლო ქალაქი, მოგეხსენებათ, იანუსივითაა – ორი სახე აქვს. მისი ერთი სახე საქმიანია: ქალაქში ბევრი რამ ხდება, ათასი ჯურისა და მოდგმის ხალხი ირევა, ფუსფუსია და მიხლა-მოხლა – იქაური ცხოვრება მძაფრი და დამუხტულია. ქალაქის მეორე სახე კი ნიღაბია – ოხუნჯობა-სახიობის ნიღაბი: ხანგამოშვებით, ამ მოფუსფუსე ხალხის საქმიანი მასა ქალაქის ქუჩებსა და ფოლორცებზე გამოეფინება – ცეკვა-თამაშისა და ერთობლივი ლაზღანდარობისათვის, რასაც *კარნავალი* ჰქვია.

უცნაურია, კარნავალურ მღერა-შექცევას ყველაზე ძალუმად ხალხი სწორედ მაშინ ეტანება, როცა ქალაქს შეჭირვების ჟამი უდგას. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, ჯაზის ჩამოყალიბების პერიოდში, ნიუ-ორლეანს ეკონომიკურ დაკნინების ხანა დაუდგა. წარსულს ჩაბარდა მისი, როგორც ამერიკის სამხრეთის უმდიდრესი ქალაქის სიდიადე და მშვენება. ამას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა, უმთავრესი კი ის გახლდათ, რომ ნიუ-ორლეანი მუდამჟამ სანაოსნო ქალაქი იყო, მთელი მისი სიმდიდრეც მისისიპიზე მცურავ ოროქლის გემებს მოჰქონდათ. მაგრამ XX საუკუნის დამდეგისთვის სარკინიგზო ტრანსპორტმა ნაოსნობა ერთობ დაჩაგრა და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა საგრძნობლად შეამცირა. სარკინიგზო ქსელი ჩრდილოეთის შტატებში გაიშალა და კეთილდღეობის პინაც იქითკენ გადაიხარა – პირველობა ჩიკაგომ ჩაიგდო ხელში. კაპიტალის გადინების შედეგად, ნიუ-ორლეანი დარჩა ერთ რამ ჭაობიან ალაგას გაშენებულ ქალაქად, სადაც მრავლად ირეოდა ათასი ჯურის უპოვარი ხალხი და იმათი სისხლის მსმელი კოღო-მოსკიტები.

მაგრამ სიდუხჭირემ და უპოვრობამ ორი რამ ვერ ჩაკლა ნიუორლეანელთა შორის – თავისუფლების მოყვარული სული და კარნავალური მღერა-შექცევის ჟინი. ან კი როგორღა ჩაკლავდა?! თავის დროზე ნიუ-ორლეანი ხომ ფრანგებმა დაარსეს, ხოლო თავისუფლების

სიყვარულში და კარნავალის ხელოვნებაში ფრანგებს ბადალი არა ჰყოლიათ – ოდითგანვე, მაღალი შუასაუკუნეებიდან მოყოლებული. აქ ახლა არ შევუდგები იმის მოყოლას, თუ რა იყო შუასაუკუნოვანი საფრანგეთის ქალაქების კარნავალური ცხოვრება, და როგორ შეამზადა მან ევროპული ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა, ერთი მხრივ, და რენესანსული ხელოვნება, მეორე მხრივ. მიხაილ ბახტინი წაიკითხეთ! მანამდე კიდევ, ორი ფრანსუა – ვიიონი და რაბლე! მოკლედ ვიტყვი: კარნავალი გახლდათ სკოლა – სოციალურ თავისუფლებათა და სახელოვნებო-შემოქმედებითი მრავალფეროვნების სკოლა, რომელიც საფრანგეთმა და, საერთოდ, დასავლეთმა ევროპამ გაიარა და იქ მიღებული ცოდნა ამერიკასაც გაუზიარა – შემდგომში, მიგრაციის შედეგად.

ასე და ამგვარად, ჯაზის წარმოშობის დროისათვის ნიუ-ორლეანის მოქალაქეებს უხვად შემორჩა ფრანგ პირველმოსახლეთაგან გადმოყოლილი კარნავალური სულისკვეთება. მართლაცდა ამ თვალსაზრისით ნიუ ორლეანს ვერც ერთი ამერიკული ქალაქი ვერ შეედრებოდა. ჯერ მარტო ყველიერის კარნავალი რად ღირდა – Mardi Gras – "მსუყე სამშაბათი": მოძრავ პლატფორმებზე დადგმული ვეება თოჯინები, ნიღბოსნები და მატრაბაზები, სასულე ორკესტრის თანხლებით რომ მოემართებოდნენ ქალაქის მთავარ ქუჩაზე. სხვათა შორის, ამგვარი ორკესტრი ქალაქში მრავლად იყო, განსაკუთრებით 1898 წლის მიწურულიდან – ამერიკა-ესპანეთის ომის დამთავრების შემდეგ, როცა სამხედრო ორკესტრების ინსტრუმენტები ბაზარზე გამოყარეს და ისე იაფად, რომ ღარიბი ზანგის ჯიბეც კი გასწვდებოდა. ამ ამბავმაც გარკვეულწილად შეამზადა ჯაზის შემდგომი ზრდის საფუძვლები. ვაგლახ, ამ ომის წაგებამ დეპრესიაში ჩააგდო ესპანური ინტელიგენცია და იქაური ნაციონალიზმის გაფურჩქვნას შეუწყო ხელი, ამერიკაში კი ჯაზის განვითარება წაახალისა. დიახ, სასულე ორკესტრების მიერ შესრულებული მარშებიდან ბევრი რამ შეითვისა რეგტაიმმა და მისგან კიდევ – ჯაზმა.

ჯაზი კარნავალური მუსიკაა, კარნავალური მსოფლმხედველობით გამსჭვალული: თუკი კლასიკურ ევროპულ კარნავალში ხდებოდა ოფიციალური იდეოლოგიისა და დადგენილი ნორმების დაცინვა-პაროდირება, ჯაზი ამას აკადემიურ რიტმიკასთან და ჰარმონიულ სქემებთან თამაშითა და პაროდირებით ახერხებდა. ასეთი იყო ნიუორლეანური სტილი (10-იანი და 20-იანი წლების), ასეთი იყო სუინიგის ეპოქის ჯაზიც – 30-იან და 40-იან წლებში.

კარნავალური მსოფლმხედველობის ერთ-ერთ უმთავრესი და, ალბათ, ყველაზე უფრო იდუმალი ელემენტი იყო "სიკვდილის კარნავალიზაცია", რამაც შუასაუკუნოვან ევროპაში ჟამიანობის დროს განსაკუთრებული სიმძაფრე და მრავალფეროვნება შეიძინა. ნიუ-ორლეანში "სიკვდილის

კარნავალიზაცია" ყოველი დამკრძალავი პროცესიის მსვლელობისას თამაშდებოდა: მიცვალებულს სასაფლაოზე სამგლოვიარო მარშით მიაცილებდნენ, უკანა გზაზე კი ისეთი ცეკვა-თამაშით და მუსიკალურ-ინსტრუმენტური ლაზღანდარობით მოდიოდნენ, თითქოსდა ახალახან დაკრძალული მიცვალებულიც თან წამოჰყვათო – თავისი ფეხით. გლოვისა და ლხენის ამგვარი პარადოქსული შერწყმა თავისებურად ამდიდრებდა და აფაროებდა ჯაზურ მსოფლშეგრძნებას – ამ მუსიკალური ჟანრის პათოსი, ფსიქოლოგიურ-ემოციური შინაარსი ისევე მოიცავს უკიდურესობებს და გადალახავს მათ, როგორც ეს ხდება "ბლუზურ ტონებში," სადაც მოხსნილია სხვაობა მინორსა და მაჟორს შორის.

თავისებური "კარნავალიზაცია" განიცადა აფრიკულ-ამერიკულმა საეკლესიო (ბაპტისტურმა) რიტუალმაც. იმათ ეკლესიებში აღსრულებული წირვა სრულიად განსხვევებულია გინდ კათოლიკურისგან და გინდაც ჩვენებური – მართლმადიდებლურისგან. რელიგიური სენტიმენტის თვალსაზრისით აქ უფრო მეტი ხალისი და აღტაცებაა, ვინემ მონანიე სიმკაცრეს სჩვევია, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს მუსიკალური მხარე, გუნდის და სოლისტების მიერ შესრულებულ საგალობლებში – სინკოპირებული რიტმიკა, ბლუზური მელოდიკა და ჰარმონიული მრავალფეროვნება. მე დავსწრებივარ ზანგი ბაპტისტების წირვას ამერიკაში. მერწმუნეთ, მასში არაფერია წარმართული თუ ღვთისმგმობი, პირიქით – ეს არის უმძაფრესი და უშუალოესი რელიგიური გრძნობით გამსჭვალული არტისტიზმი. ბავშვური უბრალოებითა და ემოციურობით აღქმულ სახარებისეულ სიტყვას, გრძნობების დამმუხტავ მუსიკასთან შეჯერებულს, მრევლი ექსტატურ მდგომარეობამდე მიჰყავს, ალაგ-ალაგ გულწასულ ქალსაც დაინახავთ.



ახლად ფეხადგმული ჯაზი უხვად საზრდოობდა აფრიკულ-ამერიკული საეკლესიო მუსიკის რიტმულ-ჰარმონიული ფორმებითაც და ბაპტისტური წირვის პათოსითაც. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ჯაზის რელიგიური მისწრაფებები დროდადრო იმძლავრებდა ხოლმე და ასე იქმნებოდა დიუკ ელინგტონის, დეივ ბრუბეკის თუ ჯონ კოლტრეინის რელიგიურ-მუსიკალური შედევრები. ან კიდევ, ლუი არმსტრონგის მიერ ნამღერ-დაკრული Go Down Moses რად ღირს.

ასე რომ, საროსკიპოში დაბადებული ჯაზი ერთი მხრივ ცოდვის შვილია, მეორე მხრივ კიდევ – ღმერთთან თავისებურ ენაზე მოუბარი. აქედან მოდის ჯაზური მსოფლხედვის უჩვეულო სიგრძე-სიგანე.

ნიუ-ორლეანის, იმ გაღარიბებული ქალაქის მუსიკალური ცხოვრება ყველა თვალსაზრისით ერთობ მდიდარი გახლდათ. უკვე 1830-იანი წლებისთვის იქ სამი საოპერო დასი მართავდა სპექტაკლებს და რამოდენიმე სიმფონიური ორკესტრი მოქმედებდა, მათ შორის ერთი მთლიანად შავკანიანთაგან შედგებოდა – "ზანგური ფილარმონიული საზოგადოების ორკესტრი." იყო ისეთებიც, სადაც ზანგები და თეთრები ერთად უკრავდნენ.

მაგრამ, მთავარი მაინც ზანგებისა და ფერადკანიანი კრეოლების მუსიკალური სიმბიოზი გახლდათ – სწორედ ამათმა შერწყმამ განსაზღვრა ჯაზის სახე. როგორც ვახსენე, მუსიკალური თვალსაზრისით კრეოლები ბევრად უფრო განათლებულნი იყვნენ, ვიდრე ზანგები – ევროპული ყაიდის მუსიკას პირველნი უფრო უკეთ იცნობდნენ და ასრულებდნენ ვინემ მეორენი. მაგრამ ამ უკანასკნელთ ისეთი მუსიკალური გუმანი ჰქონდათ, რომელიც კრეოლებს არ გააჩნდათ – რიტმული მრავალშრიანობის თვალსაზრისით გინდა თუ მელოდიურ-ჰარმონიული მოქნილობისა. მკვლევარებიც ამას იტყვიან: კრეოლურისა და ზანგურის შერწყმამ წარმოშვა და განავითარა პირვანდელი ჯაზი.

მოკლედ, კრეოლურიც და აფრიკულ-ამერიკულიც: მარში, რეგტაიმი, საოპერო არია, მინსტრელშოუს სიმღერები, უერკსონგი, გოსპელი, სპირიჩუელზი, ბლუზი – ყველაფერი ერთ დიდ ნიუორლეანურ ქვაბში იხარშებოდა და, როგორც ჭაობი ქმნიდა იდეალურ გარემოს იქაური კოღო-მოსკიტებისათვის, ისე ქალაქი ნიუ-ორლეანი – ჯაზის განვითარებისათვის.

ამდენს იმიტომ მივედ-მოვედე, რომ ერთი რამის გარკვევა მსურს: რა ხდებოდა იმ ზანგი კაცის ჭკუა-გონებაში, ვისაც დაახლოებით 1900-1905 წლებში ჯაზის პირველდამკვრელობა მიეწერება, ხოლო სახელი მისი გახლდათ ჩარლზ ბადი ბოლდენი.

ბოლდენის დროს ხმის ჩაწერის, ანუ ფონოგრაფირების საქმე ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო: ერთ რამე პრიმიტიულ ცვილის

კონუსებზე იწერდნენ რაღაც-რაღაცებს – ძირითადად საოპერო არიებსა თუ პოპულარულ სიმღერებს. ამდენად, ბადი ბოლდენის, ამ ჯაზის "თაურდამკვრელის" (მომიტევეთ ეს რობაქიძიზმი) ჩანაწერი არ არსებობს – მისი მუსიკის შესახებ მხოლოდ თანამედროვეთა გადმოცემებით თუ იმსჯელებს კაცი.

1877 წელს დაიბადა, ღარიბულ ოჯახში. განათლებაც უბრალო ჰქონდა. ერთხანს თაბაშირით ვაჭრობდა და თავი ასე გაჰქონდა. ტანმაღალი და ბუნებით ლაღი კაცი ყოფილა. საკარნავალო აღლუმებზე საყელოგადაღებული დაიარებოდა ხოლმე, თაყვანისმცემელი გოგოებით გარემოცული. სასულე ორკესტრებში უკრავდა კორნეტს – საყვირია ეროგვარი. უჩვეულოდ ხმამაღალი ბგერა ჰქონია, სხვა მესაყვირეთაგან გამორჩეული. ერთხელ, ამერიკა-ესპანეთის ომის დროს, ერთი ორკესტრის შემადგენლობაში, საბრძოლო გემს აცილებდა კუბაზე და გამოსათხოვარი სიმღერა Home Sweet Home ისეთი გზნებით შეუსრულებია თურმე და ერთ-ერთი საზღვაო ოფიცერსთვის გული ისე აუჩუყებია, რომ ეს ოფიცერი გემიდან გადმომხტარა და ნაპირისკენ გამოუცურავს.

ბადი ბოლდენს ნიუ-ორლეანის საროსკიპოთა უბანშიც ნახავდით ხშირად და ეკლესიებშიც. იქაურ ჰანგებს და რიტმებს ისმენდა და თავის ჭკუაზე ატრიალებდა. როგორც ჩანს, იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინაც ბლუზური სიმღერა სასულე ინსტრუმენტზე გადაიტანა, შესაბამისი ვიბრატოებით და არამდგრადი ტონებით, ზედ საეკლესიო გალობის მელოდიკაც დაურთო, რეგტაიმის სინკოპირებულ რიტმს ააყოლა და სამხედრო მარშის ომახიანი ხმით ააჟღერა. მართლაც ჯაზი დაუკრავს იმ დალოცვილს – პირველადი ჯაზი. აი, ერთი იმ საცეკვაო მოედანზე შემახედა, სადაც აღტაცებული პუბლიკა გაიძახოდა – "შენ დაუკარ, მისტერ ბოლდენ, შენ დაუკარ!" ვინმე მისი თანამედროვე კრეოლი მუსიკოსის მოგონებიდან ასეთი სურათი იხატება: ხალხით გავსებულ საცეკვაო დარბაზში ბოლდენი და მისი დასტა სცენაზე სხედან მთვლემარე სახეებით; უცებ ბადი წამოხტება, კორნეტით იატაკზე რიტმს დააკაკუნებს, რაზეც მთელი დასტა მოიმართება და იწყებენ დაკვრას.

იმის სიმღერებს ხალხი მღეროდა. სხვათა შორის, პოლიტიკური ხასიათის სიმღერებსაც თხზავდა თურმე. ერთი სიმღერა ჰქონია იქაურ ხელმრუდ მოსამართლეზე, სახელწოდებით Funky Butt. ეს სიმღერა პოლიციას აუკრძალავს და ვინმე საჯარო ალაგას თუ იტყოდა, ეგრევე საპყრობილეში უკრავდნენ თავს.

ბადი ბოლდენის ერთადერთი ფოტოსურათი შემოგვრჩა, თავის დასტასთან ერთად, და კიდევ ერთადერთი ოფიციალური ცნობა მის შესახებ – 1906 წლით დათარიღებული, ნიუ-ორლეანის რომელიღაცა გაზეთის კრიმინალური ქრონიკის ნაწილში: თურმე – ნუ იტყვით და,

ერთ მშვენიერ დილას საკუთარი სიდედრისთვის შუშის გრაფინით თავი გაუჩეჩქვავს. ალკოჰოლს ეტანებოდა და ისე ძალუმად სვამდა, რომ ბოლოს ჭკუიდან შეიშალა – აბოდებდა და რაღაცები ელანდებოდა. სიდედრზე თავდასხმის შემდეგ საგიჟეთში უკრეს თავი, უმკურნალეს და გამოუშვეს. მაგრამ მაინც ვერაფერმა უშველა – აგრესიის შეტევები რამდენიმეჯერ გაუმეორდა და მომდევნო წლის მარტში, ოფიციალური დასკვნით და შიზოფრენიის დიაგნოზით კვლავ საგიჟეთში მოათავსეს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ჩარჩა – ოცდაოთხი წელიწადი. ასეთი გახლდათ ჯაზის პირველდამკვრელის აღსასრული, სხვა დიდ ხელოვანთა მსგავსი – ელ გრეკო გინდა თუ მოპასანი...

ჰო, სულ რაღაც ექვს წელიწადს გასტანა ბადი ბოლდენის მუსიკალურმა კარიერამ, ჰო, სიგიჟით მოკვდა, მაგრამ თავისი მიგნებებით უფრო დიდ – "შემოქმედებით სიგიჟეს" გაუხსნა გზა, რომელსაც ჯაზი ეწოდება.

* * * *

"ჯაზი მე შევქმენი – 1902 წელს!" ასე განუცხადა ერთ ისტორიკოსს ნიუ-ორლეანელმა კრეოლმა სახელად ჯელი როლ მორტონმა. იგი დაიბადა 1890 წელს და, ამდენად, "ჯაზის შესაქმის" მისეული აქტისათვის სულ რაღაც 12 წლისა იქნებოდა, რის გამოც მისი ამ სიტყვებისა არავის სჯეროდა. არა, ჯელი როლ მორტონს ჯაზი არ შეუქმნია, მაგრამ იგი იყო პირველი სრულფასოვანი ჯაზური მუსიკოსი, ვინაც ჯაზი ნოტებზე ჩაწერა და მისი თავისებური თეორიული გააზრებაც წამოიწყო.

ამ უნიჭიერესი კაცის ნამდვილი სახელი გახლდათ ფერდინანდ ლამოთი. იგი ბავშვობიდანვე ცდილობდა დაეკრა ყველაფერზე, რაც კი ბგერას გამოსცემდა (ჯამ-ჭურჭლის ჩათვლით), მაგრამ საბოლოოდ მისი მთავარი ინსტრუმენტი ფორტეპიანო გახდა. ნაადრევად დაობლებულს ბებია ზრდიდა და ერთობ ახალისებდა კიდევაც შვილიშვილის გატაცებას მუსიკით. შვიდი წლის ყმაწვილი ისე კარგად დაეუფლა გიტარას, რომ უკვე საცეკვაო მოედნებზე უკრავდა. შემდეგ ვოკალურ კვარტეტში მღეროდა – სპირიჩუელზებს თუ სხვა რამ საჭირისუფლო სიმღერებს, ქელეხ-ქელეხ დადიოდა და ლუკმაპურს ასე შოულობდა. თავიდან პიანისტობა ეთაკილებოდა – ძმაკაცები "ქალაჩუნას" დამიძახებენო, მაგრამ განგებამ მაინც თავისი ქნა და სულ მალე იგი სტორივილის საროსკიპოთა უბანს პიანინოზე დამკვრელად მოუვლინა. ორიოდ სიტყვა სტორივილის თაობაზეც უნდა ითქვას:

სტორივილის უბანი 1870-იან წლებში ნიუ-ორლეანის უხუცესმა მესვეურებმა გააშენეს, ქალაქის ცენტრიდან მოშორებით, რათა თავიანთი

მოქალაქეების ავხორცი ვნებები და აღვირახსნილი სურვილები კონ-ტროლის ფარგლებში მოექცია – აი, როგორც ამსტერდამის "ვარდისუბანში". სტორივილში 230 ბორდელი იყო და იქ 2000-მდე როსკიპი მუშაობდა. "მამაშებიც" ბლომად იყვნენ და იქაურობას ზრუნ-ვა-მეურვეობას არ აკლებდნენ; ისეთი მაგრები იყვნენ, წყენას არავის შეარჩენდნენ. აი, ერთ-ერთმა მათგანმა, სახელად "გრაფინია" უილი პია-ცამ კაციც კი მოკლა, რომელმაც იმის კახპა გოგო შეურაცხყო. [სხვათა შორის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ "გრაფინია" გაამართლა.] თუმცაღა, პროსტიტუციის გარდა სტორივილში დიდი მოთხოვნა იყო მუსიკოსებზე, განსაკუთრებით კი ე.წ. "ბუდუარულ პიანისტებზე". ასეთ პიანისტს ბორდელის მუშტრები კახპებთან ერთად ქირაობდნენ, რომ თავანთი სექსუალური ჟინი მუსიკის თანხლებით მოეკლათ.

14 წლის ჯელი როლ მორტონიც ამგვარ "ბუდუარულ პიანისტად" მოევლინა სტორივილს. მანამდე ბებო გააფრთხილა, ღამღამობით სახლში აღარ მოვალო, კასრების ქარხანაში ვმუშაობო, ცოტა რამ ფული რომ გავაკეთოო. ბიძამისის გარდერობიდან გრძელტოტება შარვალი მოიპარა, რომ თავი ზრდასრულად წარმოეჩინა (იმ დროს ყმაწვილები მოკლე შარვლებს ატარებდნენ) და სტორივილის საეჭვო რეპუტაციის მარაქაში გაერია. პოპულარული სიმღერები და მელოდიები უნდა დაეკრა, რასაც ადვილად აუდიოდა, მაგრამ ამას არ სჯერდებოდა – ნიჭიერი ბიჭი იყო და საკუთარ სიმღერებსაც თხზავდა – უხამს კუპლეტებს იგონებდა და რეგტაიმის და ბლუზის ნაზავ მუსიკაზე ამღერებდა. ამისათვის კაი ფულსაც უხდიდნენ და სულ მალე მოდაზე ჩაცმაც დაიწყო – "შარვალ-კოსტუმი," სტეტსონის ქუდი, სენტლუისური ყაიდის ფეხსაცმელი... ერთ კვირა დღეს, ეკლესიიდან შინ მიმავალმა ბებიამ რომ დაინახა ზმანებში გამოწკიპული, და მერე ისიც რომ გაიგო, საიდან შოულობდა ფულს, სახლიდან გააგდო.

ბილიარდსაც თამაშობდა და ქაღალდსაც, არც სუტენიორობას თაკილობდა. აქედან გამოყოლილი, მთელი ცხოვრება პოზიორობდა, სულ დაზმანული დადიოდა, კბილში ბრილიანტიც კი ეკეთა, რომ ღიმილისას გაელვებულიყო. და ეს ნიუორლეანელი "შეკი-დანა" დიდებულ პიანისტად ჩამოყალიბდა – ვირტუოზად, თავის დროზე ბადალი რომ არ ჰყავდა. "ისეთ პიანისტს რა ვუთხრა, ორკესტრს რომ ვერ მიბაძავს!" – ამბობდა იგი, და მართლაც, მისი ფორტეპიანო ორკესტრივით ჟღერდა.

კომპოზიტორიც დიდებული გამოდგა. მისი ერთ-ერთი ადრეული პიესა King Porter Stomp მრავალი წლის შემდეგაც ოცდაათამდე ჯაზ-ორკესტრ-მა შეასრულა, მათ შორის ბენი გუდმენმაც – ეს ამ უკანასკნელის ერთ-ერთ საუკეთესო ჩანაწერად ითვლება. მორტონის ცნობილ კომპოზი-ციებს შორის მე გამოვყოფდი "მიცვალებულის ბლუზს" (*Deadman Blues)*, სიკვდილის კარნავალიზაციის წმინდად ნიუორლეანურ სტილში რომაა დაწერილი – შოპენის სამგლოვიარო მარშის, ბლუზისა და რეგტაიმის

ჭკუამხიარულ ნაზავს. ამ კომპოზიციის ორი ვარიანტი არსებობს, ერთი – სოლო (საფორტეპიანო), ხოლო მეორე – ანსამბლური (ჩაწერილი 1926 წელს). ამ უკანასკნელში ჟღერს თემა, რომელსაც სასულეები ასრულებენ – აკორდების აღმავალი სვლა მიდის, ლაღი და მოხდენილი, როგორც ზეცად მიმსწრაფი, მძორს გაცილებული სული, ჯაზურად მოთამაშე...

მცოდნე ხალხი იტყვის, ჯაზის ისტორიაში ჯელი როლ მორტონს როგორც კომპოზიტორს მხოლოდ დიუკ ელინგტომა აჯობაო. ცოტა გადამეტებულად მიმაჩნია, მაგრამ – ეგრე იყოს...

მორტონი ბევრს მოგზაურობდა, ისევე როგორც უამრავი სხვა პირველ-ჯაზმენი, რომლებსაც "ახალი" ნიუორლენური მუსიკა სამხრეთის შტატების სხვა ქალაქებში გაჰქონდათ. ეს მუსიკა ჯერ კიდევ უცხო იყო იქაური დამკვრელებისთვის და ჯელი როლ მორტონსაც უწევდა პარტნიორებისთვის მისი სწავლება, საამისოდ კი საჭირო გახდა ჯაზის ნოტებად ჩაწერა. აქვე ჩამოაყალიბა მან თავისი მუსიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც შემდგომ კლასიკურ ჯაზში დამკვიდრდა. ესენი იყო: *ბრეიკი* (break) – მოკლე სოლო პარტია, როდესაც ორკესტრი მოულოდნელად ჩუმდება; *რიფი* (riff) – ორკესტრის უნისონური ფრაზები, გარკვეული ინტერვალებით გამეორებული (რაც სტანდარტული ილეთი გახდება სუინგის პერიოდში); "*ესპანური ელფერი*" – ეს იყო წმინდად საფორტეპიანო პრინციპი: მარცხენა ხელი ტანგოს რიტმში ატრიალებს ბანს, ხოლო მარჯვენა სინკოპებით თამაშობს; და ა.შ.

მორტონი გახლდათ ჯაზში ანსამბლური მუზიცირების ერთ-ერთი პირველი სულისჩამდგმელი, სწორედ მის მუსიკაში ჩამოყალიბდა სრული სახით ე.წ. "ნიუორლეანური კონტრაპუნქტი" – ადრეული ჯაზის უმთავრესი, ფორმისმქმნელი პრინციპი. Rესეგვარ "კონტრაპუნქტს" სამი ინსტრუმენტი ასრულებდა: ტრომბონი, კორნეტი და კლარნეტი. ტრომბონი უკრავდა ბანის სადა მელოდიას, ამასობაში კლარნეტი სახავდა არპეჯიოებისაგან შემდგარ რთულ ფიგურებს, ხოლო ამ ორს შორის ჟღერდა კორნეტი, რომელსაც ანსამბლის ძირითადი მელოდიური ხაზი მიჰყავდა.

მუსიკალური ესთეტიკის მხრივ, მორტონი მაქსიმალისტი იყო: მისი მუსიკა ჟღერადობის ისეთი სიუხვით იყო აღბეჭდილი, ისეთი რიტმული და თემატური მრავალფეროვნებით, რომ სამწუთიანი პიესაც კი სიმფონიასავით ჟღერდა. ერთი კომპოზიციის მცირე მონაკვეთი სიტყვებით რომ აღწერო, მუსიკისმცოდნე კაცი კარგა გვარიანად უნდა დაიხარჯო, როგორც ჯაზის ისტორიკოსი ტედ ჯიოია შენიშნავს.

არტისტული კარიერის განმავლობაში მორტონმა რამოდენიმე ჯაზ-ანსამბლი შექმნა. მათგან საუკეთესო იყო 1926 წელს ჩიკაგოში დაარსე-

ბული The Red Hot peppers – "წითელი ცხარე წიწაკები," რომელსაც კონკურენტი არ ჰყავდა თვით დიუკ ელინგტონის გამოჩენამდე, რასაც ათი წელი დასჭირდა. როგორც ანსამბლის ხელმძღვანელი, ჯელი როლ მორტონი სრული ტირანი იყო, ბოლომდე წურავდა თავის მუსიკოსებს და აიძულებდა ზედმიწევნით ზუსტად დაეკრათ მხოლოდ ის, რასაც იგი ითხოვდა – არანაირი გადახრა! ერთხელაც იყო, რეპეტიციაზე, ტრომბონისტმა ნოტებიდან გადახვევა დააპირა, მაშინ მორტონმა ჯიბიდან რევოლვერი დაძრო და მოუღერა, იმანაც აიღო და ნოტი ნოტში დაუკრა, რაც ნაბრძანები ჰქონდა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ადრეულ ჯაზში იმპროვიზაციას მცირედი ალაგი ეთმობოდა.

თუმცაღა, სწორედ მორტონის შემოქმედების წყალობით განიცადა ჯაზმა ემანსიპაცია. ისევ ფსიქოანალიტიკურად თუ დავსძენთ, ჯაზმა დაძლია "მამის" – რეგტაიმის – კომპლექსი და გაილაღა. მორტონმა, როგორც პიანისტმა, ჯერ განადიდა რეგტაიმი, ტექნიკური და სტრუქტურული თვალსაზრისით განავრცო იგი, მაგრამ იგრძნო, რომ ჯაზი უფრო მეტ გამომსახველობით საშუალებას აძლევდა და ერთბაშად ახალ მუსიკას დაუდო გული. ჯელი როლ მორტონის საეტაპო წვლილიც ეგ იყო – მან გააჯაზა რეგტაიმი. ასე დასრულდა რეგტაიმის ზეობა და დაიწყო ჯაზის აღმასვლა სადღაც 1910-იანი წლების მეორე ნახევარში. საკუთრივ ჯელი როლ მორტონის სუფევა ამერიკულ მუსიკაში 1920-იანი წლების ბოლოსათვის თანდათან სრულდება. როგორც აღვნიშნე, იგი კოლექტივისტური ესთეტიკის, ანსამბლური მუზიცირების ქომაგი იყო, ხოლო იმ დროისათვის იწყებს განვითარებას ე.წ. "სოლისტების ჯაზი", რასაც რომ ქვემოთ, შემდეგ თავში განვიხილავთ.

მორტონი ვერ იჯერებდა, რომ მისმა მუსიკამ დრო მოჭამა: ვიღაცა ვუდუს შამანებმა ჯადო გამიკეთესო, – ასე იმართლებდა თავს. ვუდუმ კი არა, ისტორიის ჯადომ დანავსა! მაშინ დაიწყო ამერიკის ეკონომიკურ ცხოვრებაში "დიდი დეპრესია" და მორტონის "კარნავალურ-სიმფონიურმა" მუსიკამ დაკარგა ხიბლიც და, რაც მთავარია, მუშტარიც.

მუსიკით რომ ვეღარაფერს ხდებოდა, სიტყვით მაინც მიიპყრო პუბლიკის ყურადღება ცხოვრების ბოლოს. ჯერ იყო და, 1938 წელს ეპისტოლე გაუგზავნა რამდენიმე ჟურნალს, სადაც დეტალურად მიმოიხილავს თავის ნაღვაწსა და წვლილს ჯაზური მუსიკის განვითარების საქმეში კერძოდ, და გართობის ინდუსტრიაში საერთოდ: რომ მას შემდეგ რაც ეს დარგი მიატოვა, უამრავი მიმბაძველი გამოუჩნდა, ვინც მისი ნაღვაწი მიითვისა, და დასძენს – "უფალო დაგვიფარე ამ ახალ ჰიტლერთა და მუსოლინითაგან!" ეპისტოლეს კი შემდეგნაირი ხელრთვა აქვს: "ჯელი როლ მორტონი, შემქმნელი ჯაზისა... და მსოფლიოში საუკეთესო მელოდიების ავტორი."

ადრეული ჯაზის შესახებ მეტ-ნაკლებად ცხადი სურათის

შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა აქვს მორტონის აუდიოინტერვიუს, რომელიც კონგრესის ბიბლიოთეკაში ინახება. აქ ბევრი რამ გაზვიადებულია, ძირითადად ის, რაც უშუალოდ მორტონს ეხება, მაგრამ ჯაზის შესახებ პირველი კომენტარები სწორედ ამ კაცმა დაგვიტოვა.

უცნაურია, შემდგომ თაობებს ჯელი როლ მორტონის პიროვნება უფრო ხიბლავდა, ვინემ მისი მდიდრული მუსიკა თუ საშემსრულებლო ვირტუოზობა. მის შესახებ დაიწერა რომანი, ჰოლივუდში გადაიღეს ფილმი, ბროდვეიზე დაიდგა მიუზიკლი – სადაც სხვა კომპოზიტორების მუსიკა ჟღერს და არა მორტონისა (sic!) ჰო, ისტორიის ჯადომ დანავსა...

* * * *

1917 წლის 26 თებერვალს ჯაზის გავრცელების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი რამ მოხდა: გაკეთდა ჯაზური მუსიკის პირველი აუდიოჩანაწერი, რომელიც ფირფიტის სახით გამოიცა. ამ ფირფიტაზე სულ ერთი კომპოზიციაა ***Livery Stable Blues*** ("ლივერის საჯინიბოს ბლუზი"), რომელსაც ასრულებენ ნიუორლეანელი მუსიკოსები – ნიკ ლაროკა და მისი დასტა: Original Dixieland Jazz Band. არც ამ ამბავს ჩაუვლია ისტორიის ჯადობაზობის გარეშე. საქმე ის გახლავთ, რომ ნიკ ლაროკაც და მისი დასტის მუსიკოსებიც თეთრკანიანები იყვნენ, ანუ პირველი ჯაზური ფირფიტა ჩაწერეს არა ზანგებმა და კრეოლებმა, ამ მუსიკის შემქმნელებმა, არამედ მათი მტარვალი მონათმფლობელების ნაშიერებმა. ამ უტყუარმა ფაქტმა თეთრკანიანები იმის საოქმელადაც კი შეაგულიანა, რომ ჯაზის პირველდამკვრელები სწორედაც რომ ისინი იყვნენ და არა ზანგები თუ კრეოლები.

არადა, ყველაფერი შემოქმედებითი წუწურაქობის ბრალია. ხმის ჩამწერმა სტუდიამ თავდაპირველად სწორედაც რომ ფერადკანიან კრეოლ ჯაზმენს მიმართა – შესანიშნავ ნიუორლეანელ კორნეტისტს, სახელად ფრედი კეპარდს. და იცით რა მოხდა? ის ხალხი კეპარდმა უარით გაისტუმრა: ეხლაო, ჩემი მუსიკა ფირფიტაზე რომ ჩაწეროთო და მთელს დუნიას მოსდოთო, ჩემნაირ დაკვრას ხომ სხვებიც ისწავლიან და სამუშაოს დამაკარგვინებენო... ამიტომაც მოხდა, რომ ფრედი კეპარდის მუსიკა ნიუ-ორლეანს არც გასცილებია, ხოლო ნიკ ლაროკას და მის დასტას კი მთელი ამერიკა უსმენდა. მეტიც, თვით დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წინაშეც კი დააკვრევინეს, ხოლო 1918 წელს, ვერსალის ზავის დადების საზეიმო ცერემონიალზე დაპატიჟეს – ახალი მსოფლიო წესრიგის შემქმნელთა სმენის საამებლად. ისე, კარგი სანახავი კი იქნებოდა: ახალი ევროპის დიდ სახელმწიფოთა მესვეურები – პუანკარე, ლოიდ ჯორჯი და სხვანი – დგანან და უსმენენ "ლივ-

ერის საჯინიბოს ბლუზს," კომპოზიციას, რომელიც უხვად შეიცავდა ცხენის ჭიხვინის, ძროხის ზმუილის, თუ სხვა რამ შინაურ ცხოველთა ხმების იმიტაციას.

სადა და მარტივი იყო თეორების მიერ შესრულებული ადრეული ჯაზი: სინკოპირება სუსტი ჰქონდათ, არც სხვა რამ ჯვარედინი რიტმები ეხერხებოდათ და არც ბლუზურ ტონებში გრძნობდნენ თავს ბლუზურად. მაგრამ მათი გამოსვლა იქცა ჯაზის საერთაშორისო აღიარების დასაბამად.

1917 წელს კიდევ ერთი რამ მოხდა, რამაც თავისებურად წაახალისა ჯაზის "ექსოდუსი" ნიუ-ორლეანიდან – დაიხურა სტორივილის საროსკიპოები და იქაურმა მუსიკოსებმა საშოვარზე ჩრდილოეთისკენ გაუტიეს. ამერიკაში იდგა ე.წ. "დიდი მიგრაციის" წლები (1916-1919) – სამუშაო ძალა ტოვებდა გაღატაკებულ სამხრეთს და მიიწევდა ჩრდილოეთის შტატებისაკენ, სადაც ეკონომიკური კეთილდღეობა და სოციალური თავისუფლება სუფევდა. ამ "დიდ გადასახლებას" ჯაზიც მიჰყვა და ბინა დაიდო ისეთ ქალაქებში, როგორიც იყო ნიუ-იორკი თუ ჩიკაგო.

იმ მუსიკოსთაგან, ვინც ჯაზი ჩრდილოეთში შეიტანა, ანუ "ჯაზისტრეგერთა" შორის ყველაზე დამსახურებული, კრეოლური მოდგმის კაცი, სახელად ჯოზეფ ოლივერია, მეტსახელად – King, "მეფე."

იგი დაიბადა 1885 წელს, ნიუ-ორლეანში, სწავლობდა კორნეტზე დაკვრას, უსმენდა ბადი ბოლდენს და ფრედი კეპარდს. კინგ ოლივერის დასტა ჩრეოლე ჟაზზ ანდ "ნიუორლეანური კონტრაპუნქტის," ჯაზური პოლიფონიის უბადლო შემსრულებელი იყო; მასვე ეკუთვნის ფერადკანიანთა ჯაზის პირველი ჩანაწერები გრამფირფიტებზე. კინგ ოლივერი ათი წლის განმავლობაში ხვეწდა თავის ბგერას, კორნეტის ჟღერადობას – ხავერდოვანი და ნატიფი იყო ეს ბგერა, და აგრეთვე ხრინწმომდგარი, როგორც ადამიანური ხმა. ოლივერისეული ფრაზირება თუ რიტმიკა უკვე პირწმინდად ჯაზურია: ბგერები აცილებულია საბაზო რიტმის აქცენტებს, მუდმივად გადანაცვლებადი მელოდიური ფრაზები ემყარება თითქოსდა რაღაც "ნაგულისხმებ" რიტმს, "ვირტუალურ" პულსაციას, რომელიც იმდენად მოუხელთებელია, რომ ნოტურ ჩაწერას არ ექვემდებარება.

კინგ ოლივერის გამოჩენით ჩიკაგოში ჯაზის ნამდვილმა ბუმმა იფეთქა. Creole Jazz Band-ში უკრავდნენ ნიუორლეანური სტილის დიდოსტატები: ტრომბონისტი ჰონორ დიუტრე და კლარმნეტისტები ჯონი დოდზი და ჯიმი ნუნი. ამ უკანასკნელს ბენი გუდმენი თავის მასწავლებლად მიიჩნევდა, ისევე როგორც შემდგომი თაობის სხვა კლარნეტისტები.

კინგ ოლივერმა და მისმა დასტამ ისე დახვეწეს ნიუორლეანური ჯაზი, რომ მერე იტყვიან: ჯაზი ნიუ-ორლეანში დაიბადა, მაგრამ ჩიკაგოში დავაჟკაცდაო. ამათ მუსიკას "ტრადიციული ჯაზი" დაერქვა, რომლის ძირეული რიტმული და ჰარმონიული პრინციპები შემდგომში *სუინგის* ეპოქასაც ასაზრდოებდა, და მხოლოდ *ბიბოპის* რევოლუციამ უარყო 1940-იან წლებში.

ჯოზეფ ოლივერის "მეფობამ" დიდხანს არ გასტანა. იგი "დაამხო" იმ ახალგაზრდა კაცმა, რომელიც თავადვე გაზარდა და გვერდით დაიყენა, როგორც "საიდმენი" (sideman), ანუ თანმხლები კორნეტისტი. შემდგომში ამ ახალგაზრდას "ჯაზის გენიოსად" შერაცხავენ. ეს გახლდათ ლუი არმსტრონგი.

# თავი მესამე

## ლუი არმსტრონგი – ჯაზის ოქროპირი
## და
## პირველი სოლისტები

1922 წელს ჯო ოლივერმა ახალგაზრდა ლუი არმსტრონგი ნიუ-ორლეანიდან ჩიკაგოში რომ მიიწვია თავის დასტაში დასაკრავად, მაშინ დაიწყო ეპოქა დიდი – ეპოქა, რომელსაც ამერიკელმა მწერალმა ფრენსის სკოტ ფიცჯერალდმა *ჯაზის ეპოქა* (Jazz Age) უწოდა.

ლუი არმსტრონგის გამოჩენით ჯაზის ისტორიაში იწყება ე.წ. *სოლისტების ხანა.* მანამდე ჯაზურ მუსიკას მცირე ანსამბლები ასრულებდნენ და სოლისტი, როგორც ასეთი, მათში გამოკვეთილი არ იყო. ამგვარ სოლისტად სწორედ არმსტრონგი მოევლინა ჯაზურ სამყაროს და, რაც მთავარია, მთლიანად შეცვალა დამოკიდებულება მუსიკალური ინსტრუმენტისადმი: ეს იყო არა უბრალოდ რადაც მელოდიის შესრულება, არამედ "ლაპარაკი ინსტრუმენტის მეშვეობით", თავისებური *მუსიკალურ-ინსტრუმენტული მეტყველება* – ანსამბლის თანხლებით.

ლუი არმსტრონგი თავისი დაბადების თარიღად 1900 წლის 4 ივლისს ასახელებდა: აქაოდა, ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს დავიბადეო, თანაც მეოცე საუკუნის დაბადების წელსო. შემდგომში ბიოგრაფებმა დაადგინეს მისი დაბადების ნამდვილი თარიღი – 1901 წლის 4 აგვისტო.

ისევე როგორც ჯაზისა, არმსტრონგის დაბადებასაც ნიუ-ორლეანის საროსკიპოსთან მივყავართ – დედამისი, მერი ელბერტ, იქ მუშაობდა ხოლმე, ცოტა რამ ფულის საშოვნელად. მამამ ადრე მიატოვა და ოჯახისკენ ადარც გაუხედავს. ხუთ წლამდე ლუი ბებიასთან იზრდებოდა, მაგრამ მერე დედამ თავისთან წაიყვანა და შეძლებისამებრ მზრუნველობა არ დაუკლია.

ნიუ-ორლეანის იმ უბანს, სადაც პატარა ლუი იზრდებოდა, ხალხმა "ბრძოლის ველი" შეარქვა – "Battlefield," იმიტომ რომ იქ მუდამჟამ კარგა ძალუმი მუშტი-კრივი და დანის ტრიალი იდგა. ასეთ ვერაგ გარემოში გაზრდილი ბალღი წესით და რიგით უნდა გაბოროტებულიყო. არადა, ლუი ბავშვობიდანვე სიკეთესა და სითბოს აფრქვევდა და თავიც ღირსებით ეჭირა – დედამისისგან გამოჰყვა ასეთი ბუნება: საძრახისი ხელობის მიუხედავად, ერთობ ამაყი და დარბაისელი ქალი ყოფილა. სიკეთესა და გულისხმიერებას პატარა ლუი იმ ებრაულ ოჯახშიც ეზიარა, რომელმაც იგი მოჯამაგირედ აიყვანა – გვარად

კარნოვსკები იყვენენ, რუსულ *პოგრომებს* გამოქცეულები. ნახშირით ვაჭრობდნენ, და ლუიც ამ საქმეში ჩართეს: ნახშირით გავსებულ დროგზე შემომჯდარი, ქუჩა-ქუჩა დაიარებოდა და დროდადრო თუნუქის საყვირს ჩაბერავდა ხოლმე, მუშტრის გასაგონად – მენახშირე ბიჭი იყო, ნახშირივით შავი... სკოლაშიც დადიოდა, სწორედ იმ სკოლაში, სადაც ოცი წლით ადრე ბადი ბოლდენი სწავლობდა. ბოლდენი მისი პირველი კერპი იყო: საცეკვაო დარბაზის შესასვლელთან მონუსხული ჩერდებოდა ხოლმე და იმისი კორნეტის ხმას უსმენდა. იმიტომაც იყო, რომ თავის კეთილისმყოფელს, კარნოვსკის, ხუთი დოლარი სესხად გამოართვა და ერთი ნახმარი, დაჭეჭყილი კორნეტი იყიდა – ჩემით ვისწავლი დაკვრასო (სხვათა შორის, ვალი პირნათლად გაისტუმრა).

მაგრამ ეშმაკს ხომ არა და არ სძინავს: თერთმეტი წლის ლუი ხელიდან წავიდა – სკოლაც მიატოვა და სამუშაოც; ქუჩის ბიჭების მარაქაში გაერია და ნიუ-ორლეანის მესამე უბნის ინსპექტორებმაც მისი სახელი კარგად დაიხსომეს. თუმცადა მუსიკა აქაც თან ახლდა: ძმაბიჭებთან ერთად ვოკალური კვარტეტი შეკრა და ქუჩაში სიმღერით გროშებს შოულობდა. ერთხელაც, ახალი წლის ღამეს, მამინაცვლის რევოლვერი მოიპარა და ქუჩაში გავიდა, ბიჭებთან ერთად საახალწლო სიმღერების სათქმელად. "ჩემი ბრაზილიელი ტურფა" – ასე ერქვა იმ სიმღერას, ბიჭები რომ მღეროდნენ, როცა თორმეტმა ჩამოჰკრა და საახალწლო ფეიერვერკმაც იფეთქა, ლუიმაც რევოლვერი ამოიღო და ჰაერში გაისროლა – ეგ იყო და ეგ... და სწორედ ამ დროს უკნიდან უბნის ინსპექტორი ეცა, გასკვანჩა და ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა კოლონიაში უკრა თავი.

"უეიფს ჰოუმის" ბავშვთა კოლონიაში სამხედრო დისციპლინა სუფევდა: გაქცეულს თუ დაიჭერდნენ, ასი როზგი ჰქონდა გამოწერილი. თავიდან, პირველი კვირების განმავლობაში, ლუი ერთბაშად დათრგუნა ამ პირქუშმა და მკაცრმა გარემომ, მაგრამ ეს კოლონიაც ხომ ნიუ-ორლეანში მდებარეობდა და აბა, მთლად უმუსიკოდ როგორ იქნებოდა საქმე.

კოლონიის სიამაყეს მარშების დამკვრელი სასულე ორკესტრი გახლდათ, რომელსაც ძნელად აღსაზრდელი ყმაწვილები შეადგენდნენ. ვინმე პიტერ დეივისი იყო იმ ორკესტრის ხელმძღვანელი, და როდესაც პატარა ლუი არმსტრონგმა უმორჩილესად სთხოვა, ორკესტრში მეც დამაკვრევინეთო, უარით გაისტუმრა: შენისთანა წამხდარი, ბეტლფილდში გაზრდილი ბიჭისგან არაფერი გამოვაო. მაგრამ ამ ბიჭმა თავისი მაინც გაიტანა და ორკესტრში აიყვანეს: ჯერ ტამბურინზე უკრავდა (ჩვენებურად – დაირაზე), მერე კორნეტზე დაკვრის უფლებაც მისცეს და ცოტა ხანში ორკესტრის ლიდერობაც ჩააბარეს. არმსტრონგს მთელი ცხოვრება ეხსომება ის დღე, როდესაც "უეიფს ჰოუმის" ორკესტრმა სტორივილის ბორდელების უბანში მარშით გაიარა და ამ მუსიკალურ

მსვლელობას თავად ლუი მიუძღვებოდა. მთელი უბნის კახპეპი და სუტენიორები გარეთ გამოეფინენ: "ჩვენმა ბიჭმა უნდა ჩამოიაროს, დამკვრელებთან ერთადო!" გაიძახოდნენ. მათ შორის იდგა თურმე თავად დედამისიც და სიხარულის ცრემლს ძლივს იკავებდა შვილის შემხედვარე, რომელიც ორკესტრის თავში მოაბიჯებდა და რიხიანად უბერავდა კორნეტს. მთელი უბანი ისეთ აღტაცებაში მოვიდა, იმოდენა ხურდა ფული დაუყარეს ორკესტრანტებს, რომ ახალი უნიფორმებისა და ინსტრუმენტების საყიდლადაც კი ეყოთ.

კოლონიიდან რომ გამოვიდა, ერთხანს ისევ ქუჩამ ჩაითრია, მაგრამ მერე იფიქრა, დედას და დას შევეხიდებიო და წვრილმან მუშაკობას მიჰყვა: გაზეთებს დაატარებდა – ამ საქმეში მაშინ თეთრკანიან ბიჭებს ჰქონდათ "მონოპოლია" და ლუისაც იმათთან ჯახი ხშირად უწევდა. ნავსადგურში მტვირთავად მუშაობდა – ბანანით სავსე ნავებს ცლიდა; იმდენი ბანანი გადმოტვირთა და იმდენჯერ, რომ მერე მთელი ცხოვრება ამ ხილის სუნის ატანაც კი აღარ შეეძლო. ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი საწარმოების ნარჩენებში იქექებოდა და იქ ნაპოვნ გაუფუჭებელ პროდუქტს სამიკიტნოებზე ყიდდა.

მაგრამ იმ დროს მის ყმაწვილურ გულში სულ სხვა "მცენარე" ხარობდა – კორნეტზე დაკრული ბლუზური მუსიკისა, რომელიც მისთვის ყველაფერს აღემატებოდა. თოთხმეტი წლისა იყო, უკვე ცნობილი ტრომბონისტის – კიდ ორის დასტა გამოდიოდა რომელიღაც საცეკვაო დარბაზში. არმსტრონგს სცენაზე უხმეს და იმათი ნაავადმყოფარი კორნეტისტის ჩანაცვლება შესთავაზეს. არმსტრონგიც დაჯდა და ისეთი ბლუზი გადმოიღვარა იმის დაკრულში, იმდენი ვარიაციით, რომ ვინმე სხვა დამკვრელს მთელი ცხოვრება ეყოფოდა...

მერე ნელ-ნელა სახელიც გაიკეთა და სხვადასხვა ალაგას დასაკრავადაც ეძახდნენ. ღამ-ღამობით სტორივილის გასართობ დაწესებულებებში უკრავდა – ყველა ჯურის კრიმინალებისა და კახპებისათვის. აქაც ორი რამ სტიქია ირეოდა ერთმანეთში: მუსიკა და ფიცხი კაცური ვნებები. ერთ საღამოს ისეთი გაწევ-გამოწევა დაიწყო და მერე ისეთი ბათქი და გნიასი ატყდა, რომ ტყვიები სულ საფეთქლებთან უწუოდა დამფრთხალ ლუის.

ბადი ბოლდენისა და ფრედი კეპარდის დაკრულზე გაზრდილი ლუი ცოტა ხანში ნიუორლეანელ კორნეტისტთა მეფემ – ჯო ოლივერმაც შეამჩნია და გვერდით დაიყენა; მეტიც – გაიშინაურა და უმამო ბიჭს მენტორობა გაუწია. ჯო ოლივერის გვერდით ყოფნა – სცენაზე თუ ცხოვრებაში – ლუისათვის კარგი სკოლა იყო: თვითნასწავლი გენიოსი ხომ დაუხვეწელი ბრილიანტია, რომელმაც თუ მოძღვრის ხელი არ დაიტყო, შეიძლება ვერც კი გაიბრწყინოს; ხოლო როცა გაიბრწყინებს, მაშინ მოძღვარსაც ჩრდილავს.

ლუიმ ძლიერ შეიყვარა "პაპა ჯო" და მთელი ცხოვრება მადლიერებით იხსენებდა. დიდ სიამაყეს ჰგვრიდა ნიუ-ორლეანის ქუჩებში მის გვერდით გავლა – მიჰყვებოდა, როგორც მხევალი მიჰყვება მეფეს, და იმისი კორნეტი მოწიწებით ეპყრა ხელში. ჯო ოლივერს ერთი უცნაური ჩვევა ჰქონდა – დაკვრისას თითებზე თეთრ ცხვირსახოცს იფარებდა, რომ კონკურენტებს მისი მანერა არ გადაეღოთ, საიდუმლოდ ინახავდა. აი ლუისთან კი არანაირი საიდუმლო არა ჰქონია – მუდამ მზად იყო რჩევისათვის, ესა თუ ის ფრაზა როგორ უნდა დაეკრა. ლუიმ მენტორის რჩევებიც კარგად აითვისა და, შემდგომში, ცხვირსახოცსაც აიფარებდა ხოლმე თითებზე, თუმცა არა იმიტომ, რომ რაღაც დაემალა, არა – სახიდან ოფლის მოსაწმენდად სჭირდებოდა.

როგორც წინა თავში აღვნიშნე, 1916-19 წლების "დიდმა მიგრაციამ" ნიუორლეანელი მუსიკოსების უმეტესობა ჩიკაგოში გადაისროლა, სადაც ახალი ჯაზური ცხოვრება გაჩაღდა. "მეფე" ჯო ოლივერის ამალამაც იქ გადაინაცვლა და ცოტა ხანში ლუი არმსტრონგსაც უხმეს. დედამ შვილს ჩემოდანი ჩაულაგა, საგზლად თევზიანი სენდვიჩები გაუკეთა და კალსონების ჩაცმაც აიძულა – ჩიკაგოში საშინელი სიცივე იცისო. ასე გამოეთხოვა არმსტრონგი მშობლიურ ნიუ-ორლეანს.

აი, ჩვენს დალოცვილ ძველ თბილისში ხომ იყო "ორთაჭალის ბაღები," ეგეთივე სალაღობო ალაგი ჩიკაგოს სამხრეთ ნაწილშიც გაეშენებინათ – "ლინკოლნის ბაღებად" წოდებული. სწორედ იქ, იმ ბაღებში იწყებს ჩასახვას ტრადიციული ჯაზი – ნიუ-ორლეანიდან გად-მოხვეწილი მუსიკოსების ლაზღანდარა მეცადინეობით. იქაურ დამკვრელთა შორის კი საუკეთესო იყო ჯო ოლივერის Creol Jazz Band და მისი მშვენება – ახალგაზრდა ლუი არმსტრონგი. ამათ მოსასმენად უამრავი ხალხი მოდიოდა. თავიდან საცეკვაოდ თუ შემოივლიდნენ მხოლოდ – ნასმურ-დანაყრებულნი; მაგრამ თანდათან ცეკვას თავს ანებებდნენ და სცენის ირგვლივ შექუჩდებოდნენ, ოლივერის და არმ-სტრონგის დაკრულით მონუსხულები. ამგვარი ყურადღებით აღტაცებული მოწაფე ლაღად, ფეხდაფეხ მისდევდა "პაპა ჯოს" დაკრულს და "ნიუორლეანური პოლიფონიის" სტიქიაში თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში, ან უფრო ზუსტად – როგორც ის თევზი, რომელსაც მალე წყლიდან ხმელეთზე ამობობღება ეწერა – მომიტევეთ ეს ტლანქი შედარება. არადა, როგორ არა ვოქვა: ჩიკაგოში ჩასულ არმსტრონგს მართლაც რომ სუნოქვა გაეხსნა, მისი ბგერა თანდათან იკრებდა ძალას, და თანაც ისე, რომ ხმის ჩამწერი სესიებისას ჯო ოლივერი სთხოვდა, ცოტაოი უკან დამდგარიყო – სხვების დაკრული არ გადაეფარა. არც ამან უშველა: არმსტრონგმა სხვების დაკრულიც გადაფარა და თვით "მეფე ოლივერისაც."

ცნობილია, რომ ყველა გამოჩენილი მამაკაცის უკან ქალი დგას – იმისი წინსვლისა და წარმატების შთამაგონებელი. ჯო ოლივერის

დასტაში ფორტეპიანოზე ერთი ახალგაზრდა ქალბატონი უკრავდა – ლილ ჰარდინგი – შესახედავად ერთობ საამო, მანერებით დახვეწილი და საკმაოდ კარგი მუსიკალური განათლების მქონე. პირველად არმსტრონგი რომ ნახა, იფიქრა, ვიღაც გოიმი ჩამოგვიყვანესო. მაგრამ, შემდგომში, მისი ნიჭით და ადამიანური თვისებებით მოხიბლულმა, გული გადაუშალა არმსტრონგს და ცოლადაც გაჰყვა. გავიდა დრო და, როგორც ყველა ცოლს სჩვევია, ისიც შეუჩნდა ლუის: ადარ მინდა მეორე კორნეტისტის ცოლობაო... ფიქრობდა, ლუისნაირი ნიჭის კაცი მეტს იმსახურებდა, და რომ ლუის ნიუ-იორკი უნდა დაეპყრო!

ლილ ჰარდინგი მართალი იყო: ჯო ოლივერის დასტაში ლუი ვეღარ "ეტეოდა", ამას თვით "პაპა ჯოც" გრძნობდა და ლუის წასვლისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ასე და ამგვარად, ოლივერთან თანამშრომლობის ორი წლის თავზე, არმსტრონგმა მიატოვა ჩიკაგო და ნიუ-იორკში გაემგზავრა, რომ ამ "დიდი ვაშლის" (როგორც ნიუ-იორკს შეარქვეს) გემო გაესინჯა, ისევ და ისევ ქალის წაქეზებით.

ნიუ-იორკში ჩასულ ლუი არმსტრონგს ფლეტჩერ ჰენდერსონის ორკესტრში მიუჩინეს ალაგი. ეს ფლეტჩერ ჰენდერსონი ერთობ დაკომპლექსებული ვინმე გახლდათ, თუმცა არაორდინარული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული. იგი იმ ახალგაზრდა ინტელექტუალთა დასს განეკუთვნებოდა, რომელიც რომ ოციან წლებში გამოვიდა ჯაზის სარბიელზე. ჰენდერსონს ორი სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა მიღებული – ერთი ქიმიაში, მეორე კიდევ მათემატიკაში, მაგრამ იმ წლებში ფერადკანიანს (ხოლო ჰენდერსონი მულატი გახლდათ) არც ქიმიურ ლაბორატორიაში შეუშვებდა ვინმე და არც მათემატიკის უმაღლეს სფეროებში გაალაღებდა. ამიტომაც მუსიკას მიჰყო ხელი. ათიოდე წლის შემდეგ, ბენი გუდმენთან ერთად, ფლეტჩერ ჰენდერსონი *სუინგისა* და *ბიგ-ბენდის* მამამთავრად მოგვევლინება, რაზეც მოგვიანებით მოგახსენებთ კიდევაც. ისე, *სუინგის* პირველმა ნიშნებმა სწორედაც რომ არმსტრონგის დაკრულში იჩინა თავი და ჰენდერსონის შემდგომი ნოვატორობაც აქედან იყო.

ჰენდერსონის ორკესტრი ერთ რამე ნაზ და ნარნარ საცეკვაო მუსიკას უკრავდა – დაშაქრული სიმფონიზმებით შეზავებულს. ესეგვარ "ორკესტრალურ იდილიაში" არმსტრონგის შემოჭრა ისეთივე იყო, როგორც დაკუნთული წყალბურთელისა – სინქრონულად მოცურავე გოგოების გუნდში. მისი კორნეტი უფრო აღგზნებულად ჟღერდა, და ამასთანავე – უფრო ლაღად; იგი ხან აჩქარებდა ტემპს, ხანაც აგდებდა; ფრაზირების ბოლოს ხან გაწელავდა ტონს, ხანაც მოსხლტებოდა და სხვა ორკესტრანტების დაკრულს შორის დანავარდობდა... ჰო, ისევ და ისევ იმ წყალში მცურავი გოგოების თეძოებთან მოთამაშე ჯეელივით. არმსტრონგის მოსვლით ჰენდერსონის ორკესტრის მუსიკამ სახე იცვალა, უფრო დინამიური გახდა და უფრო იმპროვიზაციული; მას

მოაკლდა "დაშაქრული სიმფონიზმები" და ბლუზური ფერ-ხორცი შეემატა – არმსტრონგი ხომ "ბლუზისშვილი" იყო (son of a blues!) და მთელი ცხოვრება ასეთად დარჩა...

ჰენდერსონთან ანგაჟემენტის დროს არმსტრონგს საცეკვაო მუსიკის დაკვრა უწევდა, მაგრამ ისეთი გზნებითა და ეშხით უკრავდა, ქუჩაში მიმავალი ნიუიორკელები დარბაზის კარებთან ჩერდებოდნენ და უსმენდნენ. ერთ საღამოს ლუიმ ისეთი დაუბერა, რომ ერთმა კუნთმაგარმა ბიჭმა მხრებზე შეისვა და ასე დაკვრა-დაკვრით მთელი დარბაზი შემოატარა, აღტაცებული მოცეკვავე აუდიტორიის თანხლებით.

თუმცა ნიუიორკულ პერიოდში არა მხოლოდ მოცეკვავეთა გულები დაიპყრო ლუი არმსტრონგმა. მას კოლეგა მუსიკოსებიც უსმენდნენ. ჰენდერსონის ორკესტრში ტენორ-საქსოფონზე უკრავდა ახლაგაზრდა კოულმენ ჰოუკინზი, რომელმაც შემდგომში ეს საკრავი ორკესტრის წიაღიდან ავანსცენაზე გამოიყვანა და ჯაზური იმპროვიზირების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად აქცია; მისი პირველი შთაგონების წყარო სწორედ არმსტრონგი გახლდათ. იგივე ითქმის დონ რედმანზე, ჰენდერსონის მარჯვენა ხელი რომ იყო – არანჟირებათა ავტორი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა გაიაზრა, განავრცო და განავითარა სუინგი. რედმანის გონებაც არმსტრონგმა "შეაქანა" *სუინგისაკენ* (swing ინგლისურად "ქანაობას" ნიშნავს) – სწორედ იმ პერიოდში დაიწყო არმსტრონგმა გადასვლა ნიუორლეანური ორაქცენტიანი სინკოპირებული რიტმიკიდან ოთხი-მეოთხედის სტრუქტურაზე, რაც სუინგის რიტმულ საფუძვლად იქცა. ეს იყო პირველი დიდი ნოვაცია ჯაზის ისტორიაში და იგი სწორედ არმსტრონგს ეკუთვნის. შემდგომში ჰენდერსონის ერთ-ერთი ორკესტრანტი იტყვის: "მანამდე არც არავინ იცოდა, რა იყო სუინგი... არმსტრონგი იყო მემკვიდრე წინამორბედთა და მამა ყოველივე იმისა, რაც შემდგომში ჩამოყალიბდა..." თუმცა, ჰენდერსონის ორკესტრში ყოფნით არმსტრონგმაც იხეირა – სანოტო ანაბანა და პარტიტურის წაკითხვა ისწავლა (sic!).

საგანგებოდ არმსტრონგის მოსასმენად დადიოდა დიუკ ელინგტონიც, ამერიკული მუსიკის ერთ-ერთი ბურჯთაგანი და ჭეშმარიტი არისტოკრატი, რომელმაც ისევ და ისევ არმსტრონგის წყალობით გაიმდიდრა ჯაზური ცოდნა. მთელი ქალაქი ლუიზე ლაპარაკობდაო, იხსენებდა იმ პერიოდს ელინგტონი, და ლუიც ახალი მუსიკალური იდეებით ელაპარაკებოდა ქალაქს...

"ახალი იდეებით" და ასე განსაჯეთ, ბგერის ახალი სიმაღლეებიდანაც ელაპარაკებოდა. ლუის თანამედროვე კორნეტისტები დიდის ჭინთვითა და ძალისხმევით ზედა do-ს ვერ სცილდებოდნენ, არმსტრონგმა კი ეს საშემსრულებლო თამასა fa-მდე ასწია, თანაც ისე, რომ საცა უნდოდა და რამდენჯერაც უნდოდა, იმდენჯერ აიღებდა: საამისოდ შინ მეცადი-

ნეობდა ხოლმე და sol-ზე იქაჩებოდა, რომ სცენაზე "მარაგი" ჰქონოდა და ამდენად, ეს fa არასოდეს "გაუმაზავს"... რაც შეეხება ზედა do-ს, შეეძლო ზედიზედ ორმოცდაათჯერ აედო, რასაც აღტაცებული მსმენელი ხმამაღლა ითვლიდა.

არმსტრონგის ნიუიორკული პერიოდი კლასიკური ბლუზის განვითარებასაც წაადგა. ლუიმ რამდენიმე ფირფიტა ჩაწერა ამ ჟანრის დედოფალთან – გერტრუდ "დედი-ჯან" რეინისთან და "ბლუზის იმპერატრიცად" ხელდასხმულ ბესი სმითთან ერთად. ფირფიტები ეგრევე დაიტაცეს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხმის ჩამწერი სესიების დროს "იმპერატრიცა" ბესის იგივე პრობლემა შეექმნა, რაც "მეფე" ჯო ოლივერს: არმსტრონგის კორნეტი ისეთი სიმძლავრით ჟღერდა, რომ მომღერლის ხმას ფარავდა და გაღიზიანებულმა "იმპერატრიცამ" მას "თავაზიანად" სთხოვა, ცოტა მოშორებით დამდგარიყო.

ნიუ-იორკის "დიდი ვაშლის" სიტკბოებას თავისებური სიმძაღე მაინც დაეტყო: ლუი გრძნობდა, რომ ფლეტჩერ ჰენდერსონი მის ნიჭს ჯეროვნად არ აფასებდა და ალბათ ამიტომაც იყო, თავის ორკესტრში მხოლოდდა მეორე კორნეტის პოზიციაზე რომ ამყოფებდა. აკი გითხარით, ჰენდერსონი ერთობ დაკომპლექსებული და მობაიყუშო ვინმე იყო: არმსტრონგის ბლუზურმა და იმპროვიზაციულმა ენერგიამ ცოტა არ იყოს, დათრგუნა ეს კაცი, რომელსაც გული მაინც ნარნარი მელოდიურობისკენ მიუწევდა. ერთწლიანი ანგაჟემენტის შემდეგ ლუიმ ჩიკაგოში დაბრუნება გადაწყვიტა. ისევე როგორც თავის დროზე ჯო ოლივერი, ჰენდერსონიც არ ჩასჯინებია, ნუ წახვალო, პირიქით – გამოსათხოვარი ბანკეტიც კი მოუწყო.

იმ ბანკეტზე მისული ლუი მთლად თავის გუნებაზე ვერ იყო – ცოტა არ იყოს, ნერვიულობდა და ამოტომაც კარგა ბლომად შამპანური ჩაისხა. გამოთხოვების დროც მოვიდა: ნასვამი ლუი წამოდგა და ბარბაცით გაემართა ჰენდერსონისაკენ. გადაეხვია, რაღაც მადლობის სიტყვები ჩაილუღლუღა და... ვაი!... ზედ ქათქათა სმოკინგზე არ მიარწყია?!.

1925 წელს არმსტრონგი ჩიკაგოს დაუბრუნდა. "დრიმლენდი" ერქვა იმ კაფეს, სადაც ახალი ანგაჟემენტი ელოდებოდა. კაფეს რომ მიუახლოვდა, ზედ ასეთი წარწერა დაინახა: "დღეს აქ ლუი არმსტრონგი უკრავს – მსიფლიოში უდიდესი ჯაზ-კორნეტისტი!" ლუის გაეღიმა, ამ წარწერაში მისი მეუღლის – ლილ ჰარდინგის ხელი იგრძნობოდა.

ჩიკაგოში დაბრუნებისას ლუი აყალიბებს თავის სახელოვან დასტას "ცხელ ხუთეულს" (Hot Five), რომელშიც ჯო ოლივერის გამოზრდილი მუსიკოსები უკრავდნენ: ჯონი დოდსი (კლარნეტი), კიდ ორი (ტრომბონი), ლილ ჰარდინგი (ფორტეპიანო). "ცხელ ხუთეულს" მოჰყვა "ცხელი

შვიდეული" (Hot Seven) – იგივენი და ბეიბი დოდსი (დასარტყამები), ასევე პიტ ბრიგსი (ტუბა – რომელსაც ბასის ფუნქცია ეკისრებოდა). ამ "ხუთეულმა" და "შვიდეულმა" რამდენიმე ფირფიტა ჩაწერა, რომლებმაც პირველი დიდი გადატრიალება მოახდინა ჯაზის ისტორიაში. თავიდან არმსტრონგის დასტა ნიუორლეანური მუსიკის სტანდარტებში იჯდა – კოლექტივიზმისა და პოლიფონიურობის პრინციპებში, მაგრამ თანდათან ლუი წინ გამოსვლას იწყებს, ხოლო დასტა მის სოლოებს უქმნის ფონს – ასე ვოქვათ, კომენტარს უკეთებს. ამ ჩანაწერებიდან დაიწყო სრულფასოვანი "სოლისტების ჯაზი". როგორ არ შევადარო ეს ყოველივე ანტიკური ტრაგედიის, როგორც დრამატული ჟანრის დაბადებას, რომელიც ანალოგიურად წარიმართა – რიტუალური გუნდი *ქოროდ* და *პროტაგონისტად* რომ გაიყო.

1928 წელს "ცხელი შვიდეული" ისევ "ხუთეულად" იქცა, ოღონდაც სულ სხვა შემადგენლობით. არმსტრონგი გაეყარა ლილ ჰარდინგს და ახალი ქალი გაიჩინა, ხოლო პიანისტად ერთი ყმაწვილი კაცი მიიწვია, სახელად ერლ ჰაინსი. მინდა ორიოდ სიტყვა ამ კაი კაცზეც ვოქვა.

ერლ ჰაინსისგან შემდგომში ჯაზური ფორტეპიანოს დიდოსტატი დადგა, რომელმაც თავისებურად გაამდიდრა ეს ინსტრუმენტი, რაშიც მას კლასიკური განათლებაც დაეხმარა. თუკი მანამდე, ჯაზური ფორტეპიანოს პირველდამკვრელები – ჯეიმზ პ. ჯონსონი, ჯელი როლ მორტონი და სხვანი – ძირითადად რეგტაიმს დასტრიალებდნენ, ან უკიდურეს შემთხვევაში აჯაზებდნენ რეგტაიმს, ჰაინსის შემთხვევაში უკვე საკუთრივ ჯაზური ფორტეპიანო ჟღერს – იმპროვიზაციისა და ბლუზური მელოდიკის მოჭარბების ხარჯზე. მან გადალახა ნიუორლეანური სტილი, განავრცო მისი ტექნიკური შესაძლებლობანი და უფრო გაამრავალფეროვნა. მეტიც, ჰაინსი უფრო აქტიურ სოლირებას იწყებს და ლადად "ეპასუხება" არმსტრონგის ფრაზებს – ამგვარ იმპროვიზაციულ დიალოგში პიანისტები მანამდე ვერ ბედავდნენ ჩაბმას.[4]

სწორედ ჰაინსი მონაწილეობს არმსტრონგის საეტაპო ჩანაწერში West End Blues (1928 წელი), რომელიც დღესაც ითვლება ერთ-ერთ უდახვეწილეს მუზიცირებად ჯაზის ისტორიაში. აქ ლუი საყვირზე უკრავს – კორნეტის მოგუდული ჟღერადობა მას უკვე აღარ აკმაყოფილებს. უკრავს, მაგრამ რას უკრავს... კომპოზიციის დასაწყისშივე თორმეტწამიანი კადენცია მიჰყავს – ჟრუანტელის მომგვრელი, მკაფიო, სისხლსავსე ბგერებად გაწყობილი; ამგვარი რამ მის თანამედროვე კორნეტისტებს თუ საყვირზე დამკვრელებს სიზმრადაც არ მოელანდებოდათ. ამ კადენციამ აჩვენა, რომ ჯაზს გაცილებით უფრო რთული და დახვეწილი მატერიის გამოსახვა შეეძლო, ვინემ ამას ლადი, საცეკვაო განწყობილება ითხოვდა.

[4] 1966 წელს ერლ ჰაინსი თბილისს ეწვია და სპორტის სასახლეში (!) დაუკრა. (...და პირველსავე კონცერტზე მაგრადაც უფსტვინეს! – რედ. შენ.). იმ კონცერტზე მეც გახლდით, ბიძაჩემმა წამიყვანა სულ პატარა ბიჭი...

ერთხელ "დრიმლენდის" კაფეში მთვრალი ფრედი კეპარდი შეგულავდა – აი, სწორედ ის ნიუორლეანელი კორნეტისტი, რომელსაც პატარა ლუი ეთაყვანებოდა თავის დროზე და რომელმაც ჯაზის პირველი გრამჩანაწერის გაკეთებაზე თქვა უარი. კეპარდი სცენასთან დადგა და ამღვრეული თვალებით არმსტრონგს მიაშტერდა. მერე საყვირი გამოართვა და დაკვრა დაიწყო. დამსწრე ხალხმა ნელთბილი აპლოდისმენტით დააჯილდოვა. მუდამ მოღიმარ არმსტრონგს აქ ბრაზი დაეტყო, საყვირი უკან მოსთხოვა კეპარდს და ისე შეუბერა, რომ მთელი პუბლიკა მაგიდებზე ახტა და ოვაცია მოუწყო. ამ ამბის შემდეგ არმსტრონგისთვის საჯილდაოდ საყვირი აღარავის გამოურთმევია. აი შესამოწმებლად კი – დიახაც და გამოურთმევიათ. 1932 წელს ლუი ევროპას წარუდგა და ნამდვილი ფურორი მოახდინა. ეს იყო ამერიკული ჯაზის პირველი ტრიუმფალური გასვლა "ბებერ კონტინენტზე". ხალხი ისე გააოგნა არმსტრონგის საშემსრულებლო ტექნიკამ, რომ ვიღაც-ვიღაცებმა საყვირიც კი შეუმოწმეს – მანდ ნაღდად რაღაცა ნაჩალიჩარი ექნებაო.

ფრედი კეპარდისა თუ ჯო ოლივერისაგან განსხვავებით, არმსტრონგს დასამალი არავისგან არაფერი ჰქონდა. ჯერ კიდევ "ცხელი ხუთეულის" პერიოდში მან სანოტო რვეული გამოსცა – "50 ცხელი ქორუსი[5] კორნეტისათვის". აქ წარმოდგენილი მუსიკალური იდეები მანამდე არც არავის მოსვლია თავში და ამ ნოტებზე მრავალი მუსიკოსი გაიაზარდა. მე ამას ბახის "კარგად ტემპერირებულ კლავირს" შევადარებდი, ანუ – ეს გახლდათ "კარგად ჯაზირებული კორნეტი."

მაინც, რა იყო არმსტრონგის მუსიკაში ისეთი, რომ ნიუორლეანური ჯაზი ერთბაშად გარდასახა და კლასიკურ ჯაზსს დაუდო საფუძველი?

ჯერ აკუსტიკური მხარე ავიღოთ: ლუის საყვირმა ნიუორლეანური მუსიკის კედლები ისე დაანგრია, ვითარცა კედლები იერიქონისა. არმ-სტრონგისეული ბგერა ძალუმი იყო, მძაფრი და ამასთან – თბილი და ყუათიანი ყველა რეგისტრში. ეს იყო უაღრესად მკაფიო ბგერა – ლეგატოში გადაბმული გინდა თუ სტაკატოში მოხტუნავე... შეუძლებელია საყვირის ეს უნიკალური ჟღერადობა სხვისაში აგერიოს – ეგრევე გამოიცნობ. ვიცით, ყველა ნაღდ მუსიკოსს თავისი სტილი აქვს, თავისი მანერა, მაგრამ წმინდად აკუსტიკურ ამბავში ასეთი "ცნობა-დი" ვინმე არმსტრონგის შემდგომ მესაყვირეებში მხოლოდ მაილზ დეივისი თუ იყო.

ახლა, მელოდიური კონცეფცია?! არმსტრონგისეული სოლირება გინდა თუ *ობლიგატო* (თანხლებისას ჩართული ფრაზები) მუსიკალური მჭევრმეტყველების უპირველესი ნიმუშია ჯაზის ისტორიაში. ამ თვალსაზრისით არმსტრონგი მართლაც ჭეშმარიტი "ოქროპირი"

[5]ქორუსი (chorus) – ჯაზური კომპოზიციის სტრუქტურული ელემენტი, თემატურ-მელოდიური მონაკვეთი.

გახლდათ. მისი ყოველი ფრაზა ნაქანდაკარი და ნახვეწია, უზადოდ არტიკულირებული და დანაწევრებული, როგორც მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი – არანაირი მიფუჩეჩება. ეს არის რაღაცა ამბის აღტაცებული თხრობა, "მუსიკალურ-ინსტრუმენტული ლაპარაკი" მსმენელთან, გნებავთ – ინსტრუმენტით გადმოცემული დრამატული მონოლოგი. არმსტრონგის დიდებული კოლეგა, კლარნეტისტი და საქსოფონისტი სიდნი ბეშე ასე უხსნიდა თავის მოწაფეს ჯაზური მუსიკის არსს: "დაუკარი ისე, ვითომ ლაპარაკობ. ეს მუსიკა ლაპარაკივითაა." *ვოკალი ახდენს ინსტრუმენტის იმიტირებას, ხოლო ინსტრუმენტი – ადამიანური მეტყველების იმიტირებას* – ეს "დიალექტიკური" პრინციპი გახდება ჯაზის განვითარების მაგისტრალური მიმართულების განმსაზღვრელი, და მის სათავეებთან ისევ არმსტრონგი დგას.

როგორც ჯაზ-ვოკალისტი, ლუი "ლაზღანდარა ოქროპირია" – მას მიეწერება ე.წ. *სკეტის* გამოგონება. *სკეტი* – ესაა ფონეტიკურად გაწყობილი უსიტყვო მეტყველება – აი, როგორც ჩვენებური *ოვდილა-ოვდელია-რანინა* (რასაც გურულად "სამღერისი" ჰქვია). 1926 წელს "ცხელ ხუოეულთან" ხმისჩამწერ სესიაზე არმსტრონგს სიმღერის ტექსტი დაეკარგა. ხმის ჩაწერა იმ დროს ერთობ ტლანქი პროცესი იყო და არმსტრონგი იძულებული გახდა, რაღაც მაინც დაემღერა. ჰოდა, იმანაც აიღო და კუპლეტების მაგივრად რაღაც აბდაუბდა ფრაზები მიაყარა. ასე შეიქმნა კომპოზიცია **Heebie Jeebies**. *სკეტი* ადრეც იცოდნენ

– ნიუ-ორლეანში, მაგრამ ლუის ნამღერმა მსმენელებში ისეთი გამოძახილი პოვა, რომ ჩიკაგოელმა ჯაზმენებმა ინგლისური ენა გვერდზე გადადეს და ერთმანეთში *სკეტით* დაიწყეს ლაპარაკი. ამის შემდეგ ჯაზ-ვოკალისტების არსენალში *სკეტი* უმთავრეს იარაღად იქცა და დღესაც ასეა.

"ის, ვინც მეკითხება *რა არის* ჯაზი, ვერასოდეს გაიგებს, მართლა რა არის ჯაზი!" – განუცხადა არმსტრონგმა ჟურნალ "ტაიმს". თავისი მუსიკალური მეთოდი კი შემდეგნაირად აღწერა: "პირველ ქორუსში მელოდიას ვუკრავ, მეორეში – მელოდიას მელოდიის გარშემო, ხოლო მესამეში ვუკრავ იმას, რაც საერთოდ მიღებულია." ანუ – ჯერ თემას ასრულებდა, შემდეგ ვარიაციებს ამ თემაზე, ხოლო თუ რა იყო ეს "საერთოდ მიღებული," მხოლოდ თვითონ უწყოდა. ზოგჯერ ეს შეიძლება ყოფილიყო სულ ერთადერთი ბგერა, რომელიც ოცდათორმეტი ტაქტის განმავლობაში ეჭირა – აი ასე და ამგვარად. არადა, ამ ერთადერთი ბგერის რიტმული ვარირება ისე შეეძლო, ისეთი სინკოპირებითა და სილაღით, როგორც კატა თაგვს რომ დაიჭერს და ეთამაშება. სხვა შემსრულებლის ხელში ეს შესაძლოა მომაბეზრებელ-იც ყოფილიყო, მაგრამ არმსტრონგი ამ დროს რიტმული თამაშის გარდა აკუსტიკურ თამაშსაც იწყებდა – ბგერის ხასიათის ცვლას, და რაც მთავარია – თავის განუმეორებელ *ვიბრატოს* აქსოვდა, ხოლო ვიბრატო ისეთი ჰქონდა, როგორც არავის – შენელებული და უჩვეულოდ ფართო დიაპაზონისა.

თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული სიახლე, რითაც არმსტრონგმა ეს მუსიკა წინ წასწია და გაამდიდრა, რიტმიკის სფეროს განეკუთვნება – რიტმიკა ხომ ჯაზის მთავარი ძარღვია. სწორედ არმ-სტრონგმა დაიწყო გადახრა გრაუნდ-ბიტიდან, ანუ კომპოზიციის საბაზო რიტმული პულსაციიდან: ხან წინ გაუსწრებდა, ხან ჩამორჩებოდა, ხანაც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, ხან კიდევ მოსხლტებოდა, მოშორდებოდა და თავზე დასტრიალებდა, როგორც რომ ირაოს მკრავი მიმინო. ასეთი მოცულობით რიტმული თამაში არც ერთ მაშინდელ ჯაზ-მუსიკოსს არ შეეძლო. და სწორედ ასე, თამაშ-თამაშით მონიშნა არმსტრონგმა ის რიტმული ნიადაგი, რომელზეც შემდგომში, 30-იან წლებში, აღმოცენდა *სუინგი*, როგორც უკვე აღვნიშნე – იმ ბაიყუშ ჰენდერსონისა და კიდევ ბენი გუდმენის ძალისხმევით. ჯელი როლ მორტონი იყო ერთი პირველთაგანი, ვინაც რეგტაიმი გააჯაზა, ლუი არმსტრონგი კი იყო პირველი, ვინაც ბლუზი "გასუინგა", ანუ სუინგურ რიტმიკაზე დასვა, რამაც უდიდესი მუხტი მისცა ჯაზის განვითარებას. ამისი საუკეთესო და ადრინდელი ნიმუშია 1929 წელს ლუის მიერ ნიუორლეანელ მუსიკოსებთან ერთად ჩაწერილი **St. Luis Blues**, რამაც მოგვიანებით სუინგის "დიდგვაროვანს" – გრაფ ბეისის შთააგონა კომპოზიცია Swinging the Blues.

არმსტრონგმა ჯაზის დრამატურგიაც გაამდიდრა. იმხანად დამკვრელებში ერთი ასეთი ანსამბლური ელემენტი იყო გავრცელებული: "Stop-time Chorus" ("დაპაუზებული ქორუსი") – თანმხლები ინსტრუმენტები მხოლოდ ერთ ან ორ აქცენტს მონიშნავდნენ, ხოლო სოლისტი, გაბმული რიტმული თანხლების გარეშე, თავისუფალი ვარირებით სახავდა მელოდიურ ფრაზებს. არმსტრონგმა ეს ილეთი უკიდურეს სრულყოფამდე მიიყვანა – მის ხელში "სტოპ-ტაიმი" ნამდვილ მუსიკალურ *ბრავურას* წარმოადგენდა – შეტევას, როგორც ფარიკაობაში, რომელსაც ფიცხი და კარგად მოზომილი *ტუშე* აგვირგვინებს. ეს ილეთი სწორედაც რომ ნაღდი სოლისტისთვისაა და მის შესრულებაში არმსტრონგს ბადალი არა ჰყავდა, ამიტომაც ხშირად იყენებდა ხოლმე. პირველი ასეთი "სტოპ-ტაიმი" – ბრწყინვალე! – ჟღერს მის ერთ-ერთ ადრინდელ ჩანაწერში "ცხელ შვიდეულთან" ერთად: **Potato Head Blues** (1927 წელი).

არმსტრონგის მუსიკა და არტისტული მოღვაწეობა 30-იან, 40-იან წლებში ნამდვილ ზენიტშია. მის გვერდით დგანან საუკეთესო მუსიკოსები – ტრომბონისტი ჯეკ ტიგარდენი, თეორკანიანი, რომლისთვისაც უდიდესი პატივი იყო არმსტრონგის პარტნიორობა; დიდებული კლარნეტისტი პი იუ რასელი, რომელმაც გაუსწრო თავის დროს[6] , და სხვა მრავალი. თუმცა, 50-იანი წლებიდან ლუი უფრო მეტს მღერის, ვინემ ინსტრუმენტალისტობს, მღერის თავისი ხრინწმიმდგარი ხმით, "ლაზღანდარა სკეტით," და თანდათან კომერციული რეპერტუარისაკენ ეშვება...

მან ნახევარ საუკუნეზე მეტი დაყო სცენაზე. სიდუხჭირეში გატარებული სიყრმის წლებს თუ არ ჩავთვლით, არმსტრონგს ცხოვრება მისი მუსიკასავით ლაღი და დალხენილი ჰქონდა. სამი ცოლი გამოიცვალა, ფული არასოდეს აკლდა – მუდამ ეძახდნენ დასაკრავად, წელიწადში სამას სამოცდახუთი დღე ანგაჟემენტებში იყო და კარგადაც უხდიდნენ. ჯაზის ისტორიაში ერთ-ერთი უმდიდრესი მუსიკოსი კაცი იყო და, ამასთან, უცნობილესიც: იგი ისეთივე სახელოვანი ფიგურა გახდა, როგორც ჩარლი ჩაპლინი თუ უინსტონ ჩერჩილი – მთელი მსოფლიოსათვის ლუი იყო ჯაზის მთავარი დესპანი, მეტიც – ჯაზის განსახიერება. ბავშვობაში შერქმეული მეტსახელით იხსენიებდნენ – "Satchmo", რომლის სრული ვარიანტი იყო "Satchelmouth": სატჩჰელ ინგლისურად "ტომსიკაა" – ტომსიკასავით პუტკუნა პირი ჰქონდა.

შეეძლო ისეთი ბობოლა ხალხისათვის ეთქვა უარი, როგორიცაა, ვთქვათ, ამერიკის პრეზიდენტი. ასეც მოხდა 1957 წელს: ამერიკის

[6] პი იუ რუასელის შესრულების მანერა წარმოადგენდა ტრადიციული ჯაზისა და სიურრეალიზმის, დიქსილენდისა და დადაიზმის ნაზავს. მას თელონიუს მონკთანაც დაუკრავს – ჯაზის დიდ მისტიკოსთან – და მისი თაყვანისმცემლების აზრით, მონკსაც კი "გადაუმონკა" ('out-Monked').

მთავრობამ საგანგებოდ დააფინანსა ლუის გასტროლები საბჭოთა კავშირში, ეს უნდა ყოფილიყო უდიდესი გარღვევა ცივი ომის მძვინვარების ხანაში, მაგრამ ლუიმ ჩაშალა ეს ტურნე – საჯაროდ განაცხადა უარი იმის გამო, რომ მანამდე პრეზიდენტ აიზენჰაუერს საშუალო განათლების სფეროში რაღაც რასისტული კომენტარი დასცდენია. ***Go Down Moses*** – არმსტრონგის მიერ შესრულებული ეს სპირიჩუელი, საყოველთაოდ ცნობილი, არა მხოლოდ ხარკია შავკანიანი მოსახლეობის წინაშე გაღებული; პოპულარობის პიკზე ლუი ლამის ბიბლიური მასშტაბის ფიგურა გახდა და საერთოდ გასცდა ჯაზის ფარგლებს.

ლუი მონაწილეობდა მიუზიკლებში, ფილმებში, მასზე წერდნენ მეოცე საუკუნის დიდი მწერლები. აიღეთ, თუნდაც, ალეხო კარპენტიერის რომანი "ბაროკოს კონცერტი" – მანდ მთავარი მუსიკალური პერსონაჟი ანტონიო ვივალდია, რეალიები XVII საუკუნისაა, მაგრამ რომანის ბოლოს, პოსტმოდერნისტული ილეთით, დრო ჩქარდება და რომანის ერთ-ერთი მოქმედი პირი ლუი არმსტრონგის კონცერტზე მიდის – იმისი საყვირის მოსასმენად, რომელიც რომ ბაროკოს დიდებულ მუსიკაში აუღერებულ ზეციურ საყვირთა ტოლფასია...

1964 წელს ჯაზს მძიმე დღეები დაუდგა. ამერიკაში ოთხი ლივერპულელი ბიჭი ჩავიდა და იქაური ახალგაზრდობა ერთბაშად გადარია – მთელს ქვეყანას "ბიტლომანია" მოედო: *She loves you, yeah yeah yeah!!!...* ჯაზმა დაკარგა ახალგაზრდა მსმენელი. პოპულარული მუსიკის ჩარტებს თავში "ბიტლზი" მოექცა. მაგრამ აქლემი ისე როგორ წაიქცევა, ვირის საპალნე ვერ ასწიოს?! იმავე წლის ზაფხულში, ლუი არმსტრონგმა ჩაწერა სიმღერა, რომელმაც რამდენიმე თვის განმავლობაში თვით "ბიტლომანებიც" კი მონუსხა და სიებში პირველ ალაგას დადგა. ეს იყო სიმღერა მიუზიკლიდან ***Hello Dolly***. ჯაზის მუსიკალური სიმაღლეებიდან თუ დავხედავთ, დიდი ვერაფერი ხვითოა ეს სიმღერა, მაგრამ აი, პოპულარული მუსიკის ისტორიაში – ალბათ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ჩანაწერი. ისევე როგორც სიკვდილის წინ ნამღერი ***What a Wonderful World*** – თუმცა აქ არმსტრონგს სულ სხვა ამბიცია ამოძრავებს, ვინემ ჯაზური: თითქოსდა რაღაც მუსიკალური "გაეროს" ტრიბუნაზე დგას და სიტყვით მიმართავს კაცობრიობას. ბოლოს და ბოლოს, ამ კაცმა იმდენი ჯაზი აჩუქა ადამიანებს, და თანაც ისეთი ხარისხისა, რომ სიკვდილის წინ სრული უფლება ჰქონდა ორიოდ სიტყვა უფრო მარტივ ენაზეც ეთქვა.

არმსტრონგი 1971 წ. 6 ივლისს გარდაიცვალა.

# სიზმარი

გიგა ჩიხლაძე

ხშირად დამსიზმრებია ერთი და იგივე: ვითომ სახლში დავბრუნდი, გაგრაში... და რაღა თქმა უნდა, მაშინვე ზღვაზე გავრბივარ – ჩემი საყვარელი ადგილი მწერალთა სახლის პლიაჟზე იყო, სადაც ტალღსაკვეთი ღრმად იჭრება წყალში. ტანსაცმელს სირბილშივე ვიხდი, შეუჩერებლად ვხტები და თვალდახუჭული ვყვინთავ ღრმად, ძალიან ღრმად. მერე თვალებს ვახელ: ზღვა წყნარია და წყალიც გამჭვირვალე, გარშემო კი სულ მიცვალებულების გვამებია – ბევრზე-ბევრი. მოხუცები, ბავშვები, კაცი თუ ქალი. სხეულები ნახევრად გახრწნიათ უკვე. აქაიქ, ქვებზე, ავტომატის მასრები ბრწყინავს. დაზაფრული, პირს ვაღებ და მინდა დავიყვირო, მაგრამ მლაშე წყლით მევსება ხახა; ზედაპირზე ამოცურვას ვცდილობ, არაფერი გამომდის... ხომ იცით, როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე ავ სიზმრებში. მზის სხივები კი ფსკერამდე ატანს და წყლით გაბერილ, თევზებით დაჭმულ სხეულებს ათინათი დათამაშებს.

სინამდვილეში, ძაანაც კარგად მესმის, რომ ზამთრის პირველივე ქარიშხალი იმათ კვალსაც კი არ დატოვებდა, ვისაც ჯერ იმ ტალღსაკვეთზე ხვრეტდნენ, მერე კი ზღვაში აგდებდნენ – ზამთარში აქ გვარიანი ზვირთები იცის. და რამდენი ეგეთი ღელვა გადაუვლიდა აქაურობას წლების მანძილზე? ჩვენი სახლი მთის ფერდობზე იდგა და მახსოვს, ზემოდან კარგად ჩანდა, როგორ იხევდა უკან ტყვიისფერი წყალი, მერე შესქელდებოდა, ტალღად წამოდუღდებოდა, ქაფიან ქოჩორს წამომართავდა მაღლა, სულ მაღლა – წამოვიდოდა და ზათქით ასკდებოდა ბეტონის კედელს, რომლის ყრუ გუგუნი ზემოთ, ჩვენს სახლამდეც კი უწევდა და ფეხქვეშ თითქოს მიწა ამიკანკალდებოდა ხოლმე...

დამ-დამობით ზღვისა და ჩავლილი მატარებლების ხმა – ჩემი უდარდელი ბავშვობის საუნდტრეკიც ეგაა. არადა სწორედ იმ წელს, როცა ყველაფერი დამთავრდა, თბილისიდან აყრას და გაგრაში სამუდამოდ ჩასახლებას ვეპირებოდით. მამასაც ენატრებოდა იქაურობა – განსაკუთრებით ვენახი ადარდებდა, რომელსაც ერთთავად მოვლა ჭირდებოდა, პატარა ბავშვივით. თბილისში ბინის გაყიდვა ვერ მოვასწარით, მარტო ბებო გადავიყვანეთ იქ – იმ სახლში, გადასახლებიდან დაბრუნებულმა მისმა ქმარმა, ჩემმა ბაბუამ რომ ჩადგა – საკუთარი ხელებით გამოჭრა კლდე, ადგილი გამოათავისუფლა და სახლი ჩადგა. მერე ვენახი და ბაღიც გააშენა იქვე, ფერდობზე. სულ პაწია ნაკვეთი იყო, ოღონდ მე კი მთელ სამყაროდ მიჩნდა მაშინ.

და კიდევ ერთი სიზმარი მსტუმრობს ხოლმე: თითქოს ისევ გაგრაში ვარ, სასაფლაოზე და რატომღაც ძალზე ცოტა დრო მაქვს, უნდა ვიჩქარო. არადა, ბაბუს საფლავს ვეძებ – სწორედ ბაბუსი და სხვა არავის – არც ბებიის, არც ჩემი ბიძაშვილის, არც დეიდის... მარტო მისი საფლავი მაქ მოსაძებნი. თან ვერც იმას ვიხსენებ, როგორ გამოიყურებოდა ქვა, ან თუ ეწერა რამე ზედ. მეჩვენება, არც არავითარი საფლავი აღარაა – წაშალეს, როგორც უსარგებლო ფაილი კომპიუტერიდან. დრო სულ უფრო ცოტა მრჩება, ვჩქარობ, ზაფრა მიპყრობს და... მეღვიძება. ცოტათი მაჟრიალებს ტანში და აღარც ძილი მეკარება. ვდგები, სამზარეულოში გავდივარ, ჩაის ვაყენებ და სიგარეტს ვუკიდებ.

ერთხელაც აზრად მომივიდა – ძველი იგავისა არ იყოს – თუ მინდა ამ სიზმრებსა და უსარგებლო მოგონებებს დავაღწიო თავი, უნდა მოვუყვე ვინმეს. არა – დავწერო და მოვყვე. მერე მოგონებებიც გახუნდება, სიზმრებიც შარშანწინდელი თოვლივით გამიქრება და სამზარეულოშიც უკვე სულ სხვა მიზეზით გავალ ხოლმე მოსაწევად.

იქ, აფხაზეთში, ჩემებიდან აღარავინ დამრჩა. დაიხოცნენ. ბაბუ სულ ადრე, ჯერ კიდევ სულ პატარა რომ ვიყავი, მაშინ. ბებო, დეიდა და ბიძაშვილიც დაიხოცნენ, ოღონდ თავისით – ისინი არავის მოუკლავს. სამედიცინო დახმარება რომ ყოფილიყო, კიდე გადარჩებოდნენ ალბათ, მაგრამ არ იყო და... გულმოწყალება იყო – კი, იმ ომში და უბედურებაშიც იყო, ოღონდ სამედიცინო დახმარება – არა. ყოველ შემთხვევაში, არა გადადუდებელი და არა – უბრალო ადამიანებისათვის.

ჩვენი ოჯახიდან ომში არავინ წასულა. საერთოდ, ბევრი ჩემი ნაცნობი სწორედ აფხაზებმა შეიფარეს და გადაარჩინეს. აი, ჩვენს ქვემო ქუჩაზე კი მეზობელმა სომხებმა ქართველების ოჯახი ამოწყვიტეს. არა, ისეთი არაფერი – მტრობა და შუღლი კი არ ჰქონდათ მათი, უბრალოდ – ძარცვის დროს შემოაკვდათ. ჩვენივე მეზობელმა უკრაინელმა კი იარაღს დაავლო ხელი და წავიდა... ქართველების მხარეზე საბრძოლველად. ჩეჩნებს მოუკლავთ, როგორც მერე გავიგეთ. კიდევ

ერთი ჩემი ნაცნობი, ტომით ინგუში – კაზაკებმა აჩეხეს. ვიღაც კიდევ ნაღმზე წამოეგო, ვიღაც – სნაიპერის ტყვიამ შეიწირა. ისე, არაფრის გამო. და რა მერე? რა განსხვავებაა? ამაზე იმდენი დაიწერა უკვე, წყლის კოდვა გამომდის.

ლტოლვილი არა ვარ, თუმცა "იძულებით გადაადგილებულ პირად" კი ვითვლები, რატომღაც. არც რაიმე სოციალურ აქტივობას ვიჩენ და ჩემი ხელობა რომ არა, არც მიტინგებზე ვივლიდი. არც მანიაკი მეოქმის – ბოლო-ბოლო, სიზმრებს გატანჯული კი არ ვყევარ – ისე მესიზმრება ხოლმე, შიგადაშიგ. ერთი ეგაა, რატომღაც მეჩვენება რომ ჩემი ნამდვილი სახლი სწორედ იქ უნდა ყოფილიყო, გაგრაში. მახსოვს, რაღაც სულელურ ბავშვურ აღთქმებს ვდებდი ხოლმე – აი, თუ იმ ხის კენწეროზე ავალ, ან იმ ქვას ავწევ, ამ ზაფხულს მაინც ნაღდად გადავალთ იქ, ზღვის პირას...

ეტყობა, მეტისმეტად ბევრი ჩამრჩა იქიდან – ხმები და სურნელი, კლდეში გამოკვეთილი მარანი, შიგვე გამოჭრილი საწნახელი, ყურძნის ღვინომუქი ფერი. მანდარინის ხის ფოთლებიდან ჩამომხტარი წვიმის წვეთების ხმა ფანჯრის რაფაზე. იქ უკვე ვეღარასოდეს დავბრუნდები, ნაღდად.

კაცმა რომ თქვას, ჩემთვის ერთია, საქართველო ფედერალური სახელმწიფო იქნება თუ უნიტარული და არც იმაზე მაქვს წარმოდგენა, როგორ უნდა გადაიჭრას აფხაზეთის პრობლემა – იმათ ჩვენთან არ უნდათ, ჩვენ არ გვინდა, ისინი რუსეთს რომ შეუერთდნენ, რუსეთს კი სურს, ყველაფერი ძველებურად დარჩეს... ჩემდათავად, მე მხოლოდ სახლში მინდა. გაგრაში. ოღონდ – სახლი ჩემი იქ უკვე აღარასოდეს იდგმება.

სხვა აბა, რა – რაც კი რამ სათქმელი მქონდა, ეგაა.

ISSN: 1512-3375